

K 245848
3

၁၃၆၅၂၄၂၀
၂၀၁၄ ပြည်တော်

မြန်မာ ပုဂ္ဂန်

၁၁၇၈၁။




ମୁଖ୍ୟ ପତ୍ରାଳୀ
ବେଳାଚିନ୍ତା ଓ ବୈଜ୍ୟରେ ନିର୍ମାଣ
ବୋଲିଗନ୍ଧିର ନିର୍ଦ୍ଦେଶ

ମୁଖ୍ୟ ପତ୍ରାଳୀ



ମୁଖ୍ୟ ପତ୍ରାଳୀ
ବେଳାଚିନ୍ତା ଓ ବୈଜ୍ୟରେ ନିର୍ମାଣ
ବୋଲିଗନ୍ଧିର ନିର୍ଦ୍ଦେଶ



J 009-506 J
0020888411351



წიგნი შეადგინა და გამოკვლევა დაურთო
ზეინაბ ლომჯარიამ

რედაქტორი: თამაზ პვერაშვილი

გარეკანზე: [მუწ] რჩხა პაოლო იაშვილის ავტოგრაფი;
კარიკატურები ოსკარ შმერლინგის

ISBN 99928-0-079-8

წიგნი იბეჭდება შემდგენლის საფასიო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.XI.2000

ფორმატი 60X84 1/16

ტექსტი აანუ ნათია კუპრაშვილმა
დააკაბადონა გრამიტო ჩხაიძემ

K 245848

გამომცემლობა „პოლიტ-ჰინტი“

დაიბეჭდა შ.პ.ს. „ფავორიტში“

საებ-2000
გამოშევალია

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11

რედაქტორის ნინათქმა

“პოეტები, ეს მცირე დემიურგები, არა მარტო ქმნიან ახალ, მხატვრულ სინამდვილეს, ზოგჯერ ამ სინამდვილის ავტორსაც გამოიგონებენ ხოლმე.” მასთან ერთ უფრო ცნობილი კატეტების შესახებ მის მიხედვით დაუდინაოდ არ არის მარტო ქმნიან ახალ, მხატვრულ სინამდვილეს, ზოგჯერ ამ სინამდვილის ავტორსაც გამოიგონებენ ხოლმე.

ყოველი ასეთი გამონაგონი ანუ მისტიფიკაცია ფსევდონიმს „ეფარება“, თუმცა ყოველი ფსევდონიმი მისტიფიკაციას როდი ისახავს მიზნად: მაგალითად, „ასტრამურ შერვაშიძე“ ოდენ ფსევდონიმია პაოლო იაშვილისა, „ელენე დარიანი“ კი პაოლოს მისტიფიკაცია გახლავთ.

ცნობილი ამბავია: კაცები, თუ დასჭირდათ, ტრადიციულად საქალო საქმეს ქალებზე უკეთ აკეთებენ – საუკეთესო მზარეულები, გადია-ლალები, თერძები სწორედ მამაკაცები არიან... ახლა ამისი ტრადიცია აღარ არსებობს, თორუმ კაცი არც არჭაზე დაუკრავდა, ალბათ, ქალზე ნაკლებად. საერთოდაც, ქალის ბუნების, მისი შინაგანი სამყაროს წარმოჩენაში – მეცნიერული კვლევა იქნება ეს თუ მხატვრული წარმოსახვა – უდავო პრიორიტეტი კაცებსა გვაქვს, თუმცა აქ ბიოლოგიურ სქესზე მეტად სოციალურ-კულტურულ-ისტორიული ფაქტორებია გასათვალისწინებელი: „კაცუკის“ თეატრში ბევრმა ვიხილეთ ქალის როლის გენიალურად განმახორციელებელი მამაკაცი – ამისი მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია არსებობს იაპონიაში.

ამიტომაც დაჲკრავს, მეტი რომ არა ვთქვათ, გვარიანი გულუბრყვილობის ელფერი მოსაზრებას – მამაკაცი, თუ ის „გადახრილი“ არ არის, ქალის ქვეცნობიერში მთვლემარე იმპულსებს ვერც დაიჭერს და ვერც წარმოაჩენს; თითქოსდა ამ იმპულსთა

„ლოკატორი“ მხოლოდ ქალური გენიტალიები იყოს... არამც და არამც! აქ მთავარია (გალაკტიონს დავესესხები) „ნიჭი, ძაბიკო, ნიჭი“...

ელენე დარიანის ძალუმი ქალური ვწებით დამუხტული პოეზია ნაყოფია ასეთივე ძალუმი პოეტური წარმოსახვა-გარდასახვისა. ამის ნიჭით გახლდათ ცხებული პაოლო იაშვილი, ღვთით პოეტი. პოეტურ ნიჭს კი არამცო ქალის, ხოჭოს „ვწებანიც“ კი შეუძლია ისე წარმოაჩინოს, რომ ავტორს – კაფკას ცნობილი პერსონაჟივით – გიგანტურ „ტარაკანად“ ტრანსფორმირება არ დასჭირდეს.

ქალის ფსიქოლოგიას სრულყოფილად მხოლოდ ქალი ან რა-მდენადმე „გაქალებული“ მამაკაცი თუ ჩასწერდებაო, ამ არაკორე-ქტული ამოსავალი თეზის ლოგიკურ განვითარებას, შეუძლია, მცდარ დასკვნამდე მიგვიყვანოს... და, ჩემი აზრით, მიიყვანა კიდეც ისინი, ვინც ასეთი სილოგიზმი „ააგო“: ელენე დარიანის ლირიკაში ისეთი ქალური „ინტიმია“, მას მხოლოდ ქალი ან ქალურობისკენ გადახრილი მამაკაცი თუ შექმნიდა; ამგვარი ეჭვი კი – შორს პა-ოლოსაგან, მამაკაცობის ეტალონისგან; ამიტომაც – „ვეძიოთ ქალი“, რეალური ქალი-ავტორი, შემოქმედი „დარიანული დღიურე-ბისა“...

გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ – აქ ეძებენ ავტორს, სწორე-დაც ავტორს და არა, ვთქვათ, შთამაგონებელს ამ ლექსებისას...

არადა, პოეტის შთაგონების წყარო ათასი რამ შეიძლება იყოს – ბუნება, ნივთი, ქალი, სტრიქონი... მაღალ პოეზიას იმპულსი, შე-იძლება, ვისამე ნედლმა, გაურანდავმა სტრიქონმა, „გიმნაზისტკუ-რმა“ პოეტურმა ვარჯიშობებმაც მისცეს... ესეც საქმეა, მაგრამ ამით როდი კმაყოფილდებიან, „დარიანული ციკლის“ ავტორი ქა-ლიაო; პაოლო, თხემით ტერფამდე ნალი მამაკაცი, ამგვარი ქა-ლური „დათუთქვის“ ავტორად ვერ წარმოიდგინებაო.

არადა, პირიქით მგონია – ქალურ ეროტიკას სრულად სწორე-დაც ნალი მამაკაცი შეიცნობს და, შესაბამისად, წარმოაჩინს კი-დეც, რამდენადაც ასეთი მამაკაცები მიელტვიან და აღნევენ ხოლმე ამ ეროტიკის მწვერვალს – სქესთა შენივთება-შერწყმას, ერთსულ-ერთხორცობას, რითაც თითქოსდა პრაქტიკულად რეალიზდება პლატონის „ნადიმში“ თეორიულად ნავარაუდევი არქეტიპული მოდელი: ოდესლაც გახლეჩილი სულისა და ხორცის

გაერთიანება-გამოლიანება ანუ: ჭეშმარიტი (არა - „მმაჩ“-ით რეგისტრირებული) შეუღლება.

ზემოთ აღვნიშნე, კაცები ლამის ყოველ საქმეში მოცილედ გაუხდნენ ქალებს-მეთქი... პირუკუ პროცესიც ხდება - ქალებიც ტოლს არ გვიდებენ ჩვენს ტრადიციულ საქმინობაში. ეს ყველა-ფერი როცა სოციალურ სფეროს ეხება, მეტნაკლებად ასატანი რეალობაა. მაგრამ არის საზღვრებიც... და არის სფეროებიც - ბიოლოგიური, სულიერი - სადაც სქესთა ავტონომია, ჩემი აზრით, სამისდღეშიოდ განსაზღვრულია: ქალს დედობაში არ ჰყავს მოცილე, კაცს - მამობაში; არა ჰყავს-მეთქი, თუმცა ტრავესტიზმა და პლასტიკური ქირურგიის თვითმიზნურმა, უფრო სწორად - ამორალურმა, განვითარებამ ლამის ეს საღვთო განსაზღვრულობაც წაშალოს.

ნუმც იყოფინ, რაიმეთუ:

ღმერთმა დაგვიფაროს და, თუ ეს მოხდა, მოიწევა კიდეც კაცთა მოღვაზე რისხვა ისეთი, ბაბილონის გოდოლის ამშენებლებს რომ არც მოპლანდებიათ: უფალი მოგვაითხავს თავის საქმეში ჩარევას; ადამიცა და ევაც მისი შექმნილია და საბაომა, დიდმა დემიურგმა და უპირველესმა „დასტაქარმა“, ევა კი არ გაგვიადამა ან ადამი კი არ გაგვიევა - ადამის ნეკნისაგან შექმნა ევა... ანუ: ევა-სათვის იმავე თიხის, ოღონდ - სულჩადგმულის, ნატეხი გამოიყენა, რისგანაც ადამი მოზილა.

პაოლომაც, პოეტმა და, აქედან გამომდინარე, მცირე დემიურგმა, მას წაპბაძა, ოღონდ საკუთარი პოეტური სხეულიდან ამოირიდა ნეკნი და მისგან თავისი პოეტური ევა შექმნა - ელენე დარიანი.

თამაზ კვაჭანტირაძე
8.8.2000.



ძახილი

მარგალიტები მოვიხვიე ყელზე სამ წყება...

მარგალიტები, იაგუნდები...

არ შემიძლია შენი სახის გადავიწყება!

არ დაპრუნდები?

თეთრ შემოსილი ვწევარ მე შენს ნაცნობ
საწოლზე

სევდიანია ღამე მძინარი;

ნუ თუ არ ფიქრობ, სანატრელო, შენს სათუთ
ცოლზე...

არავინ არი!...

ჩუმად ვკითხულობ შენს ძველ წერილს
ყვითელს, დახეულს...

სხვა რა მაქვს შენი მე ამის გარდა?

მე თვითონ ვკოცნი ჩემს თეთრ მკლავებს,
ჩემს დამწვარ სხეულს,

შენ რო გიყვარდა...

მაგიუებს სითბო, ვერ ვიგუე ფარჩის საბანი,
ჩემს ოთახს ავსებს შენი ლანდები.

სანატრელია ყველასათვის დღეს ჩემი ტანი,
ნუ გვიანდები.

არ შემიძლია დავიწყება შენი სახისა...

დავფარე ტანი ბნელ ნაწნავებით;

ვიხუტებ ვწებით მსუბუქ ჰაერს ჩემ ოთახისას
თეთრი მკლავებით.

ჩემი თავადი

ინტერვიუ

გათავდა ნადიმი. სად არის მხლებელი.

ცხენები მზად არის? – „თავადო გელით“.

ძვირფასი ყვავილი, ჯერ ხელუხლებელი უამოშე
თავადმა გადმომცა მთრთოლვარე ხელით.

– „უთქვენოდ შესწუხდა, დაბნელდა დარბაზი“.

– „ეგ ხომ სულ ერთია... მზე უკვე ჩადის,
მახარებს, თავადო, საღამო ლამაზი,
ცა ნაზი საღამო ლხენას გვიქადის“!

თავადის თვალები, ვით ჩუმი ზღვა დილით,

ისეთი ლრმა არის... ო, მალე, მალე!

გული ანთებულა საოცარ ნადილით
მსურს ვუთხრა ჩემს თავადს – „შენ გენაცვალე“.

ჩქარობენ ცხენები, მთვარე ამოსცურდა

მდინარე მთებისა მთის ამბავს მღერის.

ასრულდა ნადილი ჩემს სხეულს რო სურდა, მას ძალა უნდოდა მწველ სიძლიერის,

და ჩემი თავადი ლომივით ძლიერი,

ჩემს სხეულს ბატონობს, ჩვენ ველზე ვხარობთ.

მდინარის ნაპირს ვართ ჩვენ ბეღნიერი,

შორს, საღლაც იცინის ჩუმის ხმით წყარო.

ჩამთარში

ჩემი ოთახი ცისფერია, ნაზი ფერია, და ყავი ინტერიერი ცისფრად მორთული დამიხვდები, გააღე კარი; ლოდინის წუთი დღეს ისეთი მშვენიერია – ვით პირველ ღამეს, პირველ ღამეს ჭაბუკი ქმარი.

რად დაღალულა ყვავილები ვენერას მკერდით,
მზის სიხარული ჩემს ფანჯარას რად ერიდება?
შიშით გადავშლი, ერთმანეთს რო წერილებს ვწერდით,
და ჩემს არსებას ძველი ალი მოეკიდება.

მტრედის ფერ თოვლით ჯერ სამყარო არ დაფარულა,
მაგრამ მოსცილდა მას სიმწვანე გასახარელი!
ჩვენმა ოცნებამ გაზაფხულზე იმხიარულა,
ახლა კი მესმის: ის არ მოვა, მას ალარ ელი.

უხმოდ დასრულდა დღე უმზეო და მგლოვიარე
მენატრებოდა – და გულს ალარ ეიმედება.
ჩემი სხეული ცივი არის, როგორც ის მთვარე, ჩემს ფანჯარაში სიკვდილივით რომ იხედება.

პირამიდები

უზურფიტა

ისე მოვედი, რომ არავინ არ მომ – ელოდა,
 მივეცი კოცნა მებალეს და... გაიღო კ – არი,
 მარტო ვიყავი!.. ჩემს გარშემო ლურჯად ბნ – ელოდა,
 მაგრამ შემომხსნა ქმრის ხელებმა ტანზე ქამ – არი!...
 გავყვეთ სიმღერებს! ჩემი ვნება ალდ – ართულია
 და ის მახარებს, მამაისებს ბალში შე – მოსულს,
 რომ ჩემი კოცნა, სიყვარული, ხმაც ქ – ართულია,
 ყოველთვის ციურს ჯერ უცნობი სიგიჟე – რომ მსურს
 ჩემი ცხოვრება ისეთია, როგორც – ოცნება,
 ჩემი წუხილი, სიხარულიც ტრფობის ბ – რალია,
 ჩემს სხეულს მეფობს ხან სინაზე, ხან სა – ოცრება,
 დედოფლობს გული! ის ყოველთვის მომლე – რალია.

სოლიან ტარა კომიტეტ, მარტენიშვილი თემა, უცხოულებელ
 წნეანე ტალავების არამშემოებრ ჩემი ავტორი, ა – ურანი.
 გამოიტოვინ მენი ასეთი ხელმისამართი ა – ურანი.
 დაუწყებს ძებნას უდაბნოში თელი ხელი – ურანი.

შესრულებული

*

* *

მაგიურებს სითბო! ვერ ვიგუე ფარჩის საბანი.

ჩემიდან.

უკანასკნელი მოვიხსენი ტ-ანსაფარავი,

დადუმებულ მხრებს ელანდება შეხება – ნელი,

სავნებო გზაზე სიბნელეა არ სჩ-ანს არავინ,

სასიზმრო ლოცვა ვიგალობე უკანასკ-ნელი.

დამეძინება... გათავდება ზანტი ზ-მორება.

და დამშვიდდება ჩემი მკერდი ჯერ ხელ-უხლები;

ძილში ჩემს მუცელს ვიღაც ვაჟი ეამ-ბორება

და ვნებისაგან იღუნება ჩემი მ-უხლები.

მზის აყვავება გამომტაცებს მწველ ად-ამიანს,

(ჩემს შეყვარებას მწუხარება კვლავ მოემ-ატა!)

და დაღონებულს, ვაჟის კოცნას, კოცნას ნ-ამიანს,

ვარდისფერ ენით მომაგონებს გამობარი კ-ატა.

პირამიდებში

იური იაკობიძე

იქ, სადაც სდუმან პირა-მიდები,

მზის ქორნილის დროს, მე დავწვები მზისფერ – სილაზე,

იქ, სადაც სდუმან პირა-მიდები,

შენ მო-მინდები,

შენი თვალები, შენი მკლავები, შენი – სინაზე.

შენ მოგაფრენს ცხენი არ-აბული,

თვალებ დან-აბული,

საყვარელ ხელებს მივეცემი, როგორც ნაზ ს-ანოლს

და შენ დამკოცნი ვით დედოფალს, ვით მონას და ცოლს.

ტკბილი იქნება ცხელ სილაზე ჩვენი თა-მაში,

მზიურებს – მაშინ

არაფერი მოგვაგ – ონდება...

პირამიდებში ატირდება ლოდინით – რაში,

ლურჯ სფინქსთან მივა, უცქერს დიდხანს და დალ – ონდება.

სილიან ტანით მდინარისკენ გავეშ – ურებით,

მნვანე ტალღებში დავამშვიდებო ჩვენ ლელვას, ა – ლურს.

გამოფხიზლდება შენი რაში სფინქსის ყ – ურებით,

დაუწყებს ძებნას უდაბნოში თავის სიყვა – რულს.

თერადი სონეფი

მომდურავ თავადს მე ვიგონებ ნაზი ზმანებით.
 ნაიღო კოცნა და ნანილი ჩემი პერანგის;
 ყველას გიყვარდათ, – სიყვარული მეც დამანებეთ...
 მე მოვიტანე ელვარება ფერადი ჰანგის.
 და ჩემ ცელქ ფეხებს ენატრება რკალი უზანგის,
 არავის კოცნას არ ვიგონებ მე დანანებით;
 მე გამეხარდა გალიმება ბავშვური ზანგის,
 ყვითელ ქაირში რომ ვაჭრობდა მკრთალ ბანანებით.
 მე ერთი ვნახე და ვეღარ ვსთქვი თამამი „არა“.
 და მომენონა რომ მფარავდა მე ოქროს ბადე...
 მე მიხარია ბნელ თვალებით რომ დავიბადე,
 რომ ბედში ვცხოვრობ და ტრფობისთვის მაინც არ კმარა...
 თეთრი თავადის დაბრუნება მე თრთოლვით ვცადე,
 ავტირდი ჩუმად, როცა რაში ტყეს მოეფერა.

ც

კარის და მარის და მარის მარის და მარის და მარის
 და მარის – ე ძირებულ მცდელობის და მარის და მარის
 და მარის – ე ძირებულ მცდელობის და მარის და მარის
 და მარის – ე ძირებულ მცდელობის და მარის და მარის

ପ୍ରଦୀପ କାନ୍ତେ

ხშირია სიჩუმე ოთახის სტუმარი,
წვიმის დრო მოვა და დილამდის დარჩება,
ბუხართან კატა ყოველთვის მდუმარი...
ცისფერი ოთახი წითლად იფარჩება.
მივდივარ ბუხართან; რა მინდა! რა ვიცი!
ელავენ, თბებიან ტიტველი ფეხები.
მე არ შემიძლია, მე მარტო დავიწვი,
და ფეხის გულებით კატის ზურგს ვეხები.
და ისევ ზმორება, ვნება უნინდელი,
კატასთან თამაში და თრთოლვით ხუმრობა.
ძვირფასმა მაჩუქა გამხდარი ცინდალი:
მე მიყვარს ზამთარში სიჩუმის სტუმრობა.

ყოველთვის მაისში

604 49 86

ყოველთვის მაისში

ავსწიე ფარდა, და მაისმა აკოცა მინას,
 ვინც მე მიყვარდა ის ჩემთან არი და ჩემთან სძინავს,
 ვაკოცებ ხელზე, როგორც წმინდანს მე დავკოცნი მას,
 და სხვა სახელზე მე დავიწყებ მერე ოცნებას.
 და მორიდებით, კოცნას ვმალავ მე იმის თმაში
 და ძვირფას ქვებით მომინდება მერე თამაში.
 ზურმუხტს და ლალებს, მოვიფანტავ ტანზე ძვირფასათ,
 დავხუჭავ თვალებს: მეყვარება მაისის მზგავსათ.
 კოცნით გამოთბარი, სიხარულში გავინმინდები;
 იღვიძებს ქმარი, რომ ჩამაცვას თეთრი წინდები.
 ძვირფასი ქვები, ჩვენს საწოლში დაიფანტება...
 მე ვკვდები, ვკვდები – მისი ხელი მკერდს ელანდება.
 შიშით ვიცანი: – რომ მაისი გაგვითენდება
 და ჩემი ტანი სიყვარულში დაითენთება.

ქლება და ამაღლება

„ამაღლება მგონი იქნება ქარი!..

ვაი დედოფალ ტყემლების ბრალი!

დაღონებული წავიდა ქმარი,

და დაბრუნდება დილაზე მთვრალი.

დიდი ხანია ამ ბუხრის ალში

ტკივილით იწვის ჩემი ოცნება...

ქმარმა გასცვალა მომღერალ ქალში

ჩემი ცოდვილი პატიოსნება...“

ალბათ მოჰყება მას სავარცხელი

უფრო უბედულ ჩემი მეტოქის...

მეტყვის ბრძანებით: – მომეცი წყალი ცორნილი დოქის.
ჩემი ფერადი სპარსული დოქის.

მონა ვარ მისთვის მე სასახელო

(მე ის მკოცნიდა სხივიან დღეში):

ღვინით გასვრილი მისი საყელო

გადავარდება მყუდრო კუთხეში.

ქმრის სითამარე ჩემი ბრალია.

არ ვწუხვარ ბევრი რომ მოვეხაორე...

რადგან ძვირფასი მეტად მთვრალია

დაეძინება მას ჩემზე ადრე.

ცისფერი ქოლგა

მე სოფლის ამბავს შენ მოგიყვები,
(შენ რომ ჰკოცნიდი ტუჩების კიდეს),
ისე დაზრდილან ჩვენი იხვები,
რომ პეპლაობა დაიწყეს კიდეც.

შემომეჩვიენ ჩუმი მტრედები.

თმას მიხილავენ ლურჯ ნისკარტებით.

ამ სიყვარულით ნაიმედები,

თავს ვიმშვიდებდი სოველ ვარდებით.

ვკითხულობ ვაჟას, ვიძულებ პოეს,

ვნატრობ სუსხიან მწარე ამინდებს;

ზურგს ვუფხან დღისით პატარა ხბოებს

და საღამოზე ვიფერავ თითებს.

ვწოვ ყურძენს, როგორც მკივანა ბზიკი,

ტყეში ვნახულობ მე წითელ სოკოს;

ხან მღვრიე მაჭარს ვსვამ რგვალი ჭიქით,

ხან ვგავარ სოფლის მკერდ-სავსე გოგოს.

წვიმაში ვარჩევ სიმინდის ტაროს

და ლამაზ ტაროს ვაკოცებ უცებ,

მერე კი ვათევ ლამეს უმთვაროს,

და იჭვით სავსე გულს არ ვახუცებ.

სექტემბერი.

სოფ. ავლევი.

የግዢርንጻ አናኝ የአዲስአፍሪካያዊ

მე მინდა გიოხრა სამძიმარი:
რომ ბლოკი მოკვდა!
ხან და ხან ჩუმი და მძინარი
მეცა ვარ ბლოკთან.

ჩამოლდი ჩემთან. მე მგონია
ვიქწებით დები:
თუ პეტერბურგის აგონია
გიყვარს... და ვცდები.
თბილისის მაღლი და შვენება
გიშველის, ვიცი.
ორივეს ერთად გვეჩვენება
ნასული პრინცი.

შენ დაღალული გიბანია
სხეული ნისლში...
ჩემი ქვეყანა ისპანია
არი ივლისში.

მე ცოტა მიცნობს: სხვანაირი
მეწვია ბედი.
შენთვის საჩუქრად მაქვს დაირი
და ოქროს გედი.
ჩვენი მზე, ჩვენი მხარე ლურჯი
ლოყებს აგინთებს;
აკოცე შენი ცივი ტუჩით
თამარის თითებს.



პარიზისკვენ

უნდა აყვავდეს მალე ქვიშნები,
 უნდა ბალახი დილამ დართვილოს;
 მე ამ ზაფხულზე დავინიშნები
 და მივატოვებ ჩემ საქართველოს.

მე დავშორდები ძვირფას პოეტებს
 და თან წამყვება ვაჟას კრებული;
 ჩემ ლექსს ბალიშ ქვეშ ვინ ამოიდებს
 ჩემი კოცნებით გაოგნებული.

ჩემო ქვეყანა, მეტად ძნელია
 შენი დაკარგვა და დატოვება;
 სოფლის ბავშვები აღარ მელიან
 არ მელის მუხა ათასრტოება.

ჩემო ქვეყანა, ვიცი პარიზი
 არი გულის და თვალის ამხელი.
 ვიცი მომელის მე უარესი,
 ალბად გატყდება ჩემი სახელი.

აქ ჩემ სულს კიდევ მზე მოუვლიდა,
 დაშორებულს კი ვეღარ მიშველი;
 იქნებ დაინყოს ცოდვა ლუვრიდან
 და გადავიქცე მე ბულ მიშელი.

მაგრამ არ მინდა ლხინი ჭიქების,
 მინდა მივიდე შეუცოდველი
 ყრუ მონასტერში კათოლიკების,
 სადაც მიკითხავს ლოცვას კლოდელი.

მაშინ დავცინებ მე ჩემს საროს ტანს,
 უკვე დაქანცულს ვნების წვალებით...
 მე ვეღარ მივალ სოფლის წყაროსთან
 და ვერც თამაშით დავიღალები.

პაოლო იაშვილის დარიანული
ლექსების პირველი პუბლიკაციები:

1. ძახილი. გაზეთი „მეგობარი“, 1915 წ.; № 33, 8 ნოემბერი.
2. ჩემი თავადი. გაზეთი „მეგობარი“, 1915 წ.; № 33, 8 ნოემბერი.
3. ზამთარში. გაზეთი „მეგობარი“, 1915 წ.; № 62, 13 დეკემბერი.
4. უვერტურა. უურნალი „ცისფერი ყანწები“, 1916 წ.; № 1.
5. *** (უკანასკნელი მოვიხსენი...) უურნალი „ცისფერი ყანწები“, 1916 წ.; № 1.
6. პირამიდებში. უურნალი „ცისფერი ყანწები“, 1916 წ., № 1.
7. ფერადი სონეტი. უურნალი „ცისფერი ყანწები“, 1916 წ.; № 2.
8. მე და კატა. უურნალი „ცისფერი ყანწები“, 1916 წ.; № 2.
9. ყოველთვის მაისში. უურნალი „ცისფერი ყანწები“, 1916 წ.; № 2.
10. ელენე დარიანი წერს უბრალოდ და აპნეულად. გაზეთი „ბარიოკადი“, 1920 წ.; № 2, 25 ოქტომბერი.
11. ცისფერი ქოლგა. უურნალი „მეოცნებე ნიამორები“; № 7, ნოემბერი.
12. წერილი ანა ახმატოვას. უურნალი „მეოცნებე ნიამორები“, 1922 წ.; № 8, დეკემბერი.
13. დარიანული. უურნალი „მეოცნებე ნიამორები“, 1923 წ.; № 10, დეკემბერი.
14. პარიზისაკენ. უურნალი „კავკასიონი“, № 3-4, 1924 წელი, მაისი.

ზეინაბ ლომჯარია

შვილობის ტოლფასი „შეხებლი“ შეცდომები
(პაოლო იაშვილის „დარიანული ციკლის“ შესახებ)

„პსევდონიმის პრობლემა ძიებაა ნამდვილი
სახელის“ – გრიგოლ რობაქიძე, „სიტყვის
როინა“, კამარა პირველი.

(„მეოცნებე ნიამორები“, 1922 წ; დეკემბერი)

სამი წლის წინ პროფესორმა გ. ჯავახიშვილმა ერთადერთ წყა-
როზე – ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველიშვილის მემუარებზე
– დაყრდნობით პაოლო იაშვილის „დარიანული ციკლის“ ლექსების
ავტორობა ამ ქალბატონს მიაკუთვნა (გ. ჯავახიშვილი, „ცისფერყა-
ნელთა ცისფერი დედოფალი“, „ლიტერატურული საქართველო“,
1997 წ.; №№ 34, 35).

პროფესორის ამ უსაბუთო ფანტაზიის დაოკებას ამაოდ შე-
ეცადა სამი ავტორი: ლალი ავალიანი („ელენე დარიანის მითი“,
„ლიტერატურული საქართველო“, 1997 წ.; №№ 42, 43), ავთანდილ
ნიკოლეიშვილი („კიდევ ერთხელ ელენე დარიანზე“, გაზ. „ახალი
ქუთაისი“, 1997 წ.; 14 ნოემბერი), დავით თევზაძე („გზასაცდენილი
დისკუსია“, „ლიტერატურული საქართველო“, 1998 წ.; № 12).
ფაქტობრივი შეცდომებით, უზუსტონებითა და მეცნიერული
არაკეთილსინდისიერებით გაგრძელებულმა წერილების ციკლებმა
გაზეთში „კალმასობა“ „დაჯაბნა“ პირველი ჰუბლიკაცია და ბ-ნი
ჯავახიშვილი თავის „ალმოჩენას“ ახალ-ახალი ეპიზოდებით დღემდე
ავსებს.

გასულ 1999 წელს გაზეთში „კალმასობა“ (№ 5) ბ-ნმა ჯავახი-
შვილმა გამოაქვეყნა წერილი „ელენე დარიანის ანა ახმატოვასადმი
მიძღვნილი ოთხი ლექსი“ (ბ-ნი ჯავახიშვილი ელენე დარიანი
ელენე ბაქრაძე-ბერიშვილ-ქართველიშვილს გულისხმობს. ზ.ლ.).

წერილში „როგორ მოიქცევა პირუთვნელი მემატიანე?“ („ლი-
ტერატურული საქართველო“, 1999 წ.; № 40, გვ. 4) ჩვენ ვწერდით,
რომ ამ ოთხი ლექსიდან სამი (პირველი, მესამე, მეოთხე) – ანა

ახმატოვას ცნობილი ლექსების ელენე ბაქრაძე-ბერიშვილისეული თარგმანებია, ხოლო მეორე ლექსის – „წერილი ანა ახმატოვას“ – ავტორია პაოლო იაშვილი. ანა ახმატოვას „რეკვიემის“ შესახებაც აღვნიშნავდით, რომ იგი პირველად 1987 წელს გამოქვეყნდა, ქალბატონი ელენე კი – 1979 წლის დეკემბერში გარდაიცვალა, ამდენად „რეკვიემს“ იგი ვერ ნაიკითხავდა.

„კალმასობაში“ (1999 წ.; № 6) დაიბეჭდა რედაქციის განცხადება მეტად უცნაური სათაურით: „უნებლივ შეცდომა, რომელიც აღმოჩენის ტოლფასია“. თურმე წერილის „გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ... დაკვირვებით ნაკითხვისას გ.ჯავახიშვილმა ამ ლექსებში ახმატოვა ამოიცნო (დაყოფა ყველგან ჩვენია. ზ.ლ.) და დედნებიც მოიძია“, – ვკითხულობთ აქ.

რედაქციის აზრით, გ.ჯავახიშვილს „ახალი აღმოჩენაც გაუკეთებია“: „ელენე დარიანი კარგი მთარგმნელიც ყოფილა“.

მაშასადამე, გაზეთის რედაქცია, მობოდიშების ნაცვლად, დილეტანტურ-აბსურდული განცხადების გამოქვეყნებით, ჭურში მჯდარი პროფესორის ამოვანას შეცადა, მაგრამ უშედეგოდ, რადგან დაკვირვებით ნამკითხველი იმ ოთხი ლექსიდან სამში, უჭველად, იმთავითვე, ამოიცნობდა ახმატოვას, ხოლო მეოთხეში – პაოლოს. ან იქნებ ბ-ნ ჯავახიშვილს ამ ლექსის დანიც მოძიებული აქვს?

რედაქცია მკითხველს განმარტებას არ აძლევს „რეკვიემის“ შესახებ. როგორ უნდა მოიცეს „პირუთვნელი მემატიანე ანა ახმატოვას სრულყოფილი პორტრეტის შექმნისას“ (ბ-ნი ჯავახიშვილის ციტატაა. იხ. „კალმასობა“, 1999 წ.; № 5), როცა გაიგებს, რომ „რეკვიემი“ ქალბატონი ელენეს გარდაცვალებიდან რვა წლის შემდეგ გამოქვეყნდა?

„ისევ არქივს შემოუნახავს ელენე დარიანის ლექსი, რომელიც მას 1919 წელს დაუწერია და საერთო ნიშნებს ატარებს მის მიერვე 1922 წელს შექმნილ მეორე ლექსთან „წერილი ანა ახმატოვას“, – წერს ბ-ნი ჯავახიშვილი („კალმასობა“, 1998 წ. № 7). ეს აბსურდი მას შემდგომ დაინერა, რაც ჯერ კიდევ 1997 წელს („კალმასობა“, № 11) ბ-ნმა მკვლევარმა გამოაქვეყნა ანა ახმატოვას უსათაურო ლექსის („Протертый коврик под иконой...“) ელენე ბერი-

შვილისეული თარგმანის ავტოგრაფი. „დაკვირვებით წამკითხველ“ ბ-ნ ჯავახიშვილს, რომელიც ამაყად აცხადებს: „არც გამოკვლევები მაკლია, არც ხარისხები, არც წოდებები, არც წიგნები“ („კალმასობა“, 1997 წ., № 13), რამ შეუშალა ხელი ამოეცნო იმთავითვე ახმატოვა?

ჩვენ გაოცებული ვართ რედაქციით მსჯელობით – „ხელნაწერებში ლექსების დასაწყისში მითითებული „ანა ახმატოვა“ მკვლევარმა ლექსების სათაურად მიიჩნია, მათ ავტორად კი – ელენე დარიანი“ – თითქოს ეს მკვლევარი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კი არა, აგრონომიულ მეცნიერებათა დოქტორი იყოს, ისიც ვიწრო სპეციალობით – კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივი თესვის ხაზით – ვისაც ანა ახმატოვას პოეზიის არცოდნაც ეპატიება და მასთან, უფლებაც აქვს, პოეტს რითმა დაუწენოს.

„კალმასობის“ რედაქცია ისე თამამად აცხადებს ბ-ნი ჯავახიშვილის უნებლიერ, მაგრამ აღმოჩენის ტოლფასი შეცდომის შესახებ, თითქოს ავტორს თავისი წერილი სალიტერატურო-სამეცნიერო ორგანოში კი არა, ზოგადსაგანმანათლებლო რომელიმე ტექნიკურის კედლის გაზეთში დაებეჭდოს. „აღმოჩენის ტოლფასი უნებლიერ შეცდომის“ თავიდათავი კი გახლავთ: მემუარისტი ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველიშვილი, რომელსაც ბ-ნი ჯავახიშვილი ბრძანად ენდობა.

ახლა იმ სხვა შეცდომების შესახებ, „აღმოჩენის ტოლფასი“ რომაა:

1. ბ-ნი ჯავახიშვილის პირველი წერილი, როგორც აღნიშნეთ, გამოქვეყნდა „ლიტერატურულ საქართველოში“ 1997 წ. (№ 34) სათაურით: „ცისფერყანწელთა ცისფერი დედოფალი“. პირველივე აბზაცში ვკითხულობთ: „1912 წელი... იმ ზაფხულს საჩხერის მახლობლად ლესევში, მუავე წყლებზე, ისვენებდა მთელს იმერთში სახელგანთქმული ფარმაცევტის ჯიბრაილ მიხეილის ძე იაშვილის ოჯახი“.

გასაგები მიზეზის გამო ამ ფაქტის გადამოწმება ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება. უნდა ვიგულისხმოთ, რომ გ.ჯავახიშვილმა ეს ამბავი ქ-ნი ელენეს მემუარებიდან შეიტყო, მაგრამ... მაგრამ ქართული კარტოგრაფია სოფელს დასახელებით ლესევი

არ იცნობს! უფრო მეტიც, ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯიბრაილ იაშვილის მამას არ ერქვა მიხეილი.

1910 წლის „Кавказский календарь“-ი უზვენებს, რომ ჯიბრაილ დავითის ძე იაშვილი არის „Депут. Чатурск. марганцевр. общество взаимного кредита“ (გვ. 650), ხოლო 1916 წელს ჯიბრაილ დავითის ძე იაშვილი გახლავთ ქუთაისის სათათბიროს ხმოსანი დეპუტატი.

1915 წლის 14 ოქტომბერს გაზ-ში „მეგობარი“ (№ 38) გამოქვეყნდა „ქუთაისის მიხეილის სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის“ მევალეთა სია, სადაც რიგითი ნომრით 3664 მოხსენიებულია: „იაშვილი ჯიბრაილ დავითის ძე: კაზაკოვის ქუჩა, მინა ზომით 200 ოთხკუთხი საუენი, თავნი ვალი 7125 მანეთი და 64 კაპ. დარჩენილი გადასახადი 400 მანეთი და 21 კაპ.“

1917 წლის 28 სექტემბერს გაზ-ში „სახალხო საქმე“ (№ 61) გამოქვეყნებულია განცხადება: „ჯიბრაილ დავითის ძე იაშვილი, მეულე ბაბილინა ბარონის ასული, შვილები: პელაგია, მიხეილი, პაოლო, კონსტანტინე, ენერიკო და ივანე იუნიებიან, რომ ქ. ჭიათურაში გარდაიცვალა პირველის ძმისწული, დანარჩენთა ბიძაშვილი, ქ. მოსკოვის კომერციული ინსტიტუტის სტუდენტი დავით სიმონის ძე იაშვილი.“

თუ ბ-ნი ჯავახიშვილი ამ ცნობებს არ ენდობა, მაშინ ჩვენ მოვიხმობთ ასეთ საბუთს:

По указу Его Императорского Величества, Самодержца Все-российского, дано сие из Грузино-Имеретинской Святейшего Правительствующего Синода Конторы проживающего в городе Кутаисе, дворянину Джибраилу Давидову Яшвили в том, что вследствии просьбы его о выдаче ему свидетельства о рождении и крещении сына его Павла наведена была справка, по коей оказалось, что в метрической книге Имеретинской Епархии, Аргветской Георгиевской церкви, за тысяча восемьсот девяносто второй год, в первой части родившихся, в статье 14-ой мужского пола записано: родился второго, крещен седьмого Августа Павел: родители его: дворянин Джибраил Давидов Яшвили и законная жена его Бабилина Баранова, оба православной веры: восприемником был дворянин Симон Иосифов Абашидзе таинство

крещения совершил священник Спиридон Абрамишвили с диаконом Иларионом Забахидзе. В чем Грузино-Имеретинская Синодальная контора надлежащею подписью и приложением казенной печати удостоверяет.

Документ этот оплачен надлежащим гербовым сбором Г.Тифлис Ноября 24 дня 1899 года.

Член Синодальной конторы Архимандрит Гермоген.

Секретарь С.Мгалоблишвили.

Столоначальник Н.Берииев (м.п.)

Верно:

Помощник Секретаря (подпись)

და თუ ბ-ნი ჯავახიშვილი ამ საბუთსაც არ ენდობა, ჩვენ შემდგომში ნარმოვადგენთ ჯიბრაილ დავითის ძე იაშვილის დაბადების მონმობას. ვსარგებლობთ შემთხვევით და მადლობას მოვახსენებთ ქუთაისის ცენტრალური არქივის თანამშრომელს, ქალბატონ ნაზი თუთაშვილს, იაშვილების ოჯახის შესახებ საარქივო მასალების გამოქვეყნებისათვის.

ბ-ნი ჯავახიშვილი თუ არა, ჩვენი მკითხველი მაინც დარწმუნდება, რომ ჯიბრაილ იაშვილის მამას ერქვა დავითი, ხოლო ამ საბუთით 1892 წლის 2 აგვისტოს დაბადებული და 7 აგვისტოს მონათლული პავლე გახლავთ: შემდგომში ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე პაოლო იაშვილი, „არგვეთელი პროვიზორის ბიჭად“ რომ მოიხსენია 1997 წლის შემოდგომაზე რადიოგადაცემის – „ლიტერატურული პორტრეტები“-ს ავტორმა. ბარემ აქვე დავძენთ, რომ პაოლო იაშვილი უბრალო, რიგითი აზნაურის ოჯახში არ დაბადებულა: მისი დიდი ნინაპარი კაცი ია გახლდათ ზურაბ ივანეს ძე იაშვილის (იხ. „იმერეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები“, ფოტოტიპიური გამოცემა პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით, თბ.; გამ. „ჯალი“, 1999 წ.) ვაჟი – იმერეთის მეფის, ხოლომონ მეორის მეოთხე სადროშოს მენინავე დროშის მტვირთველი, მრავალი ომის მონაწილე, გარეგნობითაც გამორჩეული – ახოვანი, მიმზიდველი ვაჟუკაცი. პაოლო იაშვილი ამბობდა თურმე: „მე მამგანებენ ჩემს ნინაპარს კაცია იაშვილსო“. ცნობილია ისიც, რომ კაცია თხზავდა ლექსებს, ექსპრომტებს. მისი შთამომავლებიდან ლექსებს წერდნენ: შვილიშვილი – იოსებ როსტომის ძე, იოსების

ვაჟი – ლადო, რომელიც ცნობილია „შავბიქას“ ფსევდონომით, შვილთაშვილი – პაოლო (იხ. შ. გოზალიშვილი, „აკაკი წერეთლის ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის“, წიგნში: „ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები“, VII, „მეცნიერება“, თბ.; 1976 წ.; გვ. 78-91.). რაც შეეხება ჯიბრაილ იაშვილს, მან უმაღლესი განათლება კივეში მიიღო. უურნალის, „ცისფერი ყანნების“ მხატვარი ვლადიმერ (ლადო) ჯაფარიძე წერს: „პაოლოს მამა ჯიბრი იაშვილი ფართოდ იყო ცნობილი ქუთაისის საზოგადოებაში, როგორც გამრჯვე, შრომის მოყვარე, პატიოსანი მეოჯახე, განათლებული და თავისი სამშობლოს პატრიოტი. მას რვა შვილი ჰყავდა: ექვსი ვაჟი და ორი ქალი“ (იხ. უურნალი „კრიტიკა“, 1976 წ.; № 3, გვ. 166).

ჯიბრაილ იაშვილი პროფესიით გახლდათ პროვიზორი და, თუ დღეს ვინჩეს ამ სიტყვის მნიშვნელობა არ ესმის, განვუმარტავთ: იგი აფთიაქის მუშავს, უმაღლესი განათლების მქონე ფარმაცევტის ნიშნავს.

რაღიოგადაცემის ორატორი ბრძანებს: „პაოლო იაშვილმა არცთუ დიდხანს ისწავლა ქუთაისში, რადგან სიბეჭითე ვერ გამოიჩინა“.

ქუთაისის სახელმწიფო ცენტრალურ არქივში დაცული დოკუმენტების მიხედვით პაოლო იაშვილი 1900 წლის 1 სექტემბრიდან 1911 წლის 14 ივნისამდე სწავლობდა ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში. აქვეა გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს ოქმები, საიდანაც ირკვევა, რომ სწავლის ქირის გადაუხდელობის გამო, 1907 წლის 1 აპრილს და 1909 წლის 1 ნოემბერს პარლო იაშვილი და ტიტიან ტაბიძე, სხვა მონაფებთან ერთად, ვაჟრიცხავთ გიმნაზიიდან, ხოლო თანხის შეტანის შემდგომ, იმავე პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით, ისევ აღუდ გენიათ. მონაფეთა მშობლებს წელიწადში 70 მანეთის გადახდა უჭირდათ და პაოლო ერთადერთი რომ არ გახლავთ ამ შემთხვევაში, დოკუმენტებიდან აშკარაა. გარდა ამისა, გარიცხვა – მონაფის მოწყვეტას სწავლის პროცესისაგან არ გულისხმობდა: გარიცხვა-აღდგენა ერთსა და იმავე დოკუმენტშია აღნიშნული (დაწვრილებით იხ. ლ.მესხი „ქართველი პოეტები ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში“, „საისტორიო მოამბე“, 1978 წ.; № 37-38; ნ. თუთაშვილი, „გზის დასაწყისი“, „საისტორიო მოამბე“, 1992 წ.; №63-64).

ვისაც პაოლო იაშვილის განათლებაში ეჭვი შეაქვს, ვთხოვთ, მოუსმინოს სიმონ ყაზეჩიშვილს: „ქუთაისში, საშუალო სკოლაში ჩემზე ერთი კლასით წინ იყო, მაგრამ ლიტერატურულ სა-ლამოებზე, რომელიც ხშირად იმართებოდა გიმნაზიაში, მუდამ ვევდებოდით ერთიმეორეს. გარდა იმისა, რომ თავისი ბუნებით და ხასიათით ძალიან მიმზიდველი იყო, გამოირჩეოდა თავისი ცოდნით და პოეზიის საკითხებში იშვიათი ალლოთი. ჯერ კიდევ მონაფეობის დროს ზედმინევნით იცნობდა სხვადასხვა მიმღინარეობას ლიტერატურაში, რომელიც მსოფლიო პრესის ფურცლებზე წინ იყო წამონეული, როგორც წამყვანი მიმართულებებით (სიმბოლიზმი, ფუტურიზმი და სხვა). გარდა ამისა, თავისი, ავტორიტეტით გარშემოიკრიბა საუკეთესო ახალგაზრდები და ზრდიდა მათში მებრძოლ სულისკვეთებას საზოგადოების ჩამორჩენილი წანილის წინააღმდეგებს მისი მებრძოლი სულისკვეთება ძვირად დაუჯდა. VII კლასიდან გარიცხეს მგლის ბილეთით და ის წავიდა საფრანგეთში, სადაც კიდევ უფრო მეტად დაწინაურდა თანამედროვე მსოფლიოს პოეზიის საკითხებში. 8.V.1976 წ.“ (გამოაქვეყნა ალ.სიგუამ გაზეთში „სახალხო განათლება“, 1990 წ.; № 28, 12. ივლისი, გვ. 12).

ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს 1911 წლის 14 ივნისის ბრძანებით მეშვიდეეკლასელი პარლო იამვილი, მასთან ერთად: ალექსანდრე სტეფანეს ძე ხაბურზანია, ალექსანდრე გერასიმეს ძე ხუსია, ვლადიმერ დიმიტრის ძე ხოფერია, ილია რომანოზის ძე მახარაძე და ალექსანდრე გიორგის ძე მასხარაშვილი – გარიცხეს გიმნაზიიდან; აქ დასახელებულ ექვსი მონაფიდან პირველ ხუთს – ქუთაისის გუბერნიაში, ხოლო ალექსანდრე მასხარაშვილს – რუსეთის იმპერიაში – აუკრძალეს სწავლის გაგრძელება. აქვე დავძენთ: ალექსანდრე მასხარაშვილმა (1893-1937) სწავლა ლონდონში გააგრძელა, იქვე, ოქსფორდის უნივერსიტეტში მიიღო უმაღლესი განათლებაც; ცოლად შეირთო ბაბრ ნიკოლოზის (კოკის) ასული დადიანი, მათი ქალიშვილია თამარი (თათული) – შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

ქუთაისის სახელმწიფო ცენტრალურ არქივში დაცულია, აგრეთვე, 1911 წლის ნოემბრით დათარიღებული მოწმობა, სადაც აღნიშნულია, რომ პავლე იაშვილ მა დაამთავრა ქუთაისის ვა-

უთა გიმნაზიის ექვსი კლასი. 1911-1913 წლებში იგი სწავლობს ანა-პაში – ვოზნესენსკისა და შეპეტოვის კერძო გიმნაზიაში (იხ. ლ.მე-სხი, დასახელებული წერილი, გვ. 109), 1913 წლის სექტემბრიდან 1915 წლის იანვრამდე კი – პარიზში, ლუვრთან არსებულ ხელო-ვნების ინსტიტუტში.

რადიოგადაცემის ორატორის აზრს – „განათლებისა რა მოგა-სესნოთ, მაგრამ პარიზის ბოჭემურ ცხოვრებას იგი ხარბად დაენა-ფაო“, სადაც ის პარიზის კაფეებში პოეტის ხშირ ვიზიტებს უნდა გულისხმობდეს – ვერ გავიზიარებთ. „სიმბოლიზმის თეორია პარიზის კაფეებში დაიბადა“, – წერდა ვალერიან გაფრინდაშვილი. „ლიტერატურული პორტრეტების“ ავტორს გვინდა შევასენოთ: მა-რსელ პრესტი თავის ახლობლებს საგანგებოდ კაფეში ინვევდა ლიტერატურის საკითხებზე სასაუბროდ.

პაოლო იაშვილმა პარიზში გაიცნო: პიკასო, მოდილიანი, გი-იომ აპოლინერი, ფრანსის კარკო, კონსტანტინე ბალმონტი, ილია ერებურგი, ვერა ინბერი. მეგობრობდა იქ მყოფ ქართველებს: სპი-რიდონ კედიას, ბუჭუტა (ალექსანდრე იასონის ძე) აბაშიძეს, ლევან მეტრეველს, გერონტი ქიქოძეს, დავით კოპალეიშვილს, ეპიფანე ალშიძეასას, თამარ ბერელაშვილს, ტარასი ბალაშვილს, მიხეილ და-ვითაშვილს, გიორგი ხუციშვილს, პალადი ხაბურზანიას, აგრონომი-ული ინსტიტუტის სტუდენტს – ნიკო ბესარიონის ძე ჯანაშიას. პოეტის ცხოვრების პარიზული პერიოდის შესახებ მოგონე-ბები გამოიქვეყნა მისმა თანაგიმნაზიელმა კონსტანტინე ქოჩიშვი-ლმა (იხ. გაზეთი „ქუთაისი“, 1970 წ.; № 94, 14 მაისი და უურნალი „მნათობი“, 1970 წ., № 8).

რაც შეეხება „ლიტერატურული პორტრეტების“ ავტორის გა-ოცებას, რომ „პაოლო თურმე ხატავდა“, – ამის შესახებ გვინდა ვთქვათ: პოეტს ხატვა შუახნის ასაკში არ დაუწყია, იგი ხა-ტავდა ბავშვობიდან და მშობლებმა სწორედ ხატვის შესასწა-ვლად გააგზავნეს საფრანგეთში:

„ცხრაას ცამეტი წლის მიწურულში პაოლო იაშვილი პარიზში გაემგზავრა, მისი მიზანი იყო პარიზის სამხატვრო სასწავლებელში შესვლა, რომ სრულყოფილად დაუფლებოდა გრაფიკას. პაოლო ხომ შესანიშნავად ხატავდა“ (სერგო კლდიაშვილი, „პაოლო იაშვილი“, თხ. ტომი IV, თბ.; „საბჭ. საქ.“, 1978; გვ. 264); „ის რომ მხატვრის

გზას გაჰყოლოდა, შეიძლებოდა გამოჩენილი ოსტატი გამხდარიყმ“ (გერონტი ქიქოძე, „პაოლო იაშვილი“, „მნათობი“, 1958 წ.; № 8).

1957 წელს „ცისკარში“ (№ 7) გამოქვეყნდა შალვა დემეტრაძის წერილი: „პაოლო იაშვილის ჩანახატები“. აქ წარმოდგენილია აფტო პორტრეტი და მისი მეგობრების: ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, კოლაუ ნადირაძის, მიხეილ ჯავახიშვილის პორტრეტები. „ნინო ტაბიძის გადმოცემით, პაოლო იაშვილს ჰქონია ბევრი სურათი, რომლებიც, სამწუხაროდ, დაკარგულად უნდა მივიჩნიოთ“, – წერდა შალვა დემეტრაძე (დასახელებული ჟურნალი, გვ. 154). ნახატები, აგრეთვე, პოეტის ნაწერების 1959 წლის გამოცემის 480-ე გვერდზეა ჩართული.




ტ. ტაბიძე



ვ. გაფრინდაშვილი



ლ. დადიანი



ვ. გაფრინდაშვილი



ე. ჭავჭავაძე

ვფიქრობთ, ნაწილობრივ მაინც ვუპასუხეთ რადიოგადაცემის, „ლიტერატურული პორტრეტების“, ავტორის მიერ გამოთქმულ ეჭვებს. ახლა კი ისევ ბ-ნი ჯავახიშვილის „შეცდომებს“ ვუპრუნდებით:

2. „ამრიგად, ელენე დარიანის ფსევდონიმით ხელმოწერილი ელენე ბაქრაძის სამი ლექსი პრესაში დაიბეჭდა და მას მოჰყვა მკითხველ-საზოგადოების აურზაური. თვით ავტორმა კი ისე მტკი-ვნეულად განიცადა მომხდარი, რომ პალლოს დაეუმძრახა კიდეც“, – წერს გ.ჯავახიშვილი („ლიტერატურული საქართველო“, 1997 წ.; № 34).

ჩვენი კომენტარი: 1915 წელს გაზეთში „მეგობარი“ გამოქვეყნდა ჰარიონ იაშვილის პირველი დარიანული ლექსები: „ძახილი“, „ჩემი თავადი“ (№ 33, 8 ნოემბერი), „ზამთარში“ (№ 62, 13 დეკემბერი). ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი კი, როგორც გ.ჯავახიშვილის პუბლიკაციებიდან ვიგებთ, მარიამობის დღესასწაულისათვის უკვე განჯაშია. განჯაშივე უგზავნის მას წერილებს იაზონ ბაქრაძე: პირველი წერილი თარიღია 1915 წელი 1 ოქტომბერი, მეორისა - 10 ნოემბერი, მესამისა - 28 ნოემბერი. ეს წერილები სწორედ იმის დასტურია, რომ ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი არ არის დარიანული ლექსების ავტორი: „ელენე დარიანი შენ არ მგონიხარ, მაგრამ თუ იმის შესახებ ვრცლად მოგწერე, ეს იმიტომ, რომ ვიღაცა არის, შენი კარგი ნაცნობი უნდა იყოს...“ – წერილი 1915 წლის 10 ნოემბრით თარიღდება (იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 1997 წ.; № 35, გვ. 10).

„... შენ იფიქრე თითქოს შენ გთვლიდი ამ (ელენე დარიანის. ზ.ლ.) ლექსების ავტორად, სრულებითაც სინამდვილეს არ შეეფერება. შენ კი არ გთვლიდი ავტორად, მაგრამ ვიცოდი, რომ შენ ავტორს კარგად იცნობდი...“ – იაზონ ბაქრაძის ეს წერილი კი – 1915 წლის 28 ნოემბრით თარიღდება (იხ. ზემოთ დასახელებული გაზეთი).

ამ წერილების წამკითხველი პროფესორი ჯავახიშვილი წერს: „მინდა... დავსვა დიდი ხნის კითხვა ელენე დარიანის ციკლის 14 ლექსის ავტორობის საკითხზე“ (იქვე).

ჩვენ გვაინტერესებს, მაინც რა დროიდან გაუჩნდა ასეთი კი-

თხვა მკვლევარს, ხარისხებისა და ნოდებების მინიჭებამდე უკვემდგომ?

1915 ნლის 10 ნოემბრითაა დათარიღებული პაოლო რაშვარის ნერილიც, რომელსაც იგი, აგრეთვე, განჯაში უგზავნის ელენე ბაქრაძე-ბერიშვილს და აქ აშკარად ჩანს, რომ ქუთაისის ლიტერატურული ცხოვრების შესახებ ქნი ელენე ამბებს პალოსაგან იგებს:

.... Моя жизнь в Кутаиси не безинтересна. Я сумел сгруппировать вокруг себя молодых служителей искусства. Скоро выпускаем альманах "Циспери канцеби" с литературным манифестом. Футуризма не будет, хотя почти все газеты отметили, что альманах наш будет являться органом грузинских футуристов. Пусть пишут что хотят скучные филистеры. Стихи Елены Дариани вызвали в Кутаиси целую бурю возмущения. Последняя неделя является неделей Ел. Дар. Наиболее интересный элемент общества стоит за стихи, более отсталые, скучные, однообразно-старые – против. Молодёжь за них! Это ценнее всего. Своих стихов, особенно революционных, я в "Мегобари" не печатаю, прячу свой пафос для Альманаха. Как тебе понравились мои триолеты, посвящённые В.Гапрindaшивили? В последнем стихотворении быть может многое непонятно. За последнее время мне приходилось несколько раз выступать перед обществом. Если интересно могу прислать отзывы газет (я с ними совсем не считаюсь)...

После завтра литераторы и любители сцены разыгрывают "Измену" Сумбатова. Я играю Эрекле."

написано на
русском языке
E. Jr. Кауфманвили

26/1 69.

ნერილი, მანქანაზე გადაბეჭდილი, დაცულია ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ არქივში, ფონდი 292, აღნ. 1, საქმე 89.

3. იაზონ ბაქრაძის წერილების შესახებ გ.ჯავახიშვილი წერს: „იგი დაწერილია ელენე ბაქრაძის უახლოესი ნათესავის, მაგრა მის დავით იაზონ ბაქრაძის მიერ“.

ჩვენი კომენტარი: იაზონ ბაქრაძის მამას ერქვა თომა: იაზონის გარდა ჰყავდა: მელქისედეკი, ალექსანდრე, კონსტანტინე და დავითი.

ა) მელქისედეკის მეუღლე იყო ოლღა ერისთავი. მათი სამი შვილიდან – ანა, ბაბილინა და კალისტრატე – ორი უკანასკნელი იზრდებოდა იაზონ ბაქრაძის ოჯახში; ბ) ალექსანდრე – 1901-1907 წლებში მსახურობდა ლეჩეუმის მაზრის უფროსის თანაშემწედ (იხ. ამ წლების „Кавказский календарь“). მისი მეუღლე იყო მაკრინე კონსტანტინეს ასული ხაბურზანია; შვილები: ვლადიმერი, კონსტანტინე, ვერა, ნინო, ლუბა, თამარი, ეკატერინე, ელენე. ეს უკანასკნელი 1913 წლის აგვისტოში პარიზში გარდაიცვალა (იხ. გაზეთი „იმერეთი“, 1913 წ.; № 128); ალექსანდრე თომას ძე გარდაიცვალა ქუთაისში, 1916 წლის 8 ნოემბერს (იხ. გაზეთი „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ.; № 228); სამძიმრის განცხადებას აქვეყნებენ მისი ძმები: იაზონ და დავით თომას ძენი ბაქრაძეები, რძალი – სალომე ივანეს ასული (იხ. გაზეთი „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ.; № 229); გ) კონსტანტინე მსახურობს 1880 წელს ნუხაში მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე, 1882 წელს – ოჩამჩირეში, 1887 წელს შამშადილუში – მოსამართლის თანამდებობაზე (იხ. ამ წლების „Кавказский календарь“). დ) დავითიც განათლებით იურისტი იყო. ცოლად ჰყავდა სომინოელი იაშვილის ასული – მელიკო. მათი შვილებია: ვალერიანი, სერგო, ოლიმპიადა, ელენე, ნუცა, თამარი, აგრაფინა. დავით თომას ძე ბაქრაძე მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში გარდაიცვალა 89 წლის ასაკში; ე) იაზონ თომას ძე ბაქრაძემ 1901 წელს დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (იხ. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1901 წ.; № 1503); 1907 წლის „Кавказский календарь“-ი უჩვენებს, რომ იგი არის ნაფიცი მსაჯულის თანაშემწე, ქუთაისის სათავადაზნაურო საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატი რაჭის მაზრიდან; იგივე „Кавказский календарь“-ის მიხედვით, 1910-1917 წლებში იაზონ ბაქრაძე არის ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს წევრი, შავი ქვის ნარმოების ქუ-

თაისის კანტორის მმართველი, აგრეთვე, ნაფიცი მსაჯული ჭიათურასა და ქუთაისში; იაზონის მეუღლე იყო ქუთაისის საკრებულო ტაძრის დეკანის, ივანე იოსების ძე კერესელიძისა და ქუთაისის ნიკოლოზის ასულ დათეშიძის ქალიშვილი – სალომე ის.გაზეთი „იმერეთი“, 1913 წ.; № 172), ჰყავდათ სამი შვილი – ამირანი, თამარი, ავთანდილი. ქართული ლიტერატურის მკვლევარები იაზონ თომას ძე ბაქრაძეს იცნობენ როგორც ლიტერატორს, მთარგმნელსა და პუბლიცისტს. იგი 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლია.

ქალბატონ ელენე ბაქრაძე-ბერიშვილის მამას ერქვა თევ-დორე და ამ სახელის მქონე თომა ბაქრაძის შვილებში არ ჩანს! რატომ? იმიტომ რომ ქალბატონი ელენე ბაქრაძე-ბერიშვილის მამის ძმა არ გახლავთ იაზონ ბაქრაძე!

ელენე ბაქრაძე-ბერიშვილის პაპას – ადალოს იგივე იოსებს – ჰყავდა შვიდი შვილი: ერმილე, სპირიდონი, მეთოდი (იგივე თევ-დორე), ალექსანდრა, ვლადიმერი, ფეოდოსია, ვალენტინა. ერმილესა და ალექსანდრას (იგივე საშას) ახსენებს იაზონ ბაქრაძე თავის ერთ-ერთ წერილში ქალბატონი ელენესადმი; სპირიდონ ადალოს ძე ბაქრაძე 1907 წელს მსახურობს დაწესებულებაში, რომლის სახელწოდებაა „Управление акцизным сборам закавказского края“ (იხ. ამ წლის „Кавказский календарь“). სპირიდონს ცოლად ჰყავდა ეკატერინე ზაალის ასულ ბარათაშვილისა და ქაიხოსრო იოსების ძე ბროდელის ქალიშვილი – ანა. აქვე დავძენთ, რომ მათი მეორე ქალიშვილი – ელენე ბროდელი-ანტონოვსკაია (1842-1922) იყო ლიტერატორი და მთარგმნელი, იბეჭდებოდა „ცნობის ფურცელსა“ და ნაკადულში“. სპირიდონ ბაქრაძისა და ანა ბროდელის ერთ-ერთი ვაჟი გახლდათ – კოტე (1898-1970) – ფილოსოფოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (იხ. ქსე, ტ. II, 1977 წ.; გვ. 241).

მეთოდი (თევდორე) ადალოს ძე ბაქრაძე 1907 წლის „Кавказский календарь“-ის მიხედვით მსახურობს ელიზავეტოპოლში (განჯაში), დაწესებულებაში, რომლის სახელწოდებაა „Елисаветопольское городское полицейское управление“. ჰყავდა სამი შვილი: დიმიტრი, ვერა, ელენე. ეს უკანასკნელი გახლავთ ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველიშვილი, რომლის პაპა –

ადალო (იოსები) და იაზონ ბაქრაძის მამა – თომა – იყვნენ ძმები. მაშასადამე, იაზონ ბაქრაძე არის ქ-ნი ელენეს პაპის ძმის შვილი და რატომ შეჰყავს მკითხველი შეცდომაში ბ-ნ ჯავახიშვილს, „უნებლიერ“ თუ გამიზნულად, გაუგებარია.

4. „მე იმ ზაფხულს დორიან გრეი ვუწოდე... ჯერ შეიმშვენოვა, მერე კი აღარ მოეწონა, აქეთ შემომიბრუნა... მე სილამაზის გამო მივმართე მას ამ სახელით, მან შინაარსი გამაშლევინა და უარი თქვა ...“ („ლიტერატურული საქართველო“, 1997 წ. № 35).

„პაოლოს დორიან გრეი შევარევი, მან დორიანი მინოდა. დროთა განმავლობაში შემიცვალა დარიანად, რადგან უფრო მოსწონდა კეთილხმოვანების გამო“ („კალმასობა“, 1997 წ. № 6), – ეს ბ-ნმა ჯავახიშვილმა ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველიშვილის დღიურებიდან გამოაქვეყნა და მათი წაკითხვის შემდეგ მკითხველს უამრავი შეკითხვა გაუჩინდება, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს პაოლო იაშვილს ოსკარ უაილდის შესახებ არაფერი გაუგია, არც „დორიან გრეის პორტრეტი“ აქვს წაკითხული, თორემ ისეთი რა გაშლა სჭირდება ამ ნაწარმოების შინაარსს?!“

ეჭვი არაა, რომ ბ-ნმა ჯავახიშვილმა ქ-ნი ელენეს დღიურებიდან შეიტყო ოსკარ უაილდის არსებობის შესახებ, ამიტომ გააკეთა ასეთი „აღმოჩენა“: „აეხადა ფარდა ელენე დარიანის ფსევდონიმის საიდუმლოებას. იგი აღებულია ინგლისელი მწერლის ოსკარ უაილდის „დორიან გრეის პორტრეტის“ მთავარი გმირის სახელიდან და შიგ ჩადეს ქართული სიტყვის დარი შინაარსი“... („ლიტ. საქ.“; 1997 წ. № 35).

ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ თუ ბ-ნ ჯავახიშვილს საქართველოში აქვს ფილოლოგიური განათლება მიღებული, და არა სორბონასა ან ოქსფორდში, მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის შესწავლისას მას ნებისმიერი ლექტორი ეტყოდა, რომ პაოლო იაშვილის ფსევდონიმი ელენე დარიანი აღებულია დორიან გრეიდან.

ბ-ნი ჯავახიშვილისთვის, ალბათ, ახლა უკვე ცნობილია, რომ გამოქვეყნებულია კოლაუნადიანი აზრი ამასთან დაკავშირებით: „... ელენე სახელი იყო, „დარიანი“ კი „დორიან გრეის პო-

რტირეტიდან“ წამოილო. კარგი ლექსები გამოუვიდა...“ (ნინო ჩხილავა-შვილი, „ოცნებად დამრჩა“, „ლიტ. საქ.“; 1988 წ., № 16, 15 აპრილი), მაგრამ ბ-ნმა ჯავახიშვილმა არ იცის, რომ 1914 წელს, ქუთაისში გამოიცა ნიგნი სათაურით: „Грузія после 1905 года“, რომლის ავტორია ს. დარიანი, შემდგომში ცნობილი ფილოსოფოსი და ლიტერატურათმცოდნე სერგი დანელია, რომლის ნინასიტყვა-ობითაც 1936 წელს უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა პა-ოლო იაშვილის მიერ თარგმნილი პუშკინის „ლექსები და პოემები“.

მაშასადამე, დარიანი რომ ფსევდონიმია, ამის პრეცედენტი 1914 წელს უკვე არსებობს! დორიან გრეის უნიდებდნენ გრი-გოლ რობაქიძეს ამავე წლებში, ამის გარდა, დორიან გრეი იყო გიორგი ლეონიძის ფსევდონიმი (იხ. გ.მიქაელ „ფსევდონიმების ლე-ქსიკონი“, გამ. „მეცნიერება“, თბ.; 1984 წ. გვ. 17). როგორ მოიქცეს „პირუთვნელი მემატიანე“?

5. „მიძღვნილი ლექსების აპოთეოზი იყო პაოლო იაშვილის სა-ოცარი „სონეტი ელლის“, რომელიც აგერ უკვე რვა ათეული წე-ლია, რაც ადრესატის ვინაობის მიუთითებლად ვრცელდება“, – ბრძანებს გ.ჯავახიშვილი („კალმასობა“, 1997 წ.; № 6).

ჩვენთვის გაუგებარია, ვისი მისამართითაა ეს საყვედური გა-მოთქმული ან რას უნდა ნიშნავდეს: „ვრცელდება“. პაოლო იაშვი-ლის „სონეტი Elli-ს“ დაიბეჭდა გაზეთში „სამშობლო“ 1915 წლის 23 აგვისტოს (№ 159), ხელმოწერით „... 0. ... 0.“

სონეტი Elli-ს.

სონეტით მინდა ჩემი გრძნობა შენდამი Elli

შენს სულს გადავსცე!.. მაგონდება სოფელი შორი;

ერთმანეთს შევცვდით; ყვავილებით ხარობდა ველი,

იყავი ნაზი, ისე როგორც ტყის ნიამრი.

მე შემიყვარდი... და მიყვარხარ.. და მარად გელი

მე მინდა შენი სიახლოვე, შენი ამბორი;

შენთვის ვოცნებობ, მე სონეტით მაღიდებელი,

და შენით Elli ანთებული, მზის თანასწორი.

ყვავილებია ჩემს გარშემო!.. მაისი მინდა...

იასამნებო აყვავილდით, იმზიარულეთ!

გაზაფხულის დღე, შეხვედრის დღე ხომ დაგვირგვინდა?..

იცხოვროს ყველამ სიხალისით და სიყვარულით!..

მომღერალ გულში ხარობს გრძნობა, ენობა ალი...

ჩვენი ბედისთვის სხივოსნდება დღე მომავალი.

... ე. ... ი.

ლექსი ავტორმა ამ სახით გამოაქვეყნა, რედაქტორ-გამომცემლებმაც ასევე შეიტანეს ის პოეტის ლექსთა კრებულებში. სხვანაირად როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია.

1922 წელს გამოიცა იოსებ გრიშაშვილის ლექსის მეორე ტომი. 97-ე გვერდზე დაბეჭდილია ლექსი სათაურით „მესამე მოქმედება“. მას აქვს მიძღვნა: „ლექსი პარტერში: ელლეს“; ხოლო ხუთტომეულის პირველ ტომში, რომელიც 1961 წელს გამოიცა, იმავე ლექსის მიძღვნა აღარ აქვს. მის მაგივრად პოეტს სათაურის ქვეშ დაუნერია: „ლალატი“ პარტერში“ (გვ. 345).

„დაკვირვებით წამკითხველმა“ ბ-ნმა ჯავახიშვილმა იქნებ კიდეც ამოიცნოს ამ ლექსის ადრესატი – ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი, მაგრამ განა მეცნიერს აქვს უფლება, არ დაჰყვეს ავტორის უკანასკნელ ნებას?

1922 წელს უურნალში „ილიონი“ (№ 1) დაბეჭდა მარიჯანის ლექსი „განჯა“, რომელზეც მითითებულია ადრესატი: „ელლი ბერიშვილს“. 1949 და 1956 წლის გამოცემებში ლექსს „განჯა“ ადრესატი მოხსნილი აქვს, ხოლო 1968 წლის კრებულში (სახელწოდებით „ისევ ლექსები“) ავტორს, ლექსისათვის „განჯა“, ადრესატი ისევ მიუთითებია: „ელი ბაქრაძეს“. ბ-ნ ჯავახიშვილს ვთხოვდით, მეცნიერ-ტექსტოლოგებს დაეკითხოს, როგორ მოიქცეოდნენ ისინი ასეთ შემთხვევაში. ჩვენ კი ნამდვილად არ ვიცოდით, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოეტორებს, გნებავთ, აკადემიკოსებს დღევანდელ საქართველოში თუ მიეცათ იმის უფლება, რომ ავტორის ნების წინააღმდეგ, თვითნებურად მიუთითონ ადრესატი გარდაცვლილი, გნებავთ ცოცხალი, მნიშვნელის ნანარმოებს.

ბ-ნმა ჯავახიშვილმა ვინმე სულიკო ჭურკვეიძის მემუარებში

რომ ამოიკითხოს, მეოსანმა „სულიკო“ მე მომიძღვნაო, აკაკი წერე-
თლის ლექსს ადრესატი უნდა მიუთითოს?

6. შალვა დემეტრაძემ შეადგინა პ.იაშვილის ნაწარმოებების
კრებული (1959) და სწორედ აյ შეიტანა მან ელენე დარიანის ლექს-
დლიურების 14 ნიმუში და ერთბაშად „დაადგინა“ მათი ავტორობა“, –
აცხადებს ბ-ნი ჯავახიშვილი („კალმასობა“, 1997 წ. № 6).

ჩვენი კომენტარი:

შალვა დემეტრაძემ პაოლო იაშვილის ლექსები შეკრიბა და გა-
მოსცა პირველად 1955 წელს. რედაქტორი გახლდათ ირაკლი
აბაშიძე. წიგნში შესულია პოეტის „დარიანული ციკლის“ ათი
ლექსი. 109-ე გვერდზე სქოლიოში მითითებულია: „პაოლო ია-
შვილი ელენე დარიანის სახელითაც ბეჭდავდა ლექსებს“. 1955
წელს კი ჯანმრთელად არიან და მოღვაწეობას აგრძელებენ პაოლო
იაშვილის უასლოესი მეგობრებიც და მისი თანამედროვენიც: გი-
ორგი ლეონიძე, შალვა აფხაძე, სერგო კლდიაშვილი, კოლაუ ნადი-
რაძე, იოსებ გრიშაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსა-
ხურდია, სიმონ ჩიქოვანი, არისტო ჭუმბაძე და სხვები. არც ერთ
მათგანს არსად, არასოდეს დარიანული ლექსების ავტორის შესახებ
ეჭვი არ გამოუთქვამს.

პაოლო იაშვილის ნაწერების მეორე წიგნი შალვა დემეტრა-
ძემ გამოსცა 1959 წელს. ხელმონერილია დასაბეჭდად 3 მარტს და
მან მხოლოდ გალაკტიონს ვერ მოუსწრო. ამ გამოცემაში შევიდა
„დარიანული ციკლის“ 14 ლექსი. შალვა დემეტრაძემ კიდევ ორჯერ
გამოსცა პაოლო იაშვილის წიგნი – 1961 და 1975 წლებში.

1962 წლის 27 ივლისს „სალიტერატურო გაზეთი“ აქვეყნებს
ანდრო თევზაბის წერილს „მცირე მოგონება“.

.... წიგნის თაროზე გამოჩნდა პაოლო იაშვილის ნაწერების
მთლიანი კრებული, რომელიც დიდის გულმოდგინებით და სიყვა-
რულით შეაგროვა და გამოსცა პაოლო იაშვილის ახლო მეგო-
ბარმა შალვა დემეტრაძემ“.

ირაკლი აბაშიძე თავის მოგონებებში „ზარები ოცდაათიანი
წლებიდან“ პაოლო იაშვილის შესახებ წერს:

„მისი ნათესავი ვიყავი მეც, ანუ ჩემი ნათესავიც იყო იგი დე-
დაჩიების – მოდებაძის ქალის მხრიდან, პაოლოს და პაშა გახლდათ

ბიცოლაჩემი, მეუღლე პლატონ მოდებაძისა... ჩემი სტუდენტობის დროს, ოციანი წლების ბოლოს, ერთხანს ბიცოლაჩემის ბინაშიც კი ვცხოვრობდი, ყოფილი გუნიბის ქუჩაზე, სადაც უფრო მეტად პაოლოს უმცროს ძმასთან ტუპია (ივანე) იაშვილთან ვმეგობრობდი...“ („მნათობი“, 1992 წ.; № 1, გვ. 176).

მაშასადამე, პაოლო იაშვილის ლექსების კრებულები შეადგინეს პოეტის თანამედროვე და ახლობელმა ადამიანებმა და რა უფლება გვაქვს არ ვენდოთ მათ?

ბ-6 ჯავახიშვილს, მადლობა ღმერთს, ეჭვი არ ეპარება „სონეტი Elli-ს“ ავტორი პაოლო იაშვილი რომაა, თუმცა იგი კრიპტონიმით „...ე. ...ი.“ დაიბეჭდა. შალვა დემეტრაძემ, ცხადია, ლექსი პოეტის კრებულში შეიტანა და, თუ ამ შემთხვევაში ვენდობით ნიგნის შემდგენელს, რატომ ვუცხადებთ მასვე უნდობლობას დარიანული ლექსების ავტორობის საკითხში?

აქვე გვინდა ვთქვათ: ძალიან საეჭვოა, „სონეტი Elli-ს“ აღრესატი ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი იყოს.

ცნობილია, რომ ქუთაისში მოლვანეობდა ექიმი დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი (ნაზარიშვილი). იგი გახლდათ ნაფიცი მსაჯული, ქუთაისის სათათბიროს წევრი. მისი სახლი ერთგვარ ლიტერატურულ სალონს წარმოადგენდა, სადაც თავს იყრიდა ქუთაისის ინტელიგენცია (იხ. ვ.ჯაფარიძე, „გრიგოლ რობაქიძე“, მოგონება, „განთიადი“, 1988 წ. № 1). დიმიტრი ნაზაროვს ჰყავდა ხუთი შვილი: ელენე, ლარა, ინა ანუ ისია, ლეონიდე და ვალერიანი. ისია გახლდათ ტიციან ტაბიძის პოეტური მუზა, ელენე თი გატაცებული იყო პაოლო. 1915-1916 წლებში ელენე დიმიტრის ასული ნაზაროვა თბილისში ასწავლიდა ფრანგულს, ხოლო 1917 წლიდან – ქუთაისში.

1919 წელს ქუთაისში გამოქვეყნდა სტეფან მალარმე, „ლექსები და პროზა“ („მეოცნებე ნიამორების“ გამოცემა). მეორე გვერდზე ვკითხულობთ: „თარგმანების ავტორები თარგმანში დახმარებისათვის მადლობას სწირავენ ელეონორა ნაზაროვის ქალს“. შალვა აფხაძე იგონებს: „მალარმეს ლექსების გამოცემაში დიდი დახმარება გაგვინდა ელო ნაზარიშვილმა, რომელმაც მშვენივრად იცოდა ფრანგული და გვიკეთებდა ბნკარედებს. ელო ნაზარიშვილი, ცნო-

ბილი ექიმის ნაზაროვის ქალიშვილი, ახლო მონაწილეობას იღებდა ჩვენს წევში, იყო რომანტიკულად განცყობილი ქალი და ჩვენი ვარგი ამხანაგი“ („მნათობი“, 1960 წ.; № 11, გვ. 161.)

არსებობს, აგრეთვე, ასეთი გადმოცემა: პაოლო იაშვილი ახალგაზრდობის წლებში გატაცებული ყოფილა ელისო დადიანით (1893-1944), იოსებ დადიანის ერთ-ერთი ქალიშვილით, რომელიც ოჯახთან ერთად ბაქოში გადავიდა საცხოვრებლად. მისი მამა, იოსები, ნავთის მრეწველი გახლდათ (შემდგომ, პოლიტიკური ვითარების გამო, მთელი ოჯახი ემიგრაციაში ნავიდა საფრანგეთში). ელისო დადიანის პორტრეტი შესრულებულია სორინის მიერ.

„სონეტი Elli-ს“ ადრესატის შესახებ განსხვავებული და საკმაოდ დამაჯერებელი თვალსაზრისი გააჩნია მკვლევარს, ზაურ მეძველიას: „1915 წლისათვის ცნობილი ხდება პოეტი ქალის ელენე დარიანის პიროვნებაც. გაზეთ „სამშობლოს“ იმ წომერში, სადაც დაბეჭდილია ...ე. ...ი. კრიპტონიმით ხელმოწერილი ლექსი „სონეტი ელის“, გამოქვეყნებულია პირველი ცნობა ელენე დარიანის ლექსების ახლო მომავალში გამოცემის შესახებ. ცხადია, სათაურშიც და ხელმოწერაშიც პოეტის ახალი შემოქმედებითი საწყისები ცნაურდება. უცხო, შორეული ველის ასული ახალი პოეზიის ნათელი სიმბოლოა. პოეტი თავისსავე წიაღში, თავისსავე სულიერ საყიდეობის აღმოცენებულ მეორე პოეტს მიუძღვნის სონეტს“ (ზ. მეძველია, „პაოლო იაშვილის ახლად მიკვლეული ლექსები და თარგმანები“, „განთიადი“, 1982 წ.; № 4, გვ. 143).

აქედან გამომდინარე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ პოეტმა თავისი სახელისა და გვარისაგან: პავ-ლ-ე იაშვილ-ე გააკეთა ანაგრამა – Elli.

ანაგრამა ნიშნავს ასოების გადასმას ისე, რომ ერთი სიტყვიდან სხვა სიტყვა მივიღოთ. მას ზოგჯერ ფსევდონიმის შესადგენად მიმართავდნენ (ქსე, ტ. I, 1975 წ.; გვ. 420). მაგალითად, ალკოფრიბას ნაზიე ფრანსუა რაბლეს ანაგრამაა, ხარიტონ მაკენტინ – ანტიოს კანტემირის, ნავი ვოლიორკ – ივანე კრილოვის, ტონქმელი – მელიტონ კელენჯერიძის, ეძიოთ ა. – ალექსანდრე თომიძის, დოთე – თედო რაზიკაშვილის, ნილომ –

ნიკო მერაბის ძე ლორთქიფანიძის; „ცისფერყანწელთა“ მეგობარმა, ეკონომისტმა შოთა გოგუამ (დახვრიტეს 1937წ.) თავისი ნიგნი გამოაქვეყნა ანაგრამით – შოთა აუგოგ. ანაგრამაა მარი ფრანსუა არუეს ფსევდონიმი – ვოლტერი.

ზაურ მეძველიას ზემოთდასხელებულ წერილში განვითარებული აზრის დამაჯერებლობას და ჩვენს ვარაუდსაც ამყარებს და არგუმენტის ძალას სძენს პაოლო იაშვილის ოთხი სტრიქონი:

ქართული ლიტერატურა,

ჭრა კურიშა მე გამოისახა
რისახელი ნახერა სახურა
გადას უსახუროა ბეჭედა ქიდე
ჭრა კრაზის განა, ასე გო...

ქართული ლიტერატურა

ბ-ნმა ჯავახიშვილმა ეს ოთხი სტრიქონი ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველიშვილის არქივში აღმოჩნდა და, ამის გამო, ამ ქალბატონის დარიანობის საბუთად მოიხმო.

ახლა, ჩვენ ვეკითხებით პატივცემულ პროფესორს: ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ თავისი ნინაპერების არქივში ჩინეთის პოლიტიკური ვითარების შესახებ წერილი რომ აღმოაჩინოს „სამ პიუ ჩაი“-ს ხელმოწერით, ავტორად საკუთარი პაპა უნდა გამოაცხადოს?

პაოლო იაშვილის ელენე დარიანობან დაკავშირებით ზაურ მეძველიამ, აგრეთვე, ყურადღება მიაქცია, „პოეტური გაუცხოების“ მრავალი მაგალითიდან - ერთს:

„1913 წელს მოსკოვის გამომცემლობამ „სკორპიონმა“ დაბეჭდდა ნიგნი სათაურით „ნელის ლექსები“. მაშინდელმა სალიტერატურო კრიტიკამ პოეტი ქალის პოეზიას ფრიად მაღალი შეფასება მისცა. ერთ-ერთი გაზეთი „უტრო როსიი“ წერდა: რუსული პოეზიის ცაზე აკიაფდა ახალი პოეტური ვარსკვლავი, რომლის ნათება არავისში არ აგრძევათო. ახლად მოვლენილი პოეტი ქალის ვინაობა

ერთხანს უცნობი დარჩა. ლექსების წიგნი ავტორისადმი, ნელისა-დმი მიძღვნილი ლექსით იწყებოდა, რომელიც პოეტ ქალს ლექსის ავტორმა ვალერი ბრიუსოვმა მიუძღვნა. სინამდვილეში, ლექსის ადრესატიც და წიგნის ავტორიც ერთი და იგივე პიროვნება – პოეტ ქალად გარდასას ული მწერალი ვარიუსოვი იყო” (ზ.მეძველია, დასახელებული წერილი).

7. იოსებ გრიშაშვილმა 1956 წლის 14 ივნისს ელენე ბაქრაძე-ქართველიშვილისაგან ჩაიპარა ელისაბედ ქართველიშვილის დღიურები. თაბახის ფურცელზე ფანქრით აწერია: „ელენე დარიანმა გადმომცა (შალვას მეულლემ). ი.გრ.“

იოსებ გრიშაშვილის ეს ჩანაწერი ბ-ნ ჯავახიშვილს ქ-ნი ელენეს დარიანობის საბუთად მოჰყავს. ამ ჩანაწერიდან კი მხოლოდ ის ჩანს, რომ ქ-ნი ელენე ბაქრაძე-ქართველიშვილი, თავს ელენე დარიანს რომ უნიდებს, არის „შალვას მეულლე“. განა ამ ჩანაწერში აღნიშვნულია, რომ იგია დარიანული ლექსების ავტორი?

ვისაც ოდესმე იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში უმუშავია, დაგვიდასტურებს პოეტის ასეთ ჩვევას: იგი მინაწერებს, შენიშვნებსა და კომენტარებს წიგნების არშიებზე აკეთებდა. ამ შემთხვევაში კი მინაწერი გაკეთებულია არა ელისაბედ ქართველი-შვილის დღიურის ყდაზე, როგორც ეს მოსალოდნელი იყო იქ, სადაც ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველიშვილის სამახსოვრო წარწერაა, არა მე დ თაბახის ფურცელზე, რომელიც ამ დღიურს შემოხვეული აქვს; გარდა ამისა, იოსებ გრიშაშვილმა პალლ იაშვილის ლექსების 1955 წლის გამოცემა შეიძინა 1956 წლის 19 ივნისს, მეორე წიგნი, 1959 წლის გამოცემა, მას სამახსოვრო წარწერით აჩუქა შალვა დემეტრაძემ. იოსებ გრიშაშვილის კომენტარები, მინაწერები და შენიშვნები, დარიანული ლექსების ავტორობასთან დაკავშირებით, ამ გამოცემებს არა აქვს.

იოსებ გრიშაშვილის მინაწერს მეტი დამაჯერებლობა რომ მისცეს, ბ-ნი ჯავახიშვილი აცხადებს: „გრიშაშვილის დისწული ანი ციციშვილი იტყვოდა ხოლმე ბიძის ნათევამს: „ჩვენ ვალში ვართ პოეტი ქალის ელენე დარიანის წინაშე, გამოჩნდება ვინმე ლვთისნიერი და თავის დროზე სიმართლეს იტყვის...“ („კალმასობა“, 1997 წ.; №8; 1998 წ.; № 7).

ქალბატონი ანი ლაზარიდი-ციციშვილი გარდაიცვალა 1992 წლის 1 სექტემბერს. იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის გამგე, ბატონი ნოდარ გრიგორაშვილი ქალბატონი ანის ამ სასტყვებს არ ადასტურებს, მას ასეთი რამ არასოდეს სმენის ქწი ანისაგან, რომელიც მისი მკვიდრი დეიდა გახლდათ; ამ სიტყვებს არ ადასტურებს აკადემიკოსი გიორგი შალვას ძე ციციშვილი, რომლის ბიცოლა გახლდათ ქალბატონი ანი.

გარდა ამისა, ელისაბედ ქართველიშვილის დღიურს შიგნითა ყდაზე ელენე ბაქრაძე-ქართველიშვილის ხელით ანერია: „ივანე მარიაბლის პირველი მეუღლის (დაყოფა ჩვენია. ზ.ლ.) ლიზა ქართველიშვილის ხელთნაწერებს ვუფეშქაშებ შალვას გულითად მე-გობარს გრიშაშვილს თავის მუზეუმში დასაცავად“.

ბ-ნი ჯავახიშვილი ამ დღიურთან დაკავშირებით წერს: „აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს ივანე მარიაბლისა და ლიზა ქართველიშვილთან დაკავშირებული საბუთები, დღიურები, რითაც ფარდა აეხდება ბევრ საიდუმლოებას (იხ. „კალმასობა“, 1997 წ.; № 8).

ჩვენი კომენტარი: გრიგოლ ივანეს ძე ქართველიშვილის ასულს, ელისაბედს, 1890 წლის 2 აპრილს შეეძინა ვაჟი – შალვა, შემდგომ ცნობილი იურისტი და მთარგმნელი. ელისაბედ გრიგოლის ასული ქართველიშვილი 1915 წლის 19 დეკემბერს გარდაიცვალა (იხ. გაზეთები „სახალხო ფურცელი“, 1915 წ.; № 461, 20 დეკემბერი; „საქართველო“, 1915წ.; №173, 20 დეკემბერი) და, ცხადია, ქალბატონი ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი თავის მომავალ დედამთილს არ იცნობდა, მაგრამ ვიდრე შალვა ქართველიშვილის მეუღლე გახდებოდა, ქ-ნი ელენე თავისი მეგობრებისაგან – მარიაბლების ნათესავებისაგან, შემდგომ მისივე მეუღლისაგან ან ბოლოსდაბოლოს ელისაბედ ქართველიშვილის დღიურებიდან მაინც, უთუოდ შეიტყობდა, რომ ივანე მარიაბელს ჰყავდა მხოლოდ ერთი მეუღლე: ანასტასია ალექსანდრეს ასული ბაგრატიონ-დავითიშვილი და, რომ შალვა ქართველიშვილი დაიბადა კანონგარეშე ქორნინებით. ბ-ნ ჯავახიშვილს გვინდა მოვახსენოთ, რომ არასოდეს დამალული და დაფარული ეს არ ყოფილა. ივანე მარიაბლის ქალიშვილმა, ქალბატონმა ელენემ, საარაკო დობა გაუწია ძმას – შალვას და შესაშური მულობა რძალს – ელენე ბაქრაძე-ქართველი-შვილს.

რუსუდან კახიძემ, ანასტასია მაჩაბლის დის, ნიცა ბაგრატიონ-დავითიშვილის შვილიშვილმა, სილამაზით განთქმული თამუნია წერეთლის (ტიციან ტაბიძის პოეტური მუზა. ზ.ლ.) ასულმა გვიამბო, რომ ბავშვობაში იგი სტუმრად დაჰყავდათ შალვა ქართველიშვილთან, ხოლო სტუდენტობისას ქალბატონი რუსუდანი თავად ხშირად სტუმრობდა ელენე ბაქრაძე-ქართველიშვილს.

ბ-ნ ჯავახიშვილს ვთხოვდით, თავი შეეკავებინა ასეთი გამოთქმებისაგან: „ამან მიამბო“, „იმისაგან გამიგონია“. მარიამ ფორაქიშვილისა და ქეთევან ჯავახიშვილისაგან გაგონილი ამბები („კალმასობა“, 1999 წ. № 1) კი, რომელიც მკვლევარს ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველიშვილის მემუარებიდან ამოუკითხავს, შეუძლია მხოლოდ საკუთარ სამზარეულოში გაიმეოროს.

ახლა იმის შესახებ, რაც ჩვენ გავვიგონია:

1970 და 1972 წლებში საკურსო და სადიპლომო ოქმებზე მუშაობისას რამდენჯერმე შინ ვენვიეთ მწერალს, ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას, რომელმაც გვათხოვა „დიონისოს ღიმილის“ 1925 წლის გამოცემა. საგანგებოდ ჩვენთვის, თავის ბიბლიოთეკაში მოიძია და ძველი უურნალ-გაზეთებიდან გადაგვანერინა: ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, გიორგი ლეონიძისა და მაშინ აკრძალული ვრიგოლ რობაქიძის ლექსები, მეტად საინტერესო ისტორიებიც გვიამბო ამ და სხვა პოეტთა ბიოგრაფიებიდან. პაოლო იაშვილის „დარიანული ციკლიდან“ ჩვენ ჩავინერეთ: „პირამიდებში“, „ნერილი ანნა ახმატოვას“, „დარიანული“ და ბატონ კონსტანტინეს დარიანული ლექსების ავტორობასთან დაკავშირებით რაიმე ეჭვი არ გამოიუთქვამს.

ცხადია, ბ-ნ ჯავახიშვილს ეს საბუთად არ გამოადგება, მისი საბუთი მხოლოდ ისაა, რაც მას გაუგონია.

8. „ელენე დარიანი და პაოლო იაშვილი, ისე როგორც „ცისფერი ყანების“, ასევე უურნალ „მშვილდოსანის“ ფურცლებზე დაბეჭდილ ლექსთა ავტორებად ცალ-ცალკე იყვნენ დასახელებული“, – წერს ჯავახიშვილი („კალმასობა“. 1997 წ. № 6).

ჩვენი კომენტარი:

1920 წ. უ-შე „მეოცნებე ნიამორები“ (№ 4) დაიბეჭდა:

ა) „ვევარის დაწერა მარგალიტზე“ [ლექსი] – ხელმოწერა: ვალერიან გაფრინდაშვილი,

ბ) „ქართული პოეზია“ [წერილი] – ხელმოწერა: ტრისტან მაჩაბელი.

1921 წელს ნიკოლო მინიშვილმა გამოსცა „Поэты Грузии“. აქ შესულია პაოლო იაშვილის სამი და ელენე დარიანის ორი ლექსი. ელენე დარიანის „Среди пирамид“ თარგმნა ვალერიან გაფრინდაშვილმა „Красный сонет“ – ტრისტან მაჩაბელმა.

1922 წელს გაზეთში „ბარრიკადი“ (№ 4) გამოქვეყნებულია ინფორმაცია: „პოეტმა ნიკოლოზ მინიშვილმა გამოსცა წიგნი ქართველი პოეტების... თარგმანებზე მუშაობდნენ: ს. რაფალიოვიჩი, ო. მანდელშტამი, ვალერიან გაფრინდაშვილი, ტრისტან მაჩაბელი, ს. გოროდეცკი, ტ. ვერიონკა და სხვები.“

ბ-ნმა ჯავახიშვილმა და მისაგან ნახსენებმა „პირუთნელმა მე-მატიანემაც“ ძებნა და კვლევა რომ არ დაიწყონ, ვიტყვით: „ცალ-ცალკე“ დასახელებული ვალერიან გაფრინდაშვილი და ტრისტან მაჩაბელი ერთი და იგივე პირია.

1921 წელს უურნალში „მეოცნებე ნიამორები“ (№ 6) გამოქვეყნდა:

ა) „პაოლო იაშვილს“ [ლექსი] – ხელმოწერა: ტიციან ტაბიძე,

ბ) „პოეტები სტამბაში (ფრაგმენტები ბიოგრაფიისათვის)“ – ხელმოწერა: ვარამ გაგელი;

1924 წელს უურნალში „ხელოვნების დროშა“ (№1) დაბეჭდილია:

ა) „დეკორატიული ხელოვნება საქართველოში“ – ხელმოწერა: ტიციან ტაბიძე,

ბ) „მხატვარი ირაკლი გამრეკელი“ – ხელმოწერა: ვარამ გაგელი,

გ) „ქართული კინო. „მამის მკვლელი“ და „არსენა ყაჩალი“ – ხელმოწერა: ტ. ტ.,

დ) „ვერიკო ანჯაფარიძის საღამო“ – ხელმოწერა: ვ. გ.

ვგონებ, კომენტარს არ საჭიროებს, დღესავით ნათელია ისე-დაც: ყველა ხელმოწერა ტიციან ტაბიძისაა!

1917 წელს უურნალში „ეშმაკის მათრახი“ (№1) „ხუნაგის“ ფსე-ვდონიმით გამოქვეყნდა:

„პაოლო და დარიანი
შეზარხოშდნენ გვარიანი
და რუსეთელ ფუტურისტებს
ლვინო ასვეს ძმარიანი.
კიტა ქეიფს რომ თაობდა,
ფუტურიზმთან ხომ დაობდა“.

აქ „ცალ-ცალკე“ დასახელებული პაოლო და დარიანი პაოლო იაშვილი რომაა, „დაკვირვებით წამყითხველი“ მკვლევარი კი უნდა მიხვდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში, ქალბატონ ელენე ბაქრაძე-ბერიშვილს არა მარტო „კარგ პოეტად“, არამედ ჩინებულ მსმელად და თამადად „აღმოგვიჩენს“ ბ-ნი ჯავახიშვილი.

1924 წელს პავლე ინგოროვას რედაქტორობით გამოიცა ურნალი „კავკასიონი“ (№ 3-4). აქ დაბეჭდილია პაოლო იაშვილის „Urbi“ (გვ. XII), ელენე დარიანის – „პარიზისაკენ“ (გვ. 72). „უნდა აყვავდეს მალე ქვიშნებიო“, – წერს ელენე დარიანი. „ქვიშნა“ იმდენად სპეციფიური სიტყვაა, მხოლოდ პაოლოს შეეძლო დაენერა. ქ-ნი ელენესათვის, „ქვიშნა“ მხოლოდ „ქვიშასთან“ თუ გაიგივდებოდა.

ვალერიან გაფრინდაშვილი წერილში „სონეტის პრობლემა“ წერდა: „გარდა იმისა, რომ პირველი კლასიკური სონეტი დასწერა ელენე დარიანმა ჩვენში, პაოლო იაშვილმა შეჰქმნა შემდეგი სონეტები: ელამი სონეტი, სონეტი ამორძალი და სონეტი უნაგრით“ (ვ-გაფრინდაშვილი, „ლექსები, პოემა, თარგმანები, ესსეები, წერილები“, თბ.; მერანი“, 1990 წ. გვ. 483. წიგნი შეადგინა მარინე ჭყონიამ).

ახლა ჩვენ ვეკითხებით ბ-ნ ჯავახიშვილს, აქ ცალკ-ცალკე დასახელებული ელენე დარიანი და პაოლო იაშვილი ერთი და იგივე პირი რომაა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა და პროფესორმა მაინც ხომ უნდა ამოიცნოს?

9. „1926 წელს შეუძლოდ შეიქმნა კონსტანტინე გამსახურდია. იგი მოსკოვში წავიდა სამკურნალოდ და იქიდან საზღვარგარეთ აპირებდა წასვლას. ელენე ბაქრაძემ მწერლის სამკურნალოდ და საზღვარგარეთ გასამგზავრებლად გზის ფულისათვის გა-

ყიდა ყველა სამკაული და კ-გამსახურდიას გადასცა” („კალმასობა”, 1997 წ. № 8), – ნერს გ-ჯავახიშვილი და, ცხადია, რომ ამ ფაქტის შესახებაც მან ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველიშვილის „მემუ-არებიდან შეიტყო. ვაგრძელებთ ციტირებას: „ელენე ბაქრაძის არქივს შემორჩა 1926-1927 წლებში დაწერილი კონსტანტინე გამსახურდიას ერთი ნერილი – ერთი ფრაგმენტი და ერთიც ლია ბარათი, რომლებშიც ბევრი საყურადღებო ცნობაა.“

შემდგომ, 1926 წლის 13 ნოემბრით დათარილებული ნერილია მოხმობილი კონსტანტინე გამსახურდიასი ქ-ნი ელენესადმი, სადაც ვკითხულობთ” მე მონასტერში ვარ და მთავარი ოცნება აფეთქებული, მთელი ცხოვრება ხელის გულზეა. თუ მე აქ არ მოვავდი, შეიძლება რომელიმე ენაზე გამოვაქვეყნო წიგნი „ალიარება“ – პოლარული ლამეები, რომელიც სქემის სახით თავში მიღულს და ხეტიალიბს... სოლოვეცკი გუმბათებზე შლის თავის ნაბადს... ჩვენ ვცხოვრობთ ერთად, ზოგჯერ მწუხაობისას ვიკრიბებით და ვმღერით...“

კონსტანტინე გამსახურდიას მეორე ბარათი იწყება ასე: „1927 წ. 12.I. სოლოვეცკა“.

ერთი ფრაგმენტი ამ ნერილიდან: აქ ყინვებია. კრემლი ჰგავს რომელილაც ფანტასტიური მეფის კრისტალურ სასახლეს. მალე მოსალოდნელია ჩრდილოეთის ნათება!“

ახლა ჩვენ ვეკითხებით „დაკვირვებით ნამკითხველ“ ბ-ნ ჯავახიშვილს, სადაა მოსკოვში პოლარული ლამეები ან ჩრდილოეთის ნათება? ამ ბარათებიდან ერთში ხომ პირდაპირ ნერია: „სოლოვეცკი გუმბათებზე შლის თავის ნაბადს“, ხოლო მეორეში – გამოგზავნის ადგილიც მითითებულია: „სოლოვეცკა“. რა კავშირი აქვს მოსკოვს სოლოვეცკასთან? თუ იცის ვიორგი ჯავახიშვილმა, რომ მოსკოვიდან სოლოვეკამდე ის მანძილია, რაც თელავიდან მანჯურიამდე, შეიძლება უფრო მეტიც. მართალია, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს ჩვენ ვერ მოვთხოვთ გეოგრაფიის ცოდნას, მაგრამ როგორი ნეტარი უნდა იყო კაცი, ამ საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდე და სოლოვეცკი მონასტრის შესახებ არაფერი გსმენოდეს! ხოლო, თუ „კრემლმა“ აცდუნა ბ-ნი პროფესორი, წესით საშუალო სკოლის ოთხოსანსაც უნდა ახსოვდეს, რომ ამ სიტყვით რუსული

ფეოდალური ქალაქების ცენტრალური უბნები აღინიშნებოდა, რომელსაც სამხედრო ფუნქცია ეკისრებოდა. ასე რომ, „კრემლი“ ნიუნი ნოვგოროდშიც არსებოდა, ტულაშიც, ყაზანშიც და, რაც უნდა დაუჯერებლად მოეჩენოს „ხარისხების, ნოდებების და მიგრაციის მქონე“ მკვლევარს, სოლოვკაშიც. „კალმასობის“ რედაქცია ნუთუ ამასაც „აღმოჩენის ტოლფას უნებლივ შეცდომად“ უთვლის მის ავტორს?

კი ბატონი, მაგრამ ხომ დაიბჭედა კონსტანტინე გამსახურდიას „ლანდებთან ლაციცი“ გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ (იხ. 1991 წ.; №№ 27-31), სადაც თეთრზე შავით წერია: 1926 წლის 1 მარტს „სამი ჩეკისტი შემოვარდა ჩემს ოთახში...“, „ბარე სამი თვე ვიჯექი ჩეკას სარდაფში...“ (თბილისში. ზ.ლ.); „...აპარატი, ლუბინკა, პატიმართა „საოცნებო სავანე“ (მოსკოვში. ზ.ლ.). შემდეგ მწერალი „სტოლიპინის ვაგონით“ ლენინგრადში ჩაუყვანიათ, ხოლო „იქიდან მეცხრე დღეს მივაღწიეთ კემს“, საიდანაც „რამდენიმე ათასი პატიმარი ყინულმჭრელში შეგვყარეს... სულ რამდენიმე საათის შემდეგ მივაღწიეთ ჩეკენი ოდისეადის საბოლოო მიზანს, სოლოვკის არქიპელაგს. ეს არქიპელაგი პოლუსს გადაღმა მდებარეობს“ (იხ. „ლიტ.საქ.“, 1991 წ. №№ 30,31).

იქნება ამის ცოდნაც არ ევალება მეცნიერს, რომელსაც „არც ხარისხები აკლია, არც ნოდებები, არც ნიგნები“ და ჯიუტად იმეორებს ისევ ერთი წლის შემდეგაც: „1926 წლის 14 ნოემბერს კ. გამსახურდია მოსკოვიდან სწერს ქ-ნ ელენეს“-ო („კალმასობა“, 1998 წ. №7).

რა ჰქონდა ამას?

და მაინც, კონსტანტინე გამსახურდიას წერილი 13 ნოემბრითაა დათარიღებული თუ 14-ით?

10. „თავის დროზე პაოლო იაშვილმა ელენე დარიანის „ეროტიკული“ პოეზია იხსნა დროის ფუტ ზრახვებს აყოლილი კრიტიკოსებისა და ეგზალტირებული ბრძოსაგან...

... ქართველი მკითხველი იმსანად სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა მათ საკითხავად“, - წერს გ.ჯავახიშვილი („კალმასობა“, 1998 წ. № 7).

მაშინვე ცხადი იყო და ამ გადასახედიდან უფრო აშკარაა, რომ

ეს „ეგზალტირებული ბრძო“ სოციალ-დემოკრატები გახლდნენ, 1916 წლის 9 მარტს კაფეში ობსტრუქცია რომ მოუნყეს ფედერალისტებს, საბაბად კი პაოლო იაშვილის დარიანული ლექსები გამოიყენეს, რომლის წაკითხვა მას არც აცალეს. „ცისფერყანწელები“ ფედერალისტებს თანაუგრძნობდნენ. უურნალში „ეშმაკის მათრახი“ (1916 წ. № 12, 20 მარტი) დაბეჭდია თაგუნას (შალვა შარაშიძის ფსევდონიმია. ზ.ლ.) სატირული ფელეტონი, მეტად სკაბრეზული სათაურით, სადაც თავისი „მათრახი“ ფედერალისტთა პარტიის თავმჯდომარეს, „ცისფერყანწელთა“ დამცველს, კიტა აბაშიძესაც გადაცკრეს, ამ შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდნენ! აქვე გამოაქვეყნეს ელენე დარიანის ლექსიც და საგანგებოდ გარითმეს:

„მზის აყვავება გამომტაცებს მწველ ადამიანს,

(ჩემს შეყვარებას მწუხარება კვლავ მოემატა!)

და დაღონებულს, ვაჟის კოცნას, კოცნას ნამიანს

ვარდისფერ ენით მომავონებს გამთბარი კიტა.“

და ვითომ შეეშალათ, იქვე „ჩაასწორეს“: „ბოდიშს ვიხდით, რომ ელენე დარიანის ლექსში ბოლო სიტყვა შეცდომით დაიბეჭდა. უნდა იყოს კატა და არა კიტა“.

ეს ხომ საგანგებოდაა ხაზგასმული!

1916 წლის 2 აპრილს დრამატული საზოგადოების თავმჯდომარედ ირჩევენ კიტა აბაშიძეს. „გამარჯვებაა?“ – ამ სათაურით გაზეთი „სამშობლო“ (1916 წ.; № 327, 5 აპრილი) აქვეყნებს მეტად ლვარძლიან ფელეტონს: „ერთი თავადი ხანჯალზე ხელს იდებს და გაჟყვირის: კიტა! კიტა! მას ბანს აძლევს ჯიბო იაშვილი და ვილაც მდივანი (ჯიბო იაშვილის ცოლისძმა. ზ.ლ.). გახურებულ ტაშს უკრავენ ფუტურისტებიც პაოლოს მეთაურობით.“

მოგვიანებით, გალაკტიონი თავის დღიურში „ცისფერყანწელების“ შესახებ წერს: „ჯგუფს თავიდანვე ახასიათებდა უალრესი აპოლიტიკურობა, მაგრამ უფრო სოციალ-ფედერალისტებთან მეგობრობდნენ. ამ პარტიაში თავმოყრილი იყო ქუთაისის ინტელიგენცია“ (გიორგი ლეონიძის სახ. ლიტერატურული მუზეუმი, გალაკტიონის ფონდი, დღიური 615, გვ. 27).

1915 წლიდან პაოლო იაშვილი სცენიდან კითხულობს ელენე დარიანის ლექსებს, 1917 წლიდან მას უსმენენ და ოვაციებს უმართავენ, საქართველომ ზეპირად იცის დარიანული ლექსები.

20-იანი წლებიდან კი – სამწერლო ასპარეზზე გამოდის ნინო თარიშვილი. 1974 წელს უურნალში „ცისკარი“ (№ 9) დაბეჭდი ნინო ჩიხლაძის წერილი, სადაც ვკითხულობთ: „პოეტ ქალს იმთავითვე ქართველი ანა ახმატოვა შეარქვა პოეტმა პ.იაშვილმა.“

– რაკი თქვენ გამოჩნდით, დღეიდან მე ხელს ვიღებ ქალის სახელით ლექსების წერაზე, – უთქვამს პოეტს ნინოსათვის. საქმე ისაა, რომ მაშინ პ.იაშვილი – ელენე დარიანის ფსევდონიმით აქვეყნებდა ლექსებს“.

ნინო თარიშვილი იგონებს: „ვმეგობრობდი ქართველ პოეტებთან. განსაკუთრებით „ცისფერყანწელებთან“. „ცისფერყანწელთა“ პრესაშიც ვბეჭდავდი... „ცისფერყანწელთაგან“ ყველაზე კეთილი ადამიანი იყო პაოლო იაშვილი. ის ერთხელ ძალიან დამეხმარა და აი, როგორ: 1924 წელს უნივერსიტეტიდან გარიცხეს თავადიშვილი, მაგალითად: ერეკლე აბაშიძე, მაგდა ამილახვარი, მიქელაძენი და სხვა. მეც თან მიმაყოლეს. შენ ლექსებისათვის გაგრიცხესო, – მიპასუხეს. ეს ლექსი იყო: „არავინ მოდის“... გაიგო ეს პაოლო იაშვილმა, წამიყვანა განათლების კომისარიატში მარიამ ორახელაშვილთან და დიდი მეცადინების შემდეგ აღმადგინეს“ (საუბარი ჩაინტერა ნინო ხოფერიამ 1989 წლის 15 ივნისს. იხ. „ლიტერატურის მატიანე“, გამ. „მერანი“, 1992 წ.; გვ. 497-498).

ნინო თარიშვილი წერს ეროტიკულ ლექსებს:

ალერსი მინდა ფეხშიშველა

კოცნები

ოცნება ცხელი

მე შენმა სახემ ვერ მიშველა.

იწვის სამხრეთული ვნება.

მტევნებათ

მკრთალია ხელები და ჩემი ტანის სითბო,

დახურულ თვალების სიტყბო.

ჩუმი სიყვარულის რთველი.

ხარ უცნაური ვაჟი!

თითქოს იძირება ზღვაში მწვანე,

გამოხედვის ფარდა

თითქოს არ გყოფნია სივრცე

ეს არის შენი დარდი.

აკლდამა, (1911)

მოვკვდები

მოკლდება ხელი გამოწვდილი შენკენ.

მელოდი, მაგრამ ვერ მოველი

იყო ღამე და მთვარე როგორც რევოლვერი,

როგორც შეყვარება ტიციანის ხელებზე,

სიზმარში მაკოცებს ვამპირი

დამიცდის უფრო უარესი

შენ ხომ მე სიყვარულს დამპირდი

მე მინდა ცისფერი ალერსი...

ლექსის ფალავანი

შენი წამნამები კიდევ მაკოცებენ,

და მყოფდარდებს გააცილებს ვნების ქარავანი,

დამტრთხალ სონეტებით ფარდა იკაცება

ცხელა ხარ პოეტებში ლექსის ფალავანი.

დეირფას ქიშმირივით ყოფნა კვლავ იძლება,

რას არ დამახვედრებ მუდამ მხიარული.

დამთვრალ ქუთუთოებს ოქროს კლავიშებად

ცხელათ უალერსებს თვალი დახურული.

ნინო თარიშვილის (1904-1990) ლექსები 1922 წლიდან სისტემა-

ტურად იბეჭდება უურნალ-გაზეთებში. პირველი კრებული სახე-

ლნოდებით „მზეში“ 1926 წელს გამოიცა, რომელსაც კრიტიკა მწვა-

ვედ და დაუნდობლად შეხვდა (იხ. ბ.ბუაჩიძე, „ლიტერატურა და თა-

ნამედროგობა“, „ზაკუნიგა“, 1927 წ.; მარიჯანი, „მნათობი“, 1927 წ.;

№ 3, გვ. 249), მაგრამ ქვეყანა ნამდვილად არ დანგრეულა: ქართველი მკიონებელი მზად აღმოჩნდა მათ საკითხავად!

11. „პაოლოს არ დასცალდა გაემსილა ფსევდონიმი“, – წერილი გვავახიშვილი („კალმასობა“, 1998 წ. № 7).

ჩვენი კომენტარი:

პაოლო იაშვილის „დარიანული ციკლის“ უკანასკნელი ლექსი „პარიზისაკენ“ დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალში „კავკასიონი“ (№ 3-4). ჟურნალის დაბეჭდვამდე კი – გაზეთში „ქართული სიტყვა“ (1924 წ.; № 27, 27 აპრილი, გვ. I) გამოქვეყნდა განცხადება: „დაიბეჭდა და მაისის 7-ს პოეზიის დღეს გამოვა გასაყიდად სრულიად საქართველოს მნერალთა კავშირის ჟურნალი № 3-4 კავკასიონი“. რედაქცია მკიონებელს ჟურნალის შინაარსსაც აცნობდა: მე-4 ნომრითა წარმოდგენილი: პაოლო იაშვილი – Urbi, მე-11 ნომრით: ელენე დარიანი – პარიზისაკენ.

ურიგო არ იქნება, თუ ბ-ნი ჯავახიშვილი გადათვლის 1924 წლის აპრილიდან 1937 წლის ივლისამდე რამდენი წელია?! ფსევდონიმის „გასამხელად“, ვგონებ, საკმარისი!

ბარემ, აქვე ვუპასუხებთ რადიოგადაცემის „ლიტერატურული პორტფელების“ ავტორს, რომელმაც თავის მსმენელს მოახსენა, რომ თურმე „ელენე ბაქრაძეს, იმხანად უკვე ბერიშვილისას, საკმარისზე მეტი მიზეზი ჰქონდა თავისი ავტორობის დასამალად“, რომ თურმე „პაოლოს თავისი ქმრიანი სატრიულოს საიდუმლოს გამხელა არ უნდოდა“:

ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი 1922 წლის შემოდგომაზე გასცილდა თავის პირველ ქმარს, გიორგი ბერიშვილს. 1922 წელსვე, 24 დეკემბერს, გაზეთში „ბახტრიონი“ (№ 24, და არა № 23, როგორც ეს ბ-ნ ჯავახიშვილს ჰგონია იხ. „კალმასობა“, 1997 წ.; № 6, გვ. 6) „ელენე ბერიშვილის“ ხელმოწერით გამოქვეყნდა ლექსი, სათაურით „თავად დარიანს“:

„წკრიალა ზარები. წკრიალა ზარები
ძველი წერილები დღეს ჩემთან არიან
მთვარის ცივ სხივებში მე გავებანები
და მოგელოდები თავადო დარიან. და გმირ მი

ჩვენი მზე წარსული, სილურჯე მთვარისა [191] და უოველი დაბრუნდა და არის სიმწარე უფალო მაღალი, ორივე გვიფარე. მე ერთხელ ჩამოგცდი ცისფერი დარღითა უფალო მაღალი, ორივე გვიფარე. მე მუდამ ვარ ჩუმი, არიან წამები როდესაც მოღიან და ვხვდები ალებით მეტრი, მეტრი მეტრა ცისფერი დაბრუნდები, ვარ რომ სხვანაირი წა მოღიან ხელებზე და კუცნიან ყველა დავალებით. მეტად მეტად გვირფასო თავადო, წახვედრი შორს ჩემგან ძველი წერილები დღეს ჩემთან არიან, წარიალა ზარების ხმაური დამჩემდა მარტინ ა-ზ მარტინ დვირფასო. მოგელი თავადო დარიან“.

ეს ლექსი, როგორც ეპივონური, გამოაქვეყნა ლალი ავალიანმა თავის წიგნში „ლიტერატურული წერილები“ (თბილისი, „მეცნიერება“, 1992 წ.; გვ. 67).

1924 წელს გაზეთში „ქართული სიტყვა“ (№ 26, 11 მაისი) დაიძეჭდა ლექსი, სათაურით „სიმარტოვე“, ხელმონერა: „ელ. ბერი-შვილი“:

„სტირს ჩემი სული არ ვიცი რატომ წვიმის და გაჰკივის მწუხარედ ქარი ჩორები გადასახად ჩორ ჩემო ძვირფასო ისევ ვარ მარტო მხოლოდ აჩრდილი შენი აქ არი. მიკივის სივრცე მძაფრი ამბორით არ მოსჩანს არც ერთ გზაზე არა ვინ და ჩემი სული ეხლა მაგონებს უნათესავო ბავშვის სამარეს. აწვიმებს ბალებს, აწვიმებს სახლებს აწვიმებს ცრემლით ფანჯრების მინებს, სევდით ვიგონებ ძვირფას სახელებს და უძვირფასესს ვინ მათქმევინებს. და ისევ ცივა, ცივა დღეს გარედ ვიღლაც დასტირის მწუხარედ ქარში უფალო ჩემო, შენ დამიფარე ის ვინც დავტოვე გარეთ ავდარში.“

ეს ლექსი გვავახიშვილმა გამოაქვეყნა გაზეთში „კალმასობა“ (1998 წ.; № 7) და მისი ადრინდელი პუბლიკაციის შესახებ პ-ნ პროფესორს წარმოდგენაც არა აქვს.

მაშასადამე, 1922 და 1924 წლებში ქმარსგაცილებული ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი საკუთარი სახელისა და გვარის ხელმოწერით აქვეყნებს ორ ლექსს. იმავე, 1922-1924, წლებში ელენე დარიანის ხელმოწერით გამოქვეყნდა ოთხი ლექსი: „ცისფერი ქოლგა“, „წერილი ანნა ახმატოვას“, „დარიანული“, „პარიზისაკენ“. სრული უფლება გვაქვს ვიკითხოთ, რატომ არ გამოქვეყნდა ეს ოთხი ლექსი ელენე ბერიშვილის ხელმოწერით, როცა „თავისი ავტორობის დასამალად“ ქ-ნ ელენეს აღარავითარი მიზეზი არა აქვს ანუ ქმარსგაცილებულია?

12. „რატომ უნდა დამყოლოდა მე სახელი პოეტი ქალისა, რომელიც წერდა ეროტიკულ ლექსებს... ხანდახან შიზოფრენიულ მოვლენად მიმაჩნია ეს მხარე ჩემს ცხოვრებაში“, – წერს თავის დღიურში ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველიშვილი და აქვეყნებს გვავახიშვილი („კალმასობა“, 1998 წ.; № 7).

ჩვენი კომენტარი:

ჯერ კიდევ 1915 წლის 10 ნოემბერს იაზონ ბაქრაძე თავის წერილში ქ-ნი ელენესადმი წერს: „... მისი (ელენე დარიანის. ზ.ლ.) ლექსები არც გაგონილი მქონდა და არც ნაკითხული, მხოლოდ სხვისგან გამეგონა, რომ იმდენად პორნოგრაფიული არის, რომ ხალხი გავიდა თეატრიდანო. ახლა ნავიკითხე „მეგობარში“ დაბეჭდილი და დავინახე, რომ ჩემგან გაგონილი აზრი მეტად გადაჭარბებული ყოფილა... ყოველ შემთხვევაში ისეთი გადაჭარბებული არაფერი ყოფილა იმ ლექსებში, როგორც ამბობდნენ“ (იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 1997 წ.; № 35, გვ. 10).

გარდა ამისა, ელენე დარიანის 1922-1924 წლებში გამოქვეყნებულ ლექსებში („ცისფერი ქოლგა“, „წერილი ანნა ახმატოვას“, „პარიზისაკენ“) ჩვენ ეროტიკას ვერ ვხედავთ, ყოველ შემთხვევაში ისეთს მაინც, მის ავტორს ანათემა რომ გამოუცხადოს მკითხველმა, ამდენად ქ-ნ ელენეს, თუკი ის იყო ამ ლექსთა ავტორი, თავისუფლად შეეძლო, ისევე როგორც ზემოთმოხმობილ ორ ლექსზე, საკუთარი სახელი და გვარი მოენერა.

აქვე ვიტყვით: ელენე ბაქრაძე-ბერიშვილის ლექსის – „თავად დარიანს“ – ადრესატი ია პაოლო იაშვილი (ამას არც ბ-ნი ჯავახიშვილი უარყოფს და იმედია, მისი მხარდამჭერნიც დაგვეთანხმებიან. ზ.ლ.) ანუ ის ავტორი, რომელმაც ელენე დარიანის ხელმოწერით 1915 წლის 8 ნოემბერს გაზეთში „მეგობარი“ გამოაქვეყნა ლექსი სათაურით „ჩემი თავადი“. პაოლო იაშვილის ამ ლექსის პუბლიკაციიდან შვიდი წლის შემდეგ, 1922 წლის 24 დეკემბერს, ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი აქვეყნებს, ბ-ნი ჯავახიშვილის გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, ლექს-გამოხმაურებას – „თავად დარიანს“ („ბახტრიონი“, 1922 წ., № 24, 24 დეკემბერი), რითაც ააშკარავებს, რომ ელენე დარიანი მამაკაცი პოეტია და რაღაა სადაო, გაუგებარია?!

13. „იხატებოდა „ქიმერიონის“ კედლები შესანიშნავი ფრესკებით... აქაც იკრიბებოდნენ ხელოვნების და ლიტერატურის დიდი თუ პატარა წარმომადგენელი“ – ეს ქ-ნი ელენეს დღიურიდან გამოაქვეყნა ბ-ნმა ჯავახიშვილმა და მსჯელობას თავად ასე აგრძელებს: „აქ დაიბადა შალვასა და ელლის სიყვარული ისე, რომ მალე დაქორინდნდნენ კიდეც“ (კალმასობა“, 1998 წ., 2).

ჩვენი კომენტარი:

„ქიმერიონი“ მოიხატა 1919 წელს. ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი და შალვა ქართველიშვილი დაქორწინდნენ 1931 წელს. ბ-ნ ჯავახიშვილს ისევ ვთხოვდით, გადაეთვალა 1919-დან 1931 წლამდე რამდენი წელია? ამას ჰქვია „მალე დაქორწინდნენ“?

აქვე ვიტყვით, რომ ელენე თევდორეს ასული ბაქრაძე პირველად 1914 წლის შემოდგომაზე დაქორწინდა გიორგი ლევანის ძე ბერიშვილზე, რომელიც 1913-1917 წლებში ელიზავეტოპოლში (განჯაში) მსახურობდა ინსტრუქტორად, უფროს ინსტრუქტორად, მთავარ სპეციალისტად დაწესებულებაში, რომლის სახელწოდება იყო „Елизаветопольский губернский комитет виноградарства и виноделия“. 1918-1922 წლებში კი ქ-ნი ელენე, თავის მეუღლესთან ერთად, ცხოვრობდა სოფელში, სახელწოდებით მერეთი, სადაც გიორგი ბერიშვილი, როგორც მევენახება-მედვინების სპეციალისტი, მსახურობდა. განქორწინდნენ 1922 წლის შემოდგომაზე.

14. „იოსებ გრიშაშვილი მეგობრობდა აგრეთვე ელენეს მეუღლეს შალვა ქართველიშვილსაც. პოეტმა თავის 1914 წელს გამოცემულ წიგნს 1915 წლის 20 ნოემბერს ასეთი ლექსი წააწერა: „იოსებ გრიშაშვილი თავის ყველა ახალ გამოცემულ წიგნს ჩუქნიდა ელენესა და შალვას. მის მიერ თარგმნილ ოვანეს თუმანიანის რჩეული ნაწერების წიგნს ასეთი წარწერა ამშვენებს: „შალვა ქართველიშვილს, მეგობარ პოეტს, მამულიშვილს. ი.გრიშაშვილი. 29.4.X.“ კონსტანტინე ჭიჭინაძეს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ელენე ბაქრაძის ოჯახთან. პოეტი ქალის არქივში დაცულია სამსტროფიანი ექსპრომტი, რომელიც ჩანს 1918 წელს არის შექმნილი. ეს ის დროა, როცა ჯერ ერთად ცხოვრობენ ელენე და მისი მეუღლე გოგი ბერიშვილი“, – ეს ციტატები ჩვენ გ. ჯავახიშვილის მხოლოდ ერთი წერილიდან – „ელენე დარიანის მეგობრები“ – ამოვილეთ („კალმასობა“, 1997 წ.; № 8).

მაინცდამაინც დიდად დაკვირვებული მკითხველი არ სჭირდება იმის შემჩინევას, რომ პირველსა და მეორე ციტატაში ანაქრონიზმებია:

1915 წელს ქ-ნი ელენე არ იცნობს იოსებ გრიშაშვილს; უფრო მეტიც, 1915 წლის ნოემბერში იგი განჯაში ცხოვრობს თავის პირველ ქმართან ერთად. რაც შეეხება შალვა ქართველიშვილს, როგორც ბ-ნმა ჯავახიშვილმა ქ-ნი ელენეს მემუარებიდან ამოიკითხა, მას ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი „ქიმერიონის“ მოხატვის დროს გაუცვია, ე.ი. 1919 წელს; როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისინი 1931 წელს შეუღლდნენ. აქედან გამომდინარე კი – იოსებ გრიშაშვილი 1915 და 1929 წლებში შალვა ქართველიშვილს, როგორც „ელენეს მეუღლეს“, წიგნს ვერ აჩუქებდა.

15. 1997 წელს გაზეთში „კალმასობა (№ 13) ბ-ნმა ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა ლექსი, სათაურით „ჩასარბენი“. ავტორად გამოცხადებულია ელენე დარიანი.

ამ ლექსის ავტოგრაფი ინხება სიმონ ჯანაშიას არქივში. ლექსს არა აქვს ხელმოწერა, მასზე მითითებული არ არის ადრესატი, დათარიღებულია 1922 წლით სიმონ ჯანაშიას მეუღლის, მართა მაჩაბლის მიერ. სიმონ ჯანაშიას ქალიშვილმა, ქალბატონმა რუსუდანმა ბრძანა, რომ ეს ლექსი ელენე ბერიშვილმა და არა ელენე დარიანმა, გაუგზავნა სოფელ მერეთში სიმონ ჯანაშიას.

ახლა ჩვენ ვეკითხებით ბ-ნ ჯავახიშვილს: აქვს კი მეცნიერს უფლება, რომ ფსევდონიმი, თანაც სხვისი, თვითნებულობა მიაწეროს ლექსს, რომლის ავტოგრაფს ხელმოწერა არა აქვს?

16. „ელენე დარიანის არქივს მიუბრუნდეთ, სადაც ინახება დარიანული ციკლის ერთი ნაწილის ხელნაწერები. ისინი განსხვავებულ რედაქციულ ნაკითხვას იძლევიან“, – აცხადებს გ. ჯავახიშვილი („კალმასობა“, 1998 წ. № 7). შემდეგ მკვლევარს მოჰყავს ურნალში „ცისფერი ყანწები“ (1916 წ. № 1) გამოქვეყნებული პალო იაშვილის დარიანული ლექსი:

„უკანასკნელი მოვიხსენი ტანსაფარავი

დადუმებულ მხრებს ელანდება შეხება ნელი, მი ძალიერ სავნებო გზაზე სიბნელეა; არ სჩანს არავინ, სასიზმრო ლოცვა ვიგალობე უკანასკნელი. დამეძინება... გათავდება ზანტი ზმორება.

და დამშვიდდება ჩემი მკერდი ჯერ ხელუხლები; და დილში ჩემს მუცელს ვიღაც ვაუი ეამბორება

და ვნებისაგან ილუნება ჩემი მუხლები. მზის აყვავება გამომტაცებს მწვევლ ადამიანს, (ჩემს შეყვარებას მწუხარება კვლავ მოემატა!)

და დალონებულ, ვაუის კოცნას, კოცნას ნამიანს, ვარდისფერ ენით მომაგონებს გამობარი კატა“.

ბ-ნი ჯავახიშვილი წერს: „ელენე დარიანის (მკითხველს შევახსნებთ, რომ გ. ჯავახიშვილი ელენე ბაქრაძე-ბერიშვილს გულისხმობს. ზ. ლ.) არქივში დაცულია ამ ლექსის ხელნაწერი“. მკვლევარს ეს ხელნაწერი ელენე ბაქრაძე-ბერიშვილის დარიანული ლექსის ვარიანტი ჰგონია. მაშ, მოვუსმინოთ ელენე ბაქრაძე-ბერიშვილს:

„აი მოვიხსენ ტანზე საფარო!

გადახსნილ მხრებსაც მოენატრა შეხება შენი

ვნებიან გზაზე ჩამობნელდა, არ სჩანს არავინ,

ბავშვობის ლოცვა ვიღალადე უკანასკნელი,



ჩამეძინება... სიზმრებია ზანტი და მდორე
დამიწუნარდება გული ჩემი ჯერ ხელუხლები,
ძილში ვიღაცა დამაკვდება, მეამბორება,
ვნების სურვილით მეღუნება მნარედ მუხლები.
დილის რიცრაუი გამომტაცებს ცხელ ადამიანს
ჩემს ნაზ სიყვარულს შენზე დარდი კვლავ მოემატა
და გამნარებულს უცხო კოცნით ქალ-ადამიანს
გონზე მომიყვანს ბუხრის ძირში გამთბარი კატა:“

ასეთივე აზრისა გახლავთ ბ-ნი პროფესორი პაოლო იაშვილის
იმ დარიანული ლექსის შესახებ, რომლის სათაურია „ცისფერი ქო-
ლგა“ „ელენე დარიანის არქივში დაცულია ამ ლექსის ხელნაწერი
ვარიანტი“, – აცხადებს ის.

პაოლო იაშვილის „ცისფერი ქოლგა“ ელენე დარიანის ხე-
ლმოწერით დაიბეჭდა უურნალში „მეოცნებე ნიამორები“ (1922წ.; №7):

„მე სოფლის ამბავს შენ მოგიყვები,
(შენ რომ ჰყოცნიდი ტუჩების კიდეს;)
ისე დაზრდილან ჩვენი იხვები,
რომ პეპლაობა დაიწყეს კიდეც.
შემომეჩვინენ ჩუმი მტრედები.
თმას მიხილავენ ლურჯ ნისკარტებით.
ამ სიყვარულით ნაიმედები,
თავს ვიმშვიდებდი სოველ ვარდებით.
ვკითხულობ ვაჟას, ვიძულებ პოეს,
ვნატრობ სუსხიან მნარე ამინდებს;
ზურგს უფხან დღისით პატარა ხბოებს
და სალამოზე ვიფერავ თითებს.
ვწოვ ყურძენს, როგორც მკივანა ბზიკი,
ტყეში ვნახულობ მე წითელ სოკოს;
ხან მლვრიე მაჭარს ვსვამ რგვალი ჭიქით,
ხან ვგავარ სოფლის მკერდ-სავსე გოგოს.
წვიმაში ვარჩევ სიმინდის ტაროს
და ლამაზ ტაროს ვაკოცებ უცებ,
მერე კი ვათევ ლამეს უმთვაროს,
და იჭვით სავსე გულს არ ვახუცებ.“



„მინდა გიამბო სოფლის ამბავი
და შენ დაკოცნი ამ ტუჩებს კიდევ,
ცას აზიდულან ჩვენი ვერხვები
მზეს უგზავნიან ჩემს ლოცვას ისევ.
შემომეჩვივნენ ჩუმად გვრიტები
ჩემს მხრებზე მკვირცხლად დანავარდობენ
მათი ულურტულით ნაიმედები
აღარ მანუხებს მძიმე დარდები.
ვკითხულობ ვერლენს, ვკითხულობ პოეს
შენგან მოველი წიგნს დანაპირებს,
ზურგზე ხელს უსვამ პატარა ხბოებს
შემდევ წყაროზე ვიხეხავ თითებს
ვაზს შევუჯდები და მტევანს ვკიკნი,
ტყეში დავდივარ დავეძებ სოკოს,
ხან მაჭარს დავლევ, ხის თლილი ჭიქით
და ვეზიდები ყურძნიან გოდორს.
წვიმიან დღეში სიმინდის ტარო
მე მომაგონებს არგვეთის ცუდ დღეს
ჩამომადგება ლამე უმთვაროდ
და იჭვით სავსე აზრი მახუცებს.“

ბ-ნი ჯავახიშვილი თვლის, რომ „ელენე დარიანის ლექსების პირველ პუბლიკაციებს (ურნალ-გაზეთებში), შალვა დემეტრაძი-სეულ პაოლო იაშვილის ნანარმოებების 1959 წლის გამოცემასა და ელენე დარიანის არქივში დარჩენილ ხელნაწერებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებანია. პირველ პუბლიკაციებს მართლაც ატყვია პაოლოს ხელი და ამას არც ქ-ნი ელენე მალავს“ („კალმასობა“, 1998 წ. № 7, გვ. 10).

ჩვენი კომენტარი:

ელენე ბაქრაძე-ბერიშვილის ამ „ლექსების“ პაოლო იაშვილის დარიანულ ლექსებთან შედარებისას, დაუკავირვებელი მკითხველიც მიხვდება, რომ ქ-ნი ელენე პაოლო იაშვილის უკვე გამოქვეყნებულ ლექსებზე წერს პასუხებს, ბ-ნი ჯავახიშვილის გამო-

თქმა რომ ვიხმაროთ, „ლექს-გამოხმაურებებს“. მკითხველი-სათვის უფრო გასაგები რომ გახდეს, მაგალითისათვის მოვიყვანთ აკაკი წერეთლის სტრიქონის: „საყვარლის საფლავს ვეძებორ, ცერ-ვნახე, დაკარგულიყო“, ელენე ბაქრაძე-ბერიშვილს ასე რომ გადაეცე-თებინა: „საყვარლის საფლავს ნუ ეძებ, აქა ვარ ჩემო სულიკორ“.

1998 წელს „კალმასობის“ (№10) რედაქციამ გამოაქვეყნა გი-ორგი ჯავახიშვილის მიერ ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველი-შვილის არქივში „აღმოჩენილი ლექსი“:

„დამელალა მაჯა მარჯნის მძიმე ჯაჭვის ტარებით
მე ლოყაზე დამრჩა ფარჩა ცხელი პირის მოკარებით;
დამელალა მაჯა მარჯნის მძიმე ჯაჭვის ტარებით
ცრემლი ბლომად დამეღვარა ერთი ლამის ნეტარებით.
დამელალა მაჯა მარჯნის მძიმე ჯაჭვის ტარებით
ჩემს დამტანჯველს ლმერთი დასჯის ქაჯად გადაგვარებით.
P.S.

ვიცი გული დაგელალა ამდენი შედარებით
(ნუ მომინებენ, კვლავ მიიღე უშნოდ ნაქარაგმები)
ჩემი გრძნობით უნინდებურს ველარ შევედარები
აზრის წმინდა სამფლობელომ დამიკატა კარები“.

რედაქცია აცხადებს: „ელენე დარიანის არქივში აღმოჩნდა დღემდე მიუგნებელი ხელნაწერი, ამჯერად ცნობილი ლექსისა „და-რიანული“ (სხვებს ხომ ადრე მიაგნეს! ზ.ლ.), რომელიც პაოლო ია-შვილის დარიანულ ციკლში შედის. ხელნაწერი ცნობილი ლექსისა-გან ფორმით განსხვავდება. იგი 6 სტრიქონიანია. ამას მოხდევს P.S. – 4 სტრიქონიანი ლექსით, რომელიც აშკარად გვიანდელი მი-ნაწერია...“

აი, ასე „აღმოჩნდა“ პაოლო იაშვილის „დაიტანჯა მაჯა მა-რჯნის...“ ელენე ბაქრაძე-ბერიშვილის „საკუთრება“ და პოეტის მოსწრებული ნათქვამი – „ჯერ-ჯერობით ჯიბოს ჯიბით“ – არც კი გაახსენდა ლრმად პატივცემულ პროფესორს, რომ არაფერი ვთქვათ, „კალმასობის“ რედაქციაზე.

კი, მაგრამ, ბატონებო, ამ Post scriptum-ის, გნებავთ „ლექს-გამოხმაურების“ დამწერი განა შესაძლებელია იყოს დარიანული

ლექსების აცტორი? გარდა ამისა, ელენე ბაქრაძე-ბერიშვილის არქივში ხომ მრავლად იქნება მარიჯანის, იოსებ გრიშვილის, გიორგი ლეონიძის, გალაკტიონ ტაბიძის და სხვა პოეტთა უკამო ქვეყნებულ ლექსებზე ასეთივე პასუხები ანუ „ლექს-გამოხმაურებები“, რომლებიც პირველნაბეჭდებთან შედარებისას „განსხვავებულ რედაქციულ წაკითხვებს გვაძლევენ“? და ეს რომ ნამდვილად ასეა, ამის შესახებ თავად გვავახიშვილი აცხადებს წერილში: „ელენე დარიანი და გიორგი ლეონიძე“ („კალმასობა“, 1997 წ.; № 7): „ელენე ბაქრაძის მდიდარ არქივში დაცულია გიორგი ლეონიძის ლექსების ხელნაწერები (დაყოფა ჩვენია. ზ.ლ.)... არქივში ინახება ცნობილი ლექსის „სიმღერა პირველი თოვლისას“ მოკლე რედაქცია, ეგების პირველი ვარიანტიც იყოს... გიორგი ლეონიძის კრებულებს ამშვენებს მისი ლექსი „ივრის ღამე“, რომელიც ხელნაწერში დასათაურებულია „იორის ღამედ“ და ისიც განსხვავებულ წაკითხვას გვაძლევს... აქვე დაცულია ცნობილი ლექსის „ხელსახოცა გამოვტაცებ“ ხელნაწერი სათაურით „ხელსახოცი“. ეს ლექსიც დაბეჭდილ რედაქციასთან შედარებისას განსხვავებულია.“

ბატონი პროფესორის ეს მსჯელობანი ასეთი დასკვნის გაცეობის უფლებას გვაძლევს:

ელენე ბაქრაძე-ბერიშვილის არქივში დაცული გიორგი ლეონიძის ლექსების ხელნაწერებიც, ისევე როგორც ამავე არქივში დაცული ელენე ბაქრაძე-ბერიშვილის ე.ნ. დარიანული ლექსების ხელნაწერები, დაბეჭდილ პუბლიკაციებთან შედარებისას, განსხვავებულ რედაქციულ ან ვარიანტულ წაკითხებს იძლევიან.

ახლა ჩვენ ვეკითხებით ბ-ნ ჯავახიშვილს, მისი პუბლიკაციებიდან გამომდინარე, ხომ შეიძლება „პირუთვნელ მემატიანეს“, ან თუნდაც, რომელიმე ჩვენსავე თანამედროვე მოკვდავს გაუჩნდეს ასეთი აზრი, რომ გიორგი ლეონიძე კი არ არის ამ ლექსების ავტორი, არამედ ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი? პატივცემული პროფესორის ლოგიკას ხომ აქეთ მივყავართ? აი, ასეთ აბსულ ამ დე შეიძლება მიიყანოს მცდარმა მსჯელობა-კვლევამ, არაპროფესიონალიზმა „პირუთვნელი მემატიანე“, დღევანდელი მკითხველიც და, მადლობა ლმერთს, რომ გიორგი ლეონიძის ლექსთა კრებულები მის სიცოცხლეშივე გამოიცა რამდენჯერმე.

ბ-ნი ჯავახიშვილის საყურადღებოდ გვინდა ვთქვათ, რომ გრ-ორგი ლეონიძეს ლექსი ასეთი სათაურით „ხელსახოცსა გამოვტა-ცებ“ – არა აქვს! პოეტის ლექსის სათაურია „ხელსახოცსა გა-დმოგიგდებ“ (იხ. გ.ლეონიძე, თხზულებანი ექვს ტომად, ტომი ჰი-რველი, თბ.; „საბჭ.საქ.“; 1962 წ.; გვ. 209).

ელენე ბაქრაძე-ბერიშვილის არქივში დაცული ყოფილა „1915 წ. შექმნილი გიორგი ლეონიძის ლექსი „შემოდგომა“, რომელსაც მიწერილი აქვს, რომ პოეტის პირველი ლექსიამ“, – წერს ჯა-ვახიშვილი და შემდეგ ასე მსჯელობს: „რა თქმა უნდა, ამაზე ნინაც წერდა და აქვეყნებდა გიორგი ლეონიძე თავის ლექსებს“ („კალმა-სობა“, 1997 წ. № 7).

ბ-ნი პროფესორი მკითხველს განმარტებას არ აძლევს, თუ ვის მიერაა ეს აბსურდი მიწერილი, მაგრამ დაკვირვებული მკი-თხველი, ალბათ, მიხვდება, რომ მინაწერი ელენე ბაქრაძე-ბერი-შვილს ეკუთვნის.

„აქვე მოვიტანთ ამ ხელნაწერის მიხედვით ლექსის ტექსტს“, – წერს გ.ჯავახიშვილი.

კი, მაგრამ – რატომ? რა აუცილებლობას წარმოადგენს გი-ორგი ლეონიძის ლექსის გამოქვეყნება მაინცადამაინც „ამ ხელნა-წერის მიხედვით“?

გიორგი ლეონიძის ლექსი „შემოდგომა“ გამოქვეყნდა 1915 წელს გაზეთში „საქართველოს“ სურათებიანი დამატება“ (გაზეთის № 132, დამატების № 3, 8 გიორგობისთვე), 1915 წელს გიორგი ლე-ონიძე ჯერ კიდევ არ იცნობს ელენე ბაქრაძე-ბერიშვილს და ჩვენ ვეკითხებით ბ-ნ ჯავახიშვილს: ელენე ბაქრაძე-ბერიშვილის არქივში დაცული გიორგი ლეონიძის ლექსების ხელნაწერი განა პოეტის ავტოგრაფებია? ცხადია, რომ არა! მაშ, რატომ ანიჭებს ბ-ნი პროფესორი ასეთ დიდ მნიშვნელობას ქ-ნი ელენეს მიერ გადაკეთებულ-გადაწერილ გიორგი ლეონი-ძის გამოქვეყნებულ ლექსებს?

აშკარაა, რომ ქ-ნ ელენეს არქივში, მისივე ხელით, ქა-რთველ პოეტთა უამრავი ლექსია, ასევე, გადაკეთებულ-გა-დაწერილი და ეს ჩვენთვის არც გასაკვირია და არც მოულო-დნელი, რადგან ასეთია ელენე ბაქრაძე-ბერიშვილის წერის „სტილი“, გნებავთ, „მანერა“ და, თუ ამას ვერ მიხვდება მისივე

„მდიდარი არქივის მჩხრეკელი, დაკვირვებული მკვლევარი“, მაშინ შესაძლოა ბ-ნი ჯავახიშვილის ლიტერატურულ ჯაყო-იზმებს, „აღმოჩენებსა“ და „უნებლივ“ შეცდომებს დასასრულიც არ ჰქონდეს და, ამის გამო, ბ-ნი პროფესორის პუბლიკიტეტის მკითხველიც მუდმივ შემში უნდა იყოს: თუ „ხარისხების, წოდებებისა და წიგნების მქონე მეცნიერმა“ ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველიშვილის არქივში დაცულ „ლექსების ხელნაწერებში“ ამ ლექსთა ნამდვილი ავტორი ამოიცნო, ხომ კარგი – გადარჩენილები ვართ, ხოლო თუ ვერ, მაშინ ეს ლექსები ქ-ნ ელენეს საკუთრებად გამოცხადდება, როგორც ეს ანა ახმატოვასთან დაკავშირებით მოხდა, რომლის ლექსების ელენე ბაქრაძე-ბერიშვილისეული თარგმანებიც გ. ჯავახიშვილმა ორიგინალურ ლექსებად მიიჩნია (იხ. გ.ჯავახიშვილი, „ელენე დარიანის ანა ახმატოვასადმი მიძღვნილი ოთხი ლექსი“, „კალმასობა“, 1999 წ.; № 5), რომ არა-ფერი ვთქვათ დარიანული ლექსების ელენე ბაქრაძე-ბერიშვილისეული ე.ნ. ხელნაწერების შესახებ.

17. „ჩემი წერილი... არავითარი სენსაციებისათვის არ გამომიქვეყნებია... პირიქით, ეს პალლოსათვის ელენე დარიანის ლექსების ციკლის ბრძად მიკუთვნების გამო ჩადენილი ცოდვის ახსნისათვის გავაკეთე“, – აცხადებს ბ-ნი პროფესორი („კალმასობა“, 1998 წ.; № 7).

ჩვენი წერილის დაკვირვებული მკითხველი, ალბათ, მიხვდა, რომ „ხარისხების, წოდებებისა და წიგნების მქონე“ გ. ჯავახიშვილი პლაგიატში სდებს ბრალს პაოლონ იაშვილს, მაგრამ შეფარვით, ძირითადად, მკვლევარი ამ „ცოდვას“ შალვა დემეტრაძეს მიაწერს.

საინტერესოა, თუ იცის პროფესორმა ჯავახიშვილმა, რომ თავისი „მეცნიერული აღმოჩენით“ მან დაარღვია პრეტის სა-ავტორო უფლება, ხოლო შალვა დემეტრაძეს – ცილი დასწამა. ფრიად სამწუხაროა, მეცნიერის ასეთი ქმედება, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით, სისხლის სამართლის კანონით რომ არ ისჯება, უპრიანი კი იქნებოდა, ამ ტიპის დანაშაულს სწორედ სისხლის სამართლის კვალიფიკაცია მისცემოდა.

დადო ჯავარიძე წერს: „საზოგადოებას... განსაკუთრებით

ალაშფოთებდა ეროტიკული შინაარსის აქ მოთავსებული (იგული-სხმება ჟურნალი „ცისფერი ყანები“, 1916 წ.; № 1. ზ.ლ.) ზოგიერთი ლექსი, კერძოდ კი ახლად მოვლენილი, მანამდე სრულიად უცნობი პოეტის ელენე დარიანის ლექსები. მერედა ვინ იყო ეს ელენე დარიანი და სადაური? ეს არავინ იცოდა და იძნეოდნენ მისი ვინაობის ამაო ძიებაში... „იანი“-თ დაბოლოებულ გვარებში ექებდნენ ელენეს სახელს: გორდეზიანი, გიორგობიანი, დევდარიანი; თუკი ვინე იყო ასეთი გვარით ყანელთა ჯგუფის ახლოს და თანაც ელენე ერქვა, ყველას სწამებდნენ დარიანობას... მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ აესადა ფარდა ამ საიდუმლოებას: პოეტი ქალის ელენე დარიანის სახელით დაწერილი ანთებული ლექსები ვინმე ქალს კი არა, იმავე პაოლო იაშვილს ეკუთვნოდა თურმე, ყანელთა პოეტური ორდენის მეთაურს“ („ვლადიმერ ჭავჭარიძე, „წარსულის გახსენება“, „კრიტიკა“, 1976 წ.; № 3).

კიდევ გავიმეორებთ: ვლადიმერ (ლადო) ჭავჭარიძემ, პაოლო იაშვილის დავალებით, მხატვრულად გააფორმა ჟურნალი „ცისფერი ყანები“.

18. გ.ჭავჭარიშვილი თავის პუბლიკაციებში ელენე ბაქრაძე-ბერიშვილს უწოდებს „ცისფერყანელთა“ პირველ დას.

„ცისფერყანელების და ვიყავი და ელენე დარიანის სახელი დავტოვე იქ. აპა, ელენე დარიანი რას წარმოადგენდა? რას წარმოადგენდა ელენე დარიანი, რატომ უნდა დამყოლოდა მე სახელი პოეტი ქალისა, რომელიც წერდა ეროტიკულ ლექსებს... ხანდახან შიზორენიულ მოვლენად მიმაჩნია ეს მხარე ჩემს ცხოვრებაში...“ – ეს ამონარიდი ქნი ელენეს დღიურიდანაა („კალმასობა“, 1998 წ.; №7).

ჩვენი კომენტარი:

„ცისფერყანელებმა გულწრფელად დაიტირეს ლილი იონას ასული მეუნარგია: „ახალი ქართული პოეზიის რიგებში დაეცა თე-თრი ნიამორი“, – წერენ მის შესახებ („ბახტრიონი“, 1922 წ.; № 7), „ცისფერ პანტერას“ უწოდებდნენ ეკატერინე (ცაცა) ამირეჯიბს (იხ. ტიციან ტაბიძე, თხ. ტ. 2, 1966 წ.; გვ. 249; ნინო ტაბიძიძე, „ტიციანი და მისი მეგობრები“, 1985 წ.; გვ. 32). „ცისფერყანელებმა“ საკუთარ შემოქმედებაში ისტორიულ პირებად

აქციეს: ერთმანეთი, პოეტური მუზები, სატრფოები, მეუღლეები, შვილები, მშობლები, ახლობლები. ქართველ მწერალთა მოგონებებში „ცისფერყანწელებთან“ დაახლოებული უამრავი ქალბატონია დასახელებული, მაგრამ ჩვენ ვერსად წავაწყდით ელენე ბაქრაძე-ბერიშვილს.

19. „ველოდები შენს სონეტებს, მხოლოდ, თუ შეიძლება, მიეცი კარგი სათაურები. მე ვფიქრობ, შენ ისეთი გამბედავი ხარ, რომ და-მფუძნებელი იქნები ქალური ლირიკისა... ვნახოთ...“ – 1926 წლის 13 (თუ 14) ნოემბერს კონსტანტინე გამსახურდია სწერს ელენე ბაქრაძე-ბერიშვილს („კალმასობა“, 1997 წ. № 8), ოღონდ არა მოსკოვიდან, როგორც ეს გ.ჯავახიშვილს ჰგონია, არამედ სოლოვკადან.

დაკვირვებით წამკითხველი წამდვილად მიხვდება, რომ აქ მომავალ დროზეა საუბარი: „ანი იქნები... ვნახოთო“; „უკვე ხარ და-მფუძნებელი ქალური ლირიკისაო“, – აქ წამდვილად არ იგულისხმება.

ახლა ჩვენ ვეკითხებით ბ-ნ ჯავახიშვილს: მერედა სადაა ეს სონეტები?

1925 და 1926 წლებში გამოიცა „ქართველ მწერალ ქალთა ალმანახი“. ერთშიც და მეორეშიც ოცამდე ქალი – ავტორის ლექსი, მოთხოვნა, თარგმანი, კრიტიკული წერილია გამოქვეყნებული. ჩვენ ვერ ვნახეთ ამ ალმანახებში ელენე ბაქრაძის, ელენე ბერიშვილისა და გნებავთ, ელენე ქართველიშვილის სონეტი, მიხილ ატურა, ლექს-გამოხმაურება, სხვათაშორის, ვერც ელენე დარიანისა, რადგან ასეთი პოეტი ქალი არ არსებობს!

1919 წელს ქუთაისში გამოიცა „ახალი პოეზიის ანტოლოგია“, აქ წარმოდგენილი ყველა ავტორი მამაკაცია, მათ შორისაა ელენე დარიანიც! მაშ, კიდევ ერთი საბუთი, დამადასტურებელი იმისა, რომ ელენე დარიანი – მამაკაცია!

20. „პაოლო იაშვილის მიძღვნა – სონეტს მოჰყვა ელენე დარიანის ლექსი „რათ შემიგინა სინამდვილემ შმაგი ოცნება?!“, რომელიც გამოქვეყნდა 1916 წლის 20 მარტს უკრნალ „ეშმაკის მათრა-
64

ხში” (№ 12, გვ. 5). ეს ლექს-გამოხმაურება სონეტის ფორმით არის ჩამოქნილი”, – აცხადებს გ. ჯავახიშვილი („კალმასობა“, 1997 წ., № 6).

შემდეგ დაბეჭდილია პაროდია, რომელსაც ბოლო ზური სტრიქონი აკლია. რედაქციას სქოლიოში მითითება გაუკეთებია: „ლექსი იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით“.

გ. ჯავახიშვილი და გაზეოთის რედაქციაც პაროდიას ელენე ბაქრაძე-ბერიშვილის ლექსად რომ მიიჩნევენ, ეს არ გვიკვრს, ჩვენ გვაინტერესებს „ეს ჩამოქნილი სონეტი“ რატომ დაიბეჭდა „მცირეოდენი შემოკლებით“?

ვაქვეყნებთ ამ პაროდიას ისე, როგორადაცაა დაბეჭდილი ჟურნალში „ეშმაკის მათრახი“:

რათ შემიგინა სინამდვილემ შმაგი ოცნება?

(ელენე დარიანის ჯერ დაუბეჭდავი ლექსი)

ვნებით აგზნებულ ტანში მივლის მე ურუანტელი,
ტკბილ მოლოდინის ურუანტელი ნარნარით მივლის,

და ისე ველი ვიღაც ვაჟსა, ვით ალს კანდელი,
ვით მწვანე ყანა, ნაწვიმარი, მხურვალე ივლისს.
ვგრძნობ, მეპარება ფეხშიშველი, უშარიშურით,
და მხოლოდ სუნთქვა ვნებიანი სწვდება ჩემ ყურებს...

ვფიცავ, ამ ტანის ერთი ნაკვთიც არ დავიშურო,
ოდეს იმ ვაჟის ცხელი კოცნა სულს გამიხურებს.

მოვიდა კიდეც... გავირინდე... ჩამომხევს სამოსს ...

მივტრიალდები და ჩამიხვევს ისეთი ხვევით,
რომ ერთის ნაცვლათ მომაგონებს ვაჟკაცა სამოცა...

მაგრამ – ვაიმე! – როგორ ამწვა ტიტველ ზურგს ქვევით?!

პირქვე დავეცი... რას ველოდი და რა მარგუნა?

თხილის წელს მარტყამს რბილ აღგილზე ვიღაც თაგუნა...
მარტყამს და ჰყვირის: „დანარჩენი სად არიანო?

ფუჭ შენს ნამუსა, შე ბეღძავო, შე... დარიანო!“

* „თაგუნა“ უში „ეშმაკის მათრახი“ ჩვეულებრივი შრიფტითაა ანუმობილი. ზ.ლ.

დაუკვირვებელი მკითხველიც კი ამოიცნობდა ამ პაროდი-აში მის ავტორს თაგუნას (შალვა შარაშიძის ფსევდონიმია. ზ.ლ.). დიდი ტვინის ჭყლეტა არ სჭირდებოდა. შინაარსის გაგებასაც; თაგუნა თხილის ცენტრ არტყამს რჩილ აღგილზე ელენე დარიანს ანუ პაოლო იაშვილს და დანარჩენ „ცისფერყა-ცენტრსაც“ ამას უკირებს.

ბ-ნმა ჯავახიშვილმა შალვა შარაშიძის პაროდია ელენე ბაქრაძე-ბერიშვილის ლექსად გამოაცხადა: „1916 წელს უურნალ „ეშმაკის მათრახში“ გამოქვეყნებულ ლექსში (გვ. 5) ელენემ პირველად ახსენა პაოლო იაშვილი დარიანად“ („კალმასობა“, 1997 წ. № 6).

ბ-ნი პროფესორის ამ მსჯელობიდან შემდეგი დასკვნების გაკეთება შეიძლება: ა) ქ-ნმა ელენემ, თუ პაოლო აქ დარიანად გამოაცხადა, ე.ი. დარიანული ლექსების ავტორი პაოლო ყოფილა; ბ) ქ-ნ ელენეს „თავისი ლექსი“ რადგან სოციალ-დემოკრატების ორგანოში დაუბეჭდავს, მაშასადამე, იგი „ცისფერყანწელთა“ მონინაალმდეგების მხარეს ყოფილა და „ცისფერყანწელთა და“ ამას იკადრებდა? გ) ბ-ნი ჯავახიშვილის ზემოთმოხმობილი მსჯელობით ილახება შალვა შარაშიძის საავტორო უფლება.

მაგრამ ეს არაფერი! პატივცემულ პროფესორს თაგუნას პაროდია ელენე ბაქრაძე-ბერიშვილის „დარიანული ციკლის“ მე-15 ლექსი ჰგონია: „ელენე დარიანის დღიურის თხუთმეტივე ლექსი მიძღვნილია პაოლო იაშვილისადმი“, – აცხადებს ის („კალმასობა“, 1997, № 6).

ჩვენ გაგვიჩნდა ეჭვი, რომ მკვლევარი ამ „აღმოჩენამდე“ დამოუკიდებლად ვერ მივიღოდა. აშკარაა, ამის შესახებ ჩანაწერი არსებობს ქ-ნ ელენეს დღიურში. ეჭვის საფუძველს კი გვაძლევს შემდეგი გარემოება: საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების არქივში დაცულია ელენე ბაქრაძე-ქართველიშვილის შვიდი წერილი ვალენტინა ბალუაშვილისადმი. ერთ მათგანში ქ-ნი ელენე წერს: „Считаю глупостью поднимать шумиху из-за 15 стихотворений...“

ცხადია, ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველიშვილი შეცდომაში შეიყვანა ამ პაროდიის სათაურის ქვეშ ფრჩხილებში მოთავსებულმა ერთმა წინადადებამ: „ელენე დარიანის ვერ დაუბე-

ჭდავი ლექსი“. აქედან ნათელია: ელენე ბაქრაძე-ბერიშვილ-ქართველიშვილს ეს პაოლო იაშვილის ლექსი ჰერნია და, ამის გამო, იჩემებს მის ავტორობას. ეს გახლავთ მრავალზოგან ერთი საბუთი იმისა, რომ ქ-6 ელენეს დარიანულ ლექსი-ბთან არავითარი კავშირი არა აავს!

21. „... პაოლო სიცოცხლის ბოლომდე გულგრილი არ დარჩენილა ელენესადმი. ელენეც პაოლოსადმი დამოკიდებულებას მოელი მისი ცხოვრებითა და შემოქმედებით გამოხატავდა. ყოველივე ამას ადასტურებს პოეტი ქალის არქივის ფოლიანტები“, – აცხადებს გ.ჯავახიშვილი („კალმასობა“, 1997 წ. № 6).

ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, პოეტი ქალის არქივის ფოლიანტები რასაც „ადასტურებს“. მართალია, ქ-6 ჯავახიშვილს ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველიშვილის არქივი პრივატიზებული აქვს, მაგრამ პაოლოს დამოკიდებულება ქ-ნი ელენესადმი კარგად ჩანს ქ-ნი ელენეს ერთი ნერილიდანვე, რომელსაც ვალენტინა ბალუაშვილს უგზავნის და საკუთარ თავზე, როგორც მესამე პირზე, ნერს:

„Както Г. Кикодзе сказал ей, милая моя, все ваши стихотворения литературашина. Все ваши переводы выдуманы, вы не обижайтесь, я вас вижу. Но не огорчайтесь, они переписаны (დაუმფა ყველგან ჩვენია. ზ.ლ.) прекрасно и Тициан, хотя не любит вас, но восхищается ими. Паоло вас считает страшной женщиной, а я женщиной без загадки...“

ქ-6 ელენეს, ეტყობა, კალამი გაექცა, სიმართლე წამოსცდა და ჩვენი კომენტარი აქ აშკარად ზედმეტია.

ელენე ბაქრაძე-ქართველიშვილის ნერილებში უამრავი უზუსტობაა. მაგალითად:

„Первое стихотворение Е. Д. было опубликовано в журнале „Голубые роги“. Название ему придумал Паоло Яшвили, „Увертюра“.

ჩვენი კომენტარი: პაოლო იაშვილის პირველი დარიანული ლექსები დაიბეჭდა გაზეთში „მეგობარი“ 1915 წელს: „ძახილი“, „ჩემი თავადი“ (№ 33, 8 ნოემბერი), „ზამთარში“ (№ 62, 13

დეკემბერი).

„Между тем, далеко не все стихотворения цикла в действительности принадлежат перу Паоло Яшвили...“ – ნერს ქ-ნი ელენე.

აქედან გამომდინარეობს შემდეგი: ზოგი ლექსი მაინც პა-ოლოსი ყოფილა, ბ-ნი ჯავახიშვილი კი გვიმტკიცებს „თხუთმეტივე ლექსი“ (!) ელენე ბაქრაძე-ბერიშვილისაა.

„Стихотворения юной поэтессы редактирует Паоло Яшвили (иначе – Галактион Табидзе)...“

მაშასადამე, ელენე ბაქრაძე-ბერიშვილის დარიანული ლექსები „გაუყვიათ და მიუთვისებიათ“ პარლოს და გალაკტიონს. და-ჟუჟეროთ ა-ნ ელენე? როგორ მოიქცია აა ვეათხვე-ვაში „პირუთველი ერთადიანება“?

„Выйдя замуж она в прежнем стиле писать перестала“, – ნერს საკუთარ თავზე ელენე ბაქრაძე-ქართველიშვილი, ხოლო 1969 წლის 13 მარტით დათარიღებულ ნერილში ვკითხულობთ:

„Эта была вспышка, в которой я должна была выразиться. Но это не был талант, как видно из последующего, иначе он не потух бы. А он ведь потух! Паоло был блестящий шлифовщик моего порыва...“

ჩვენი კომენტარი: როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქ-ნი ელენე ბა-ქრაძე 1914 წლის შემოდგომაზე დაქორნინდა გიორგი ბერიშვილზე, ცხადია, ბ-ნი ჯავახიშვილიც დაგვეთანხმება ამაში. ამ ორი ნერილის მიხედვით კი გამოდის, რომ მას გათხოვება მდე ყველა დარიანული ლექსი დაწერილი პქნია, თან მისი პოეტური აზეთძება(!) მალე ჩამერალა. პაოლო (და ხანდახან გალაკტი-ონიც) ამ ლექსებს „შლიფოვკას“ უკეთებდა და დროჩაგდებოთ აქვეყნებდა 1915 წლიდან 1924 წლის ჩათვლით.

ჩვენ არ გვეგულება დედამიწის ზურგზე ჭკუათმყოფელი, რო-მელიც ამას დაივერებს, და მაინც, როგორ მოიქცევა „პირუ-თველი ერთადიანება“ ხომ არ ვიცით?

რატომ არ გაამხილა, რომ ლექსები „მისი“ იყო, ამის შესახებ ქ-ნი ელენე ნერს:

“Мать девушки услышав стихи, узнав о новой поэтессе Дариани, была возмущена... юная поэтесса взяла с Паоло слово никому не говорить об ее авторстве. Слово это соблодалось.“

ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ 1915 წლის ნოემბერში, როცა პირველად გამოქვეყნდა დარიანული ლექსები, ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი განჯაშია, სადაც მას წერილებს უგზავნიან იზიზონ ბაქრაძე და პაოლო იაშვილი; განჯაში ცხოვრობენ, აგრეთვე, ელენე ბაქრაძე-ბერიშვილის მშობლებიც.

„Она без всякого огорчения уступила бы стихи кому угодно, но не Паоло... она не раз огорчала его отказом от его требования „оправиться“. Ему претило, когда ему приписывали слишком уж интимные эротические из'явления женщины.“

საყოველთაოდ ცნობილია, ერთი რითმის გამოც კი ქართველი პოეტები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უცხადებენ. აი, რას ამბობს აღმფოთებული პაოლო იაშვილი: „გვძარცვავენ ყოველ დღე სახეებში, რითმებში, ლექსებში და რომელნიც ზეპირად ნათქვამსაც იმეორებენ, თუ არა დანერილის გამეორებას ვინ და-ასწრებდათ“ (გაზ. „ბარიკადი“, 1922 წ., № 5). „იაპონიაში პლაგი-ატი, როგორც დანაშაულობა არ არის შეტანილი ხალხის მორალურ კოდექსში. იაპონიაში ეს ერუდიციად არის მიღებული. ჩვენში კი ამ ნიადაგზე, ორ პოეტს ერთმანეთის სისხლის დალევაც შეუძლიათ“, – წერდა მარიჯანი („ქართველ მწერალ ქალთა ალმანიი“, 1926 წ., № 2, გვ. 29). ამიტომაც მეტისმეტად მიამიტურად და გულუბრყვილოდ გვეჩვენება ელენე ბაქრაძე-ბერიშვილის ეს „ჟე-სტი“: „Она без всякого огорчения уступила бы стихи кому угодно...“, მით უმეტეს, რომ ამ სტრიქონების წერისას, მან კარგად იცის: დარიანული ლექსები შედევრებია და ამიტომაცაა, რბილად რომ ვთქვათ, მონდომებული თავი დაიმკიდროს ქართულ პოეზიაში, როგორც დარიანულ ლექსთა ავტორმა.

რაც შეეხება იმას, რომ თურმე პაოლოს „... претило, когда ему приписывали слишком уж интимные эротические из'явления женщины“, – უნდა განვაცხადოთ შემდეგი:

პაოლო იაშვილმა ელენე დარიანის ლექსები პირველად წაიკითხა ლიტერატურულ საღამოზე „საქართველოს ყვავილები“, ქუთაისში, 1915 წლის 20 სექტემბერს და, ამ დროიდან მოყოლებული 1924 წლამდე, შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან: ელენე დარიანის ლექსებს კითხულობდა სცენიდან, სუფრასთან: იმდრო-

ინდელი პრესა ამ ცნობებს გამუდმებით აქვეყნებს.

„.... только время от времени поэт высказывал свое негодование – он никак не ожидал, что сугубо женский псевдоним привнесут ему. Не раз он просил разрешения раскрыть тайну, но каждый раз склонялся на просьбы Элли, к которой питал чувства возможно более, чем дружеские...“

აი, აქედან მოდის პროფესორ გ.ჯავახიშვილის „უნებლიე“ შეცდომათა ერთი ნება!

ქ-ნი ელენე ერთ წერილში, რომელიც 1964 წლის 26 მაისითაა დათარიღებული, ასახელებს იმ პირებს, რომელთაც თურმე „სცოდნიათ“ მისი დარიანობის შესახებ: „.... очень немногие знали об этом. Знал Т. Табидзе Гр. Роб-е, Г.Табидзе и некоторые Яшвили...“

ჩვენი კომენტარი: აქ, სულ ცოტა, ხუთი ადამიანი მაინც იგულისხმება. იაშვილებისა, ჩვენ, არაფერი ვიცით, მაგრამ 1964 წლისათვის, ამ წერილში ნახსენები, სამივე მწერალი გარდაცვლილია: ტიციანი – 1937 წელს, გალაკტიონი – 1959 წელს, გრიგოლ რობაქიძე – 1962 წელს. ცოცხალ მოწმეებს ქ-ნი ელენე არ ასახელებს.

22. გ.ჯავახიშვილმა „კალმასობაში“ (1998 წ. № 7) დაბეჭდა ელენე ბაქრაძე-ბერიშვილის ლექსი „ხატაური“:

შ. ქ-ს

„მწვანე ხავერდი, ვერცხლის ბერი და
ხატაური

ჭრელ ხალიჩაზე ჩაჰკვდომია
სპარსეთის რაშებს...
დათენთილ ბრჭყალებს ამახვილებს და
ათამაშებს
ამართულ ყურთა ესმის უცხო ქვეყნის
ხმაური.

ცხელი სალამო, ქვიშის სრბოლა,

აურზაური

აუტეხნია შუალამით წყეულ ზარნაშებს,



ო, რა უხდება, ამპარტავან, აშლილ

ულვაშებს

მისი სვლა ასე მომხიბლავი და უცნაური.

მწუხრის საათზე სფინქსის სახე

გააცხოველებს

ლამის წიაღში ის კითხულობს ლამის

ნოველებს

და განუწყვეტლივ აპრუტუნებს შორით
ნალარას.

პატარა თითებს კარგად ახსოვთ

სპილოსთან ბრძოლა,

რა დროს დაიწყებს ზამთრის სუსაში

ბუნება ძრწოლას,

ბუხრის სითბოზე მოიგონებს ყვითელ

საქარას.“

1923 6. XII

„ამ ლექსის დაბეჭდვა პავლე ინგოროვას ნდომებია (და-
ყოფა ჩვენია. ზ.ლ.) უურნალ „კავკასიონში“, მაგრამ, რატომდაც,
ელენესაგან „თავაზიანი“ უარი მიუღია. დღეს ვუსრულებთ ბატონ
პავლეს სურვილს“, – აცხადებს ბ-ნი გ.ჯავახიშვილი.

ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველიშვილი ვალენტინა ბალუ-
აშვილს წერს: „Е.Ф. с горестию отмечает, что Паоло она не пе-
редала стих “Хатаури“. м.б., по мнению некоторых лучшее из
всех. Это сонет, кот. был принят Павле Ингороква для напечата-
ния в “Кавкасиони“.

გასაოცარია, თუ პავლე ინგოროვაბ, პაოლოს „შლიფოვების“ გა-
რეშე თავის უურნალში „ხატაურს“ ბეჭდავდა, ე.ი. ლექსი მოსწონე-
ბია და რა საჭირო იყო ამ ლექსის პაოლოსათვის გადაცემა?

1924 წელს პავლე ინგოროვამ უურნალში „კავკასიონი“ (№3-4)
გამოაქვეყნა პაოლო იაშვილის „Urbi“, ელენე დარიანის – „პარიზი-
საკენ“; მაშ, როგორ მოხვდა ლექსი „პარიზისაკენ“ უურნალში და,
საერთოდ, ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველიშვილი აცხადებს
მასზე პრეტენზიას, თუ არც იცის მისი არსებობის შესახებ? ვის-

აქვს პასუხი ამ კითხვაზე?

და კიდევ ერთი: „ხატაშრს“ თარიღად უზის: 1923 წელი. ერთი წლის უკან, 1922 წელს, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ელენე ბერიშვილის ხელმონერით გამოქვეყნდა ლექსი „თავად დარჩანს“; ასევე იყო შესაძლებელი გვარ-სახელის მითითებით გამოქვეყნებულიყ „ხატაშრიც“, თუკი „ამ ლექსის დაბეჭდვა პავლე ინგოროვას ნდომებია“ – რაშიც ჩვენ ეჭვი გვეპარება. ხოლო პროფესორი ჯავახიშვილი „ბატონ პავლეს სურვილს რომ უსრულებს“, ერთხელ მაინც ხომ უნდა დაფიქტდეს, რატომ ოქვა ელენე ბაქრაძე-ბერიშვილმა „ხატაურის“ გამოქვეყნებაზე „თავაზიანი“ უარი?

ჩვენთვის ეს აშკარად გაუგებარია!

გვინდა მკითხველმა იცოდეს, ვინ არის ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველიშვილის ნერილების აღრესატი:

ვალენტინა იოსების ასული ბალუაშვილი (დაიბადა 1919 წელს), მოღვაწეობდა პუშკინის (ახლა სულხან-საბა ორბელიანის) სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი. 1973 წელს მან საღოტორო დისერტაცია დაიცვა თემაზე: „Некоторые проблемы идеино-эстетического взаимообогащения национальных литератур (Тициан Табидзе и русская поэзия)“.

1964 წელს ქალბატონმა ვალენტინამ უურნალში „Литературная Грузия“ (№ 7) გამოქვეყნა ნერილი პაოლო იაშვილის შესახებ სათაურით: „Вдохновенный поэт-патриот“. სტატიის მოსამზადებლად მეცნიერი გასცნობია სათანადო ლიტერატურას: მწერალთა გამოქვეყნებულ მოგონებებს, მოსკოვში, გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი დაცულ საარქივო მასალებს, „ცისფერყანწლების“ შესახებ, აგრეთვე, პირადად გასაუბრებია ნიკოლოზ ტიხონოვს, კოლაუნ ნადირაძეს, ელენე თევდორეს ასულ ბაქრაძე-ბერიშვილ-ქართველიშვილს, პაოლო იაშვილის მეულეს – თამარ გორგის ასულ ოქრომჭედლიშვილს. სტატიიდანვე ჩანს, რომ ქალბატონ ვალენტინას შეუსწავლია პოეტის ოჯახში დაცული მასალებიც: ბორის პასტერნაკის 1937 წლის 28 აგვისტოთი დათარილებული სამძიმრის ნერილი თამარ ოქრომჭედლიშვილ-იშვილისადმი ამ უკანასკნელის ნებართვითაა გამოქვეყნებული. უეჭველია, ვალე-

ნტინა ბალუაშვილი ოჯახში დაცულ იმ ბლოკნოტსაც ნახავდა, სადაც პაოლო იაშვილის ხელით ჩანერილია დარიანული ლექსები (ბლოკნოტის ქსეროასლი ამჟამად დაცულია ვიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში) და იგი ეძღვნება თავარ ის შვილს. ქალბატონმა ვალენტინამ გამოაქვეყნა პაოლო იაშვილის 1915 წლის 10 ნოემბრით დათარილებული წერილი ელენე ბაქრაძე-ბერიშვილისადმი, მაგრამ იგი დაბეჭდილია კუპიურებით, აյ არაფერია ნათქვამი ელენე დარიანის ლექსების შესახებ.

ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველიშვილი თავის პირველ წერილებში ცდილობს დაარწმუნოს ვალენტინა ბალუაშვილი, რომ იგი იცნობს ელენე დარიანს: „Я знакома с Е.Д.-и. Ей категорически не хочется, чтоб о ней заговорили. Она органически не выносит “известности”, – гласит ельена бакрაძе-бერიშვილი-ქართველიშვილის ხელითა დანერილი და მისი კომენტარისაგან თავს შევიკავებთ.

„.... За три дня до гибели, во время последней встречи с Паоло Яшвили на одном литературном вечере, улучшив минуту, сказал ей:

– У меня все твои стихи переписаны в особую тетрадь, заиди к Тамаре и возьми. Удивившись, Елена Федоровна тогда не придала этим словам особого значения и только после его трагической гибели поняла их смысл. Но за тетрадью не пошла. Обнаруженные среди других произведений и бумаг, они были включены в посмертный сборник.“

ნუთუ ამ ობროდობას (პაოლო იაშვილის გამოთქმაა. ზ.ლ.) კომენტარი სჭირდება?

გასაოცარია ერთი რამ: 1954 წლიდან, პაოლო იაშვილის რეაბილიტაციიდან ოცი წლის (1955-1975) განმავლობაში პოეტის ლექსების რამდენიმე კრებული გამოიცა, სადაც შესულია დარიანული ლექსები და ელენე ბაქრაძე-ბერიშვილ-ქართველიშვილს თავისი პოეტენციის გამო შეეძლო განცხადებით მიემართა საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობისათვის, მაგრამ ასე არ მოიქცა, რატომ? ვისა აქვს პასუხი ამ შეკითხვაზე?

ვფიქრობთ, ქ-ნი ელენეს წერილები და მემუარები ლიტერატურის ისტორიკოსის კვლევის სფეროს ბევრად სცილდება და უფრო შორს, ფსიქოანალიზის სფეროში გადადის.

პაოლო იაშვილის ტრაგიკულ აღსასრულამდე შვიდი თვით ადრე იჭერენ მის უახლოეს მეგობრებს, ხოლო 1937 წლის 15 მაისს საქართველოს რესპუბლიკის კომპარტიის X ყრილობაზე დაწრე- ცეი პერიამ თავის მოხსენებაში აქცენტი გააკეთა სამ-მწერალზე: მიხეილ ჯავახიშვილი, ტიტიან ტაბიძე, აკოლო იაშვილი. სამივე პერი იმ დღეს გადაწყდა.

1937 წლის 27, 28, 30 მაისსა და 8, 9 ივნისს მწერალთა კავში- რის პრეზიდიუმის სხდომები ტარდება, რომელსაც ბატონი რევაზ კვერენჩილაძე სამართლიანად უწოდებს დაკითხვებს (იხ. მისი „წამების გზა“, წიგნი I, „მერანი“, 1999 წ.). ეტყობა ქ-ნ ელენეს ეს სხდომები, ამ სტრიქონების წერისას, „ლიტერატურულ სალამო- ებად“ ეჩვენება. ეპვე თვის განვითარებაში, ვიდრე 22 ივლისამდე, აკოლო იაშვილი დაკითხვებზე დაჰყავდათ პერიასთან (იხ. რ.კვერენჩილაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 180).

1937 წლის 22 ივლისამდე სამი დღით ადრე პაოლო იმ ყო- ფენაზე ფიქრობს, ჯოჯოხეთად რომ გადაუქციეს და არყოფნას არჩევს!

ელენი დარიანის ხელმოწერით შპანასპელი ლექსი „პარიზისაკენ“, როგორც არაერთგზის აღვიშნეო, 1924 წელს და- იბეჭდა. შემდგომ პოეტს ამ ფსევდონიმით არავარი გამო- უქვეყნებია: ბოლშევიკებმა სხვა „ესთეტიკა“ მოიხარეს: 1924 წლის აგვისტოში ყვირილასთან ოცი ლექსი ქა – ვა- სილი (ჟუნია) დაუსვრიტეს.

1997 წელს „კალმასობაში“ (№ 6) ბ-ნმა ჯავახიშვილმა გამო- აქვეყნა წერილი სათაურით „ცისფერყანწელთა ცისფერი დედო- ფლის მეგობრები: პაოლო იაშვილი“. აქვეა ფოტო სურათი, რო- მელიც ამ სერიით გამოქვეყნებულ რამდენიმე პუბლიკაციას შემდე- გშიც ერთვის. სურათს ანერია: „ზემოდან პირველ რიგში დგანან: ელენე დარიანი, პაოლო იაშვილი და ტიტიან ტაბიძე“.



იურისტისა და ლიტერატორის კოკი (კონსტანტინე) აბაშიძის (1889-1937) რძალმა, ქალბატონმა თინა ფერაძემ, განვიმარტა, რომ ამ ფოტოზე აღბეჭდილი ქალბატონი არის იურისტისა და მთარგმნელის, პეტრე ქავთარაძის მეულლე – ანა. ქალბატონმა თინამ გვითხრა, აგრეთვე, რომ ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველი-შვილი მეგობრობდა მის დედამთილს – ელენი ანტონის ასულ ნატოშვილს, რომლის გარდაცვალების შემდეგ, 70-იან წლებში, ელენე ბაქრაძე-ბერიშვილმა-ქართველიშვილმა მათი ოჯახიდან, დღოებითი სარგებლობისათვის, წაილო აბაშიძეების არქივი: ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების წერილები, ლექსები, ფუნაგორიები, ჩანახატები, მეგობრული შარუები – დაახლოებით 60 ერთეული. კოკი აბაშიძის შვილიშვილმა, ბატონმა გიამ განაცხადა, რომ ამ წერილებისა და ლექსების დიდი ნაწილი, რადგან ფურცლები უკვე გაცვეთილი იყო, მისი და მისი ბებიის, ელენე ანტონის ასულის ხელითაა გადაწერილი.

ფოტოსურათთან დაკავშირებით ჩვენ საგანგებოდ ვენვიეთ პეტრე ქავთარაძის ქალიშვილს, ქალბატონ მანანას, რომელსაც ვერ კიდევ 1980 წელს „ლიტერატურულ საქართველოში“ (№ 12, 21 მარტი) გამოუქვეყნებია იგი. აქ აღნიშნულია, რომ „ფოტო გადაღე-

ბულია 1928 თუ 1929 წელს ზაფხულში. სხედან – პირველ რიგში: პეტრე ქავთარაძე, გიორგი ლეონიძის მეუღლე ეფემია გედევანი-შვილი; მეორე რიგში: გერონტი ქიქოძე, ტიციან ტაბიძის მეუღლე ნინო მაყაშვილი, შალვა ქართველიშვილი (ვექილი), გერონტი ქიქოძის მეუღლე ტასო ამირეჯიბი, გიორგი ლეონიძე, დგანან: ერთ-ერთი პირველი ქართველი ექიმი ქალი – ანა ლორთქიფანიძე-ქავთარაძე, პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე“.

იგივე ფოტო მანანა ქავთარაძე-კაკაბაძისამ დაბეჭდა 1998 წელს ურნალში „ცისკარი“ (№ 12).

მაშასადამე, ამ ფოტოს ურათ ზე აღბეჭდილი, თავზე მანდილშემოხვეული ქალბატონი გახლავთ: პეტრე ქავთარაძის მეუღლე, მანანა ქავთარაძე-კაკაბაძის დედა, ილარიონ ტარიელის ძე ლორთქიფანიძის ასული – ანა!

ახლა ჩვენ ვეკითხებით ბ-ნ ჯავახიშვილს მისივე სიტყვებით: „თუ თვალებდახუჭული არ არის მეცნიერი“ (იხ. „კალმასობა“, 1997 წ.; № 13), მას ხომ უნდა შეემჩნია ეს ფოტო ტიციან ტაბიძის სახლ-მუზეუმში ვიზიტისას, ქალბატონ ნიტას იგი საკმარიდ თვალსაჩინოდ აქვს გამოფენილი და, თუ ეს მეცნიერი „ყურებში თითებდაცობილი არ არის“ (ისევ ბ-ნი ჯავახიშვილის გამოთქმაა, იხ. ზემოთდასახელებული გაზეთი. ზ.ლ.), ხომ უნდა შეესმინა ქალბატონ ნიტას კომენტარი ამ სურათზე აღბეჭდილი მანდილოსნის შესახებ?

მკითხველს გვინდა მოვახსენოთ, რომ გ.ჯავახიშვილის „უნებლიე“ შეცდომათა აღნუსხვა და მათი კომენტირება არა ერთ და ორ, არამედ რამდენიმე სტატიის ფარგლებსაც კი სცილდება, ამიტომ ჩვენ შევეცადეთ ძირითად და არსებით შეცდომებსა და ლიტერატურულ ჯაყონზებზე გაგვემახვილებინა ყურადღება.

1998 წლის ივლისში გაზეთში „ლიტერატურული ცხინვალი“ (№ 7) გამოქვეყნდა დოცენტის, თამილა გოგოლაძის წერილი „ვინიმალებოდა „ელენე დარიანის“ ფსევდონიმის ჩრდილში“.

ქალბატონი თამილა თვლის, რომ ლალი ავალიანსა და გიორგი ჯავახიშვილს დარიანული ლექსების ავტორობასთან დაკავშირებით საკუთარი ჰიპოთეზები ნამოუყენებიათ.

ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვოქვათ, რომ ქალბატონ ლალი

ავალიანს თავის პუბლიკაციებში ამასთან დაკავშირებით არავითარი ჰიპოთეზა არ გამოუთქვამს.

ქართველმა მწერლებმა იმთავითვე იცოდნენ, მისტიკიკაცია პაოლოს საქმე რომ იყო. რაც შეეხება ელენე დარიანს, „ცისფერყანწელებმა“ და სხვა ლიტერატურული დაჯგუფების მწერლებმაც, აგრეთვე, მაშინვე იცოდნენ, „ვინ იმალებოდა ამ ფსევდონიმის ჩრდილში“, მათ მიერვეა ბახსნილი ეს ფსევდონიმი და, აქედან გამომდინარე, ლალი ავალიანს, „დარიანული ლექსების“ ავტორობასთან დაკავშირებით, არც შეეძლო პერნოდა ჰიპოთეზის ბატონ გიორგი ჯავახიშვილსაც, რამდენადაც ჩვენთვის მისი პუბლიკაციებიდანაა ცნობილი, „დარიანული ციკლის“ ავტორთან დაკავშირებით ჰიპოთეზა არ გამოუთქვამს. მართალია, ჰიპოთეზა მეცნიერული ვარაუდი გახდავთ, რომლის უეჭველობა დამტკიცებული არ არის, მაგრამ ბ-ნი ჯავახიშვილი 1997 წლიდან მოყოლებული დღემდე ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, რომ დარიანული ლექსების ავტორია ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველიშვილი.

ქალბატონი თამილა გვთავაზობს თავის ჰიპოთეზას: პაოლო იაშვილი და ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი ერთად წერდნენ ლექსებს. მოგვყავს ციტატა მისი პუბლიკაციიდან:

„პაოლო იაშვილისა და ელენე ბაქრაძის სიყვარულის ჰიპოთეზა ეტაპზე (დაყოფა ყველგან ჩვენია. ზ. ლ.) მათი ერთობლივი გრძნობებისა და განცდებისაგან შეიქმნა 7+1 დარიანული ლექსი, ე.ი. რომლებიც არაა შესული ბლოკნოტში (იგულისხმება ის ბლოკნოტი, რომელიც ინახება პაოლო იაშვილის შვილიშვილის ოჯახში, ხოლო ქსერონასლი დაცულია გიორგი ლეონიძის სახ. ლიტერატურულ მუზეუმში. ზ.ლ.). კერძოდ, „ძახილი“, „გათენდა“, „ნადიმი“, „ზამთარში“, „უვერტურა“, „უკანასკნელი მოვისხენი ტანააფარავი“, „ხშირია სიჩურე ანუ მე და კატა“, „ყოველთვის მაისში“, „ელენე დარიანი წერს უბრალოდ და აბნეულად“ (შეიძლება იგი ეკუთვნოდეს პაოლო იაშვილს ან მხოლოდ ელენე ბაქრაძეს) 1915, 1916, 1920 წლებშია შექმნილი ერთობლივად“.

ქ-ნ თამილას უნდა მოვახსენოთ, რომ პაოლო იაშვილს ლექსები ასეთი სათაურებით: „გათენდა“ და „ნადიმი“ არა აქვს. შესაძლოა, ეს კორექტურა და აქ იგულისხმება ლექსი „გათავდა ნა-

დიმი“, რომელსაც პირველნაბეჭდში სათაურად აქვს: „ჩემი თავადი“ (იხ. გაზ. „მეგობარი“, 1915 წ.; № 33, 8 ნოემბერი). ამის მიუხედავად, პუბლიკაციის ავტორის არითმეტიკისა ჩვენ ვერაფერი გავითვით გეთ. სამაგიროდ, ქ-ნი დოცენტისაგან შევიტყვეთ პირველად, რომ თურმე სიყვარულს ეტაპები ჰქონია. ამ ციფრატაში ნახსენები „სიყვარულის პირველი ეტაპი“ ქ-ნ თამილას იმისთვის დასჭირდა, რომ პაოლო იაშვილის „დარიანული ციკლის“ ლექსები 1915-1924 წლებში გამოქვეყნდა და, თუ ელენე ბაქრაძე-ბერიშვილისა და პაოლო იაშვილის სიყვარულს მკითხველი რამდენიმე ეტაპად ნარმოიდგენს, მაშინ მკვლევარის პიპოთებას არგუმენტის ძალა მიეცება.

ჩვენი კომენტარი ამასთან დაკავშირებით ასეთი იქნება:

კოლაუ ნადირაძე ამბობს: „ელენესა და პაოლოს რომანი ჰქონდათ, პირველად ხელთათმანი ელენემ გადმოუგდო...“ („ლიტერატურული საქართველო“, 1988 წ.; № 16, 15 აპრილი). გვარი ნახსენები არ არის, მაგრამ აშკარაა, აქ ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი იგულისხმება, რომელმაც ტრფობის ასეთი ხელთათმანი ბევრს გადაუგდო. ბ-ნი ჯავახიშვილის პუბლიკაციების წყალობით, ქ-ნმა თამილამ და გაზით „კალმასობის“ მკითხველმაც უკვე კარგად იციან, ელენე ბაქრაძე-ბერიშვილის ცხოვრების რომანული ეპიზოდები. 1922 წელს ელენე ბაქრაძე-ბერიშვილმა გამოაქვეყნა ლექსი „თავად დარიანს“ („ბახტრიონი“, 1922 წ., № 24, 24 დეკემბერი), რომლის ადრესატია პაოლო იაშვილი და აქ კარგად ჩანს, რომ მათ დიდი ხანია არავითარი ურთიერთობა არა აქვთ. გარდა ამისა, ელენე ბაქრაძე-ბერიშვილის 1922 წლით დათარიღებული „ჩასარბენი“ (იხ. „კალმასობა“, 1997 წ.; № 13) და 1923 წლით დათარიღებული „ხატაური“ (იხ. „კალმასობა“, 1998 წ.; № 7) მიგვანიშნებს, რომ ამ ლექსების ავტორს ტრფობის ხელთათმანები სხვებისათვის გადაუგდია, ამიტომ ქ-ნი ელენესა და პაოლო იაშვილის „სიყვარულის ეტაპებზე“ მსჯელობა აბსურდულად მიგვაჩნია.

ქ-ნი თამილა თვლის, რომ „პიპოთება № 3 მხოლოდ პიპოთებაა და იგი მიზნად არ ისახავს ვისიმე „გაშავებას“ ან „გათეთრებას“. წინ კიდევ ბევრი სამუშაოა ტექსტებით, ან შევერება-კვლევისა და სინათლეც გვირაბის ბოლოს გამოჩნდება“.

ცხადია, მეცნიერს ვერავინ აუკრძალავს ამ საკითხზე შე-
78

მდგომ მუშაობას, მაგრამ ამთავითვე გვინდა ვთქვათ: ტექსტების შეჯერება ვერავითარ შედეგს ბ-ნი ჯავახიშვილისა და მის მხარდა-მჭერთა ჰიპოთეზის სასარგებლოდ ვერ მოიტანს და თუ ბ-ნი ჯავახიშვილი დარიანულ ლექსებთან დაკავშირებით აზრს არ შე-იცვლის, ჩვენ ვუნინასწარმეტყველებთ, რომ ის სიცოცხლის დარჩე-ნილ ნლებს ამ გვირაბში გაატარებს.

„...ბევრმა ცნობილმა სპეციალისტმა და მკვლევარმა მადლობა მითხრა: „ძლიერ არ მოვისვენეთ... როგორ შეიძლებოდა ისეთ უნიკალურ ვაჟუაცს, როგორც პაოლო იაშვილი იყო, ასეთი ჭეშმარიტად ქალური განცდანი და წარმოსახვანი ჰქონდათ“, – აცხადებს ბ-ნი ჯავახიშვილი („კალმასობა“, 1998 წ. № 7).

ამ „ცნობილ სპეციალისტთა და მკვლევართა“ რიგში უნდა ვი-გულისხმოთ რადიოგადაცემის „ლიტერატურული პორტრეტები“-ს ავტორი, რომელმაც 1997 წლის ოქტომბერში მსმენელს პაოლო ია-შვილის შესახებ მოუთხრო:

„ბატონი ჯავახიშვილის წერილმა „ცისფერყანწელთა ცისფერი დედოფალი“, როგორც იქნა უპასუხა იმ გამოუთქმელ კი-თხვას, ასერიგად რომ ღრღნიდა პაოლოს ლექსების ყო-ველ ჩაკვირვებულ მკითხველს: „ცისფერყანწელთა ცი-სფერი დედოფალი“ ელენე ბაქრაძე გახლავთ, ელლი – ადრესატი პაოლოს ცნობილი სონეტისა, ხოლო თავისი ლექსების ავტორობას ელენე დარიანის ფსევდონიმით ამოფარებული“.

1997 წლის აგვისტოს შუა რიცხვებამდე ანუ ბ-ნი ჯავახიშვი-ლის პუბლიკაციამდე, ცხადია, ჩვენ არაფერი ვიცოდით პაოლო ია-შვილის ლექსების იმ „ჩაკვირვებული მკითხველის“ შესახებ, რომე-ლსაც თურმე „გამოუთქმელი კითხვა ღრღნიდა“, მაგრამ ჩვენ ვი-ცით, რომ პაოლო იაშვილს თვლიან დარიანული ლექსების ავტო-რად: მირიან აბულაძე, ლალი ავალიანი, გურამ ასათიანი, ვასილ ბაიაძე, გურამ ბენავილი, გიორგი მერკვილაძე, გიორგი მარგვალიძე, ზარგვალაშვილი, ზაურ მაძვალისა, ანდრო მირი-ანაშვილი, გივი მიქაელი, რევაზ მიშვალიძე, ავთანდილ ნიკოლეგვაძე, გიორგი მარგვალიძე, გალიანა ცურიკოვა, ციური ხეთერელი, გრიგოლ ხერხეულიძე, კახა ჯამბურია, ნიკოლოზ ჯავაში.

გარდა ამისა, „ელენე დარიანის ციკლის“ ლექსების ავტორად

პარლო იაშვილს თვლიან:

1. „ქართული ლიტერატურული უურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ (გამ.; „მეცნიერება“, თბ.; 1980 წ.), შემდგენლები: ნოდარ გურგენიძე, ილია გორგაძე.
2. „სიყვარულის წიგნის“ (1981წ.; 1984 წ.) შემდგენლები, პოეტები: გივი გეგეთპორი, ეგზარ კვიტაშვილი, ტარიელ ჭარხლია.
3. წიგნი – „ლიტერატურისმცოდნების ცნებები“ – ლიტერატურული მისტიფიკაციის მაგალითად მოყვანილია „პ.იაშვილის მიერ „ელენე დარიანის დღიურების“ (1915-1924) გამოქვეყნება“. ავტორები: ანდრო ჭილაძე, რამაზ ჭილაძე; რედაქტორი: აკაკი ურუბაძე, რეცენზენტები: სოლომონ ხუციშვილი, თანახმად პიკაჩევიშვილი (თსუ, 1984 წ.).
4. „ლიტერატურის თეორიის მცირე ლექსიკონის“ („ნაკადული“, 1972 წ.) შემდგენლები: ნოდარ ალანია, პავლე ღობორჯიშვილი, მამია დუდუჩავა, ვაჟრე ვარია, ნოდარ ჭოლოვავა – განმარტავენ რა ტერმინს „მისტიფიკაცია“, 103-ე გვერდზე წერენ: „პ. იაშვილი კი თავის ლექსებს აქვეყნებდა, როგორც ელენე დარიანის ნაწარმოებებს“.
5. 1978 წელს სერიით „ქართული საბჭოთა პოეზიის ბიბლიოთეკა“ გამოიცა პაოლო იაშვილის ლექსები, სადაც შესულია პოეტის თორმეტი დარიანული ლექსი. წიგნი შეადგინა მუსერან მა-ჭავარისამდე.
6. ელენე დარიანს პაოლო იაშვილის ფსევდონიმად მიიჩნევს კраткая Литературная Энциклопедия. (т.8, Сов.Энц.; М.; 1975 г.; стр. 1131).
- მაშასადამე, მეცნიერები, რედაქტორ-გამომცემლები „დარიანული ციკლის“ ლექსების ავტორად თვლიან პარლო იაშვილს.
- აქვე გვინდა ვთქვათ, რომ გარდა ლიტერატურულისა, არსებობს ოჯახის ტრადიცია და აქ ჩამოთვლილ მოლვანებს, მათ, ვინც პაოლო იაშვილის თანამედროვე არ გახლავთ, საკუთარი ოჯახებიდან ეცოდინებოდათ, დარიანული ლექსების ავტორი რომ პარლოა. „ლიტერატურული პორტრეტების“ ავტორიც,

თავისი მშობლებისაგან, ცნობილი ლიტერატორებისაგან, რომლებიც პოეტის თანამედროვენი იყვნენ, უსათუოდ შეიტყობდა ამას.

რადიოგადაცემის ავტორმა წაიკითხა ერთი სტროფი პარლო იაშვილის დარიანული ლექსისა „ზამთარში“:

„ჩემი ოთახი ცისფერია, წაზი ფერია,

ცისფრად მორთული დაგიხვდები, გააღე კარი,

ლოდინის წუთი დღეს ისეთი მშვენიერია –

ვით პირველ ღამეს, პირველ ღამეს ჭაბუკი ქმარი.“

შემდეგ მისი მსჯელობა ასე გაგრძელდა: „თუ ამ ლოდინით დაღლილი და ვნებადაუმცხრალი ქალის მონოლოგს, ისევე როგორც დანარჩენ ცამეტ, ასეთივე განცდით დამუხტულ მის ლექსს, მაინცადამაინც მამაკაცის გვარი გინდათ მიაწეროთ, ვისმეს უსათუოდ აფიქრებინებთ, რომ იმ პოეტურ მიზანს ცენაში მხოლოდ კედლები და სამოსი არაა ცისფერი. პაოლო კი ამ დროს მამაკაცური სრულყოფის ნიმუშია: ჯიშით, ხასიათით, გარევნობით. კარგი, ვთქვათ, ერთხელ წაითამაშა ეს გარდასახვა, ეს ტავესტიზმი მოეწონა: „დაიტანჯვა მაჯა მარჯნის მძიმე ჯაჭვის ტარებით...“ მერე?“.

ამ მონოლოგის ავტორი რისი ლირიკაა, საკუთარ თავს არ ვაკადრებთ, საქვეყნოდ განვაცხადოთ.

დარიანული ლექსების შესახებ ერთი კრიტიკოსი წერდა: „ეს სრული გაუგებრობისა და გერმაფრონდიტიზმის ნიმუშიაო“, მეორე – გაბოლშევიკებული, ყოფილი მენშევიკი „ფალ-ლუსის კულტის ლიტერატურას“ უწოდებდა, ხოლო უურნალი „ეშმაკის მათრახი“ ლექსის – „უკანასკნელი მოვიხსენი ტანსაფარავი“-ს ავტორს – „ხურუშიანს“, ცისფერყანწელებს კი – „ცისფეროსნებს“ (მოგვიტევოს მკითხველმა ამ გამოთქმებისათვის. ზ.ლ.).

თაგუა, აიცოკ, ევაზაკი, ვიალიცონცი, შეძანეალებული, პუტუა, ხუნაგი, ტყვია, ვინი, ალგურიონი, პედა, დაფინი და ქლოია, შალი, საროსტანი – ამ ფსევდონიმებს ამოფარებული ქართველი მნერლები – პაროდიებით ესხმიან თავს ეროტიკული ლექსების ავტორს – პაოლო იაშვილს და „ერთ ტიტველთაგანს“, „ყაზირალს“, „სქესობრივი ჟინისა და ქვენა გრძნობის ხელოვანს“ უწოდებენ მას, მაგრამ... მა-

გრამ ეს საუკუნის დასაწყისში ხდება და ჩვენ ნამდვილად ვერ ნარმოვიდგენდით, მეცნიერულ-კრიტიკული აზროვნება დღეს ასე შორს თუ წავიდოდა. ამიტომ მრატორს, რომელსაც, აგრეთვე, ხარისხები და წოდებები არ აკლია, ვთხოვთ, თვალი გადა-ავლოს, როგორც თავად უნოდებს, „თელაველი კოლეგის“, პროფე-სორ გიორგი ჯავახიშვილის მხოლოდ ერთ პუბლიკაციას გაზითში „ლიტერატურული საქართველო“ (1997 წ.; № 35, 28 აგვისტო – 5 სექტემბერი), რამდენჯერაა იქ სიტყვა „ცისფერი“ ნახსენები და ძა-ლიან რომ არ გაისარჯოს, ჩვენ დავვეხმარებით: „ცისფერი პოზია“, „ცისფერი გზა“, „ცისფერი ალერსი“, „ცისფერმანდილშემოსვეული“, „ცისფერი დედოფალი“, „ცისფერკაბიანი ქალიშვილი“, „ცისფერპე-რანგიანი ყმაწვილი“, „ცისფერყვავილებდაბნეული“, „ცისფერი ედე-ბოდა ქუთაისის ქუჩებს“, „ცისფერთეატრალიზებული დღესასწა-ული“, „ცისფერის პარლოგეტის ჭატო ბარათაშვილის ნაკლდა-მარი“ და იქაც დამახსოვრებული, წერილების სათაური: „ცისფე-რყანწელთა ცისფერი დედოფალი“.

ნუთუ „პირუთვნელი მემატიანე“ რადიოგადაცემის ავტორის კრიტიკიუმით იმსჯელებს ბ-ნი ჯავახიშვილის პუბლიკაციების შესახებ?

„ჩვენი სახლი ქუთაისში, რომელიც კაზაკოვის ქუჩაზე მდება-რებდა, გაფორმებული იყო მხატვარ ჩუდეცკის მიერ. ამ სახლში პაოლოს განსაკუთრებით უყვარდა ცისფერი ოთახი“, – იგონებს პოეტის ძმა.

პაოლო იაშვილის ძმის, ივანე (ტუპია) იაშვილის ეს მოგონება ჩაიწერა ქალბატონმა ციური ხეთერელმა და მისი მსჯელობა ასე გრძელდება:

„ვინ იცის, იქნებ ამ ოთახში, 1915 წლის ზამთრისპირის გრძელ დამეში, ან იქნებ ერთ მოწყენილ სალამოს დაიბადა ეს უნატიფესი სტრიქონები ელენე დარიანის დღიურში: „ჩემი ოთახი ცისფერია, ნაზი ფერია, ცისფრად მორთული დაგიხვდები, გაალე კარი“... ამ ოთახის სევდიანი განწყობილება ისევ იჭრება 1916 წლით დათარი-ლებულ ლექსში: „ხშირია სიჩუმე იოთახის სტუმარი“. პოეტის ფანტა-ზია კვლავ ეალერსება ზამთრის დღეებით დამყუდროებულ ბუხრის წითელი ალით განათებულ ცისფერ იოთახს“ (ც. ხეთერელი „პო-ეტები მზის ახლოს“, „საბჭ. საქ.“; 1986 წ.; გვ. 35-36).

აქვე გვინდა ვთქვათ, რომ პირველნაბეჭდში (გაზ. „მეგობარი“, 1915 წ., № 62, 13 დეკემბერი) ლექსის – „ზამთარში“ – მეორე სტრიქონი ასე იკითხება:

„ცისფრად მორთული დამისვლები, გააღე კარი“... – ეს ერთი სტრიქონიც კი საკმარისია იმის საბუთად, რომ ლექსის ავტორი – მამაკაცია, მაგრამ... მაგრამ ქართული ლიტერატურის ისტორიაში დამკვიდრებულ, ტრადიციულ აზრს, რომ „დარიანული ციკლის“ ლექსების ავტორი პარლო იაშვილია, არ იზიარებს სამი, ხარისხისა და ცოდების მარცე მცნობი.

სამი პაცი კი საქართველოში უკვე პარტია და ოუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბ-ნ ჯავახიშვილის პუბლიკაციები 1997 წლიდან სისტემატურად იბეჭდებოდა გაზეთში „კალმასობა“, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ პარტიას დიდი პოლიტიკური უძრერს მხარს.

ამ სამეულისა და მათ მხარდამჭერთა გასავონად გვინდა ვთქვათ:

დღეს მხოლოდ სპეციალისტებმა იციან ვოლტერის, მოლი-ერის, სტენდალის, რესპარ უაილდის, გიიომ აკოლინერის, კოუტ ჰამსუნის, ანა ახმათოვას, ადლერი ბელის ნამდვილი გვარები. ისინი ფსევდონიმებით არიან ცნობილი.

ხშირად, საკუთარი ვინაობის შესანიშბად ჩატატონები მამაკაცის გვარ-სახელებს ეფარებოდნენ. აյ ზორა საცდის დასახელებაც იქმარებდა, მაგრამ მკითხველმა გვინდა იცოდეს, რომ ამის მაგალითი უამრავია:

ეკატერინე მეორის ფსევდონიმებია: პატრიკეი პრავდომისლოვი, პეტრე უგადავი, რიზი ფრონტა; იან სავა იყო პოლონელი მწერალი ქალის, მარია კონოპიცკაიას ფსევდონიმი, ნა-დევდა ანდრეის ასულ დუროვასი – ალექსანდროვი, ვერა გეიმანისა – გრაზი ვალერიან ვეგა, ლიდია გაუსმანის – შიულ რდონი, ვერა ინბერის – მოსუცი ჯონი, ოლგა კოვალენსკაიასი – მაკს ლი, ვერა ბრუნსის – ჰეპ ვინი, სერგეი გოროდეცკის და, ტატიანა მიტროფანეს ასული, თავის ნანერებს ასეთ ხელმოწერას უკეთებდა – ახმეტ, ერეკლე მეორის შვილთაშვილის, ოლგა ილიას ასულ გრუზინსკაიას ფსევდონიმი იყო გულბათ, გულნარა ბა-ხტაძე იბეჭდებოდა გულდა ეკლდანის ფსევდონიმით, გიორგი

ჩიქობავას ხელმოწერით გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი იზა
ორვეონიკიძემ.

ასევე პევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როცა მამაკაცი
ავტორები ქალის სახელით აქვეყნებდნენ თავის ნაწარმოქებებს.

ოლიგოიადა სერდცეპრალვა, აგაფია სტანოსტრო-
ვა, აგაფია ცირციანა, აკილინა ტრევჩიოტკინა და კი-
დევ უამრავი ქალის სახელიანი ფსევდონიმი ჰქონდა ალექსა-
ნდრე ვასილის ძე ხრაპოვიცის. ვასილი უუკოვსკის ფსევდონიმი
იყო სვეტლანა, მინაი გუბელმანის – მარიანა, ვლადიმერ
ობრუჩევის – ადა, ალექსანდრე აბლესიმოვის – აზა, ნიკოლოზ
აფანასიევის – საურ, ანა სიტროვას ფსევდონიმით წერდა ალე-
ქსანდრე მიხეილის ძე კრასნიცკი, რაისკაია იყო ალექსანდრე ვა-
ლენტინის ძე ამფითეატროვი, თამარ მალეციაია – იოსებ ბლო-
ტერმანცი, ემილია ზორლა – ვლადიმერ გილიაროვსკი; საჩხერის
სასამართლოს უფროსის, მატვეი ანდრიას ძე ახუმოვის ვაჟი, იური-
სტი და უურნალისტი – ნიკოლოზი (დაიბადა ქუთაისში, 1877 წელს.
ზ.ლ.) თავის ნაწერებს თამარას ფსევდონიმით აქვეყნებდა. ანა-
გრამებით იძეჭდებოდნენ: ევგენი მიხეილის ძე ადამოვი – ემა,
ილია ერინბურგი – ირენ და ა.შ.

ახლა, ქართულ ლიტერატურაში რა ხდება!

ქალის სახელი ჰქონდათ ფსევდონიმად:

გრიგოლ მიხეილის ძე ნულუკიძეს – ნატო, ტასო

დავით კონსტანტინეს ძე ჩარკვიანს – მაგდა

სილიბისტრო თავართქილაძეს – ლია

ნიკოლოზ ნათიძეს – მელანია

არჩილ ჯავახაშვილს – ქათიძე

იოსებ ჯულაშვილს – კატო

კირილე მოსეშვილს – ლუპა

სილიბისტრო ჯიბლაძეს – სილვა

შალვა დიმიტრის ძე გომართელს – უშუალესი

კონსტანტინე იოსების ძე ჯაფარიძეს – ელი

სეგმან ბატკუაშვილს – მაყვალა, ზაირა, სიუზანა

პოლიო აბრამიას – გაიდე;

ქართევან რუთიაშვილი იყო გიორგი სკანდაროვას ფსევდო-
ნიმი;

ხორებან გვერდითელი – ილია წინამძღვრიშვილისა,
მარო ნაზიანი – ვიქტორ გაბისკირიასი, ნატაშა პასრაძე –
დავით კასრაძისა, თამარ ჩჩარეული – კონსტანტინე ლორთქი-
ფანიძისა.

ანაგრამებით იძეჭდებოდნენ:

ლადო დარჩიაშვილი – დალი, მის დარცემის სა ცემდებად
გიორგი ლასხიშვილი – ლალი, იმსებ ზაქარიას დე ანდრონიკაშვილი – იზა,

აფრასიონ ექვთიმეს დე ზარნაძე – აზა,

კორნელი კეკელიძე – ნელი,

კორნელი კასრაძე – ნელიკო,

ნიკო მარი – იმ.

მისტიციკაციის შესახებ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია
ასეთ განმარტებას იძლევა: „(ბერძნ. mystes – საიდუმლოებას ნაზი-
არები, და ლათ. fasio – ვაკეთებ), სხვადასხვა მიზნით ვისიმე წინა-
სწარგანზრახული შეცდენა; მოტყუება“ (ქსე, ტ.7, თბ.; 1984 წ.; გვ.
17).

„მისტიციკაცია ლიტერატურული, ლიტერატურული სი-
ყალბე, რის მიზანიცაა მკითხველებისა და სპეციალისტების შე-
ცდენა, პლაგიატისაგან განსხვავებით, საკუთარი ნანარმოების სხვა
ავტორისათვის მიწერას გულისხმობს (ეს სხვა ავტორი შეიძლება
გამოგონილი, არარსებული ან გარდაცვლილი იყოს)“ (ქსე, იქვე).

ჯეიმს მაკფერსონმა (1736-1796) საკუთარი რომანტიკული
პოემები თავის თარგმანად გამოაცხადა, ხოლო მათ ავტორად
მე-3 საუკუნის კელტი ბარდი მსიანი.

მისტიციკაცია გახლდათ პრზენა პრუტკოვი.

„Мы, я и Алексей Константинович Толстой жили вместе и
каждый день сочиняли по какой-нибудь глупости в стихах, потом
решили собрать и издать эти глупости, приписав их нашему каме-
рдинеру Кузьме Пруткову“, – წერდა ივანე ბუნინს ალექსეი უე-
მჩუუნიკოვი.

მისტიციკაცია: ივანე პეტრეს დე ბელკინის მოთხოვები,
თეოფილაქტე კოსიჩკინის კრიტიკული წერილები, პინდემონტეს თა-
რგმანი, იური ჟივაგოს ლექსები და ა.შ.

1861 წელს ილია ჭავჭავაძე პეტერბურგიდან წერს ილია წინა-

მძღვრიშვილს: „.... აი ამ სტატიასა გიგზავნი, ჩემი საკუთარია, თუმც სხვა გვარი აწერია; მე არ მინდა გამოვაჩინო, რომ ეს ჩემი დაწერილია მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა. შენც ძალიან შეგეხვეწები, რომ არ გამოაშვარაო არავისთან, ხელალებით არავისთან; იმისთვისაც არ მინდა, რომ შენ მიუტანო კერესელიძეს ეს სტატია, რადგანაც ის მიხვდება, რომ შენ ჩემის მეტი არავინ გიგზავნის სტატიებსა. ისე უნდა მოიქცე, რომ თითონ რედაკტორს და ცენზორსაც არ შეატყობინო; კანონით იმათ უთუოდ უნდა იცოდნენ, მაგრამ შენ, როგორც იყოს, სხვის მხრით დააჯერე ისინი, რო მართლა და აზნაური ზუმბერიძე მართალი გვარია და არა მოგონილი (დაყოფა ჩვენია. ზ.ლ. ის. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, პავლე ინგოროვას რედაქციით, ტ. X, თბ.; სახ. გამ.; 1961 წ.; გვ. 23).

ვალერი ბრიუსოვმა 1894-1895 წლებში კრებულში „Русские символисты“ გამოაქვეყნა ლექსები საკუთარი გვარითაც და ორი ფსევდონიმით: 3. დარმვი, ზ. ფუპსი. პოეტმა ფსევდონიმით ხელმოწერილი ლექსები განსხვავებული, მისთვის უჩვეულო სტილით დაწერა, თან თავგამოდებით ამტკიცებდა ამ პიროვნებათა რეალურობას, რითაც კიდევ უფრო ხაზს უსვამდა მისტიურიკაციას.

1993 წელს, 10 სექტემბერს გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ (№ 37) დაიბეჭდა: „ანდერძი“ ფრანსუა ვიიონის მიბაძვით დაწერილი“. მისი ავტორი, არ. თევდორაძე გაზეთის რედაქტორს წერდა: „.... ჩემი სახელი და გვარი თქვენთვის და თქვენი გაზეთის მეითხველისათვის უცნობია, მაგრამ იმედი მაქვს თქვენი გულსხმიერებისა. დარწმუნებული ვარ, ჩემს პოეტურ ცდას უყურადლებოდ არ დასტივებთ...“

თბილისში დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა: ყველას აინტერესებდა, ვინ იყო „ანდერძის“ ავტორი. აუკიოტაჟს ხელს ისიც უწყობდა, რომ იმავე გაზეთში, 17 სექტემბერს გამოქვეყნდა ჯანსულ ჩარკვიანის წერილი, სადაც იგი წერდა: „.... წავიკითხე ჩემთვის სრულიად უცნობი პოეტის არ. თევდორაძის „ანდერძი“...“

ორი თვის შემდეგ მწერალმა არჩილ სულაკაურმა განაცხადა: „რასაც მე ახლა ვამხელ, ის უკვე თითქმის მთელმა თბილისმა იცის. თქვენს გაზეთში დაიბეჭდა პოემა „ანდერძი“, რომელსაც

ხელს აწერდა ვინმე არ.თევდორაძე. დღეს ოფიციალურად ვაცხა-
დებ, რომ „ანდერძის“ ავტორი მე ვარ – არჩილ სულაკაური. თე-
ვდორაძე დედაჩემის ქალიშვილობის გვარია...“ („ლიტერატურული
საქართველო“, 1993 წ.; № 48, 26 ნოემბერი).

„არ. თევდორაძე“ არჩილ სულაკაურის ფსევდონიმია, მა-
გრამ მაშინ ეს მისტიფიკაცია გახლდათ.

1877 წელს უურნალში „Русский архив“ პავლე პეტრეს ძე ვი-
აზემსკიმ დაბეჭდა წერილი „Лермонтов и г-жа Оммер де Гель“;
აქვე გამოაქვეყნა ომერ დე გელის ოთხი წერილი მიხეილ ლერმო-
ნტოვისადმი. ვიაზემსკის პუბლიკაციას გამოეხმაურა ლერმონტო-
ვის ნათესავი – ემილია შან-გირეი, რომელიც თვლიდა, რომ ომერ
დე გელის წერილებში ნახსენები ქალბატონის, რეპროვას ბიოგრა-
ფიის ფაქტები დამახინჯებულია. ემილია შან-გირეი არაფერს წე-
რდა იმის შესახებ, იცნობდა თუ არა ლერმონტოვი ომერ დე გელს.

ადელ ერიო ომერ დე გელი (1817-1871) ფრანგულ მწერლობაში
ცნობილი იყო თავისი ლექსებით. გარდა ამისა, იგი თავის მეუღლე-
სთან, ქსავით ამერ დე გელთან (1812-1848), პროფესიით გეოლოგთან
ერთად გასული საუკუნის 30-40-იან წლებში ხანგრძლივად მოგზა-
ურობდა რუსეთში. საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ მან ამ მო-
გზაურობის შესახებ გამოაქვეყნა წიგნი, სადაც ლერმონტოვი ნა-
ხსენები არ იყო. მკვლევარებმა ამ ფაქტს ყურადღება არ მიაქციეს.
მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1934 წელს მიაკვლიეს პ.პ.ვი-
აზემსკის არქივს: აღმოჩნდა, რომ იგი წერდა სათავეადასავლო რო-
მანს, რომლის მთავრი გმირი იყო ადელ ომერ დე გელი. ვიაზე-
მსკიმ საზოგადოების ყურადღების მისაქცევად და მისი რეაქციის
შესამოწმებლად იხუმრა, რითაც შეცდომაში შეიყვანა არა მხო-
ლოდ მეცნიერები, არამედ ლერმონტოვის ახლობელი ნათესავები.
დღეისათვის ითვლება, რომ ადელ ომერ დე გელი პ.პ.ვიაზე-
მსკის ფსევდონიმია, მაშინ კი ეს მისტიფიკაცია იყო.

მსოფლიო ლიტერატურაში ცნობილია, რომ პ.პ.ვიაზე-
მსკი ქალები იყვნენ:

კლოტილდა დე სეურვილი,
მაღმუაზელ მალკრე დე ვინი,

კლარა გასული,

პილიტისი,

ლუზა ლალანი,

ხელი.

მათი შედევრების ავტორები არიან მამაკაცები:

ზოგეფ ეტიენ დე საურვილი,

დაფორქ მაიარი,

პორსაერ მერიე,

პიერ ლუისი,

გიორგ აკოლინერი,

ვალერი ბრიუსოვი.

მარკიზმა ჟოზეფ ეტიენ დე საურვილმა, სიკვდილის წინ, ცოლს ციხიდან გამოუგზავნა წერილი, რომლითაც ატყვაბინებდა: მისი სიკვდილის შემდგომ გამოექვეყნებინა ლექსები მე-15 საუკუნის ფრანგი ქალის – მარგარიტა ელეონორა დიუ ვალონ-შალის ანუ მადამ დე საურვილის. 1803 წელს გამოქვეყნდა კლოტილდა დე საურვილის ლექსების წიგნი ბიოგრაფიითურთ. მოგვიანებით მეცნიერებმა შენიშნეს, რომ ამ ლექსებში ანაქრონიზმები იყო. მაგალითად, აქ ნახსენები სატურნის თანამგზავრები მე-15 საუკუნის შემდგომ, ბევრად უფრო გვიან, იქნა აღმოჩენილი.

გადმუშაზელ ვალკრე დე ვინის „ლექსების კრებულმა“ შეცდომაში შეიყვანა თვით ვოლტერი, რომელმაც „პოეტესას“ ლექსები უძლვნა.

1825 წელს გამოიცა პიესების კრებული „კლარა გასულის თეატრი“. გამოცემას თან ერთოვდა ესპანელი აქტიორი ქალის ბიოგრაფია და პორტრეტი. კლარა გასულს კისერზე მარგალიტები-ანი მძივი ეკიდა ჯვრით. მხატვარს პოზიორობდა პროსპერ მერიმე.

პიერ ლუისმა მოღვაწეობა დაიწყო, როგორც მაღარმეს ჯგუფის სიმბოლისტმა პოეტმა. მან „სიმღერების კრებული“ – რიტმული პროზა, არარსებული ბერძენი კურტიზანი ქალის ბილიტისის თარგმანად გამოაცხადა (ცნობა მოგვაწოდა მაია ბიბილეიშვილმა. ზ.ლ.).

1909 წელს გიორგ აპოლინერმა არარსებული პოეტი ქა-
88

ლის ლუიზა ლალანის სახელით გამოაქვეყნა ლექსები და წერილები.

აქვე გვინდა ვთქვათ, რომ პაოლო იაშვილი მოთხოვაში „ფერადი ბუშტები“ წერს: „ერთ ღამეს მე, ილია ერენბურგი და გიორგი თოლინერი ვენვიეთ მათხოვებრების ბანაკს ალექსანდრე მესამის ხიდის ქვეშ... ათი მათხოვარი მე, ა პოლინერმა და ერენბურგმა წამოვიყვანეთ კაფე „ალა როტონდაში“ სავახშმოდ. „როტონდა“ ჩვენი მეგობრებით იყო სავსე...“

1913 წელს მოსკოვში გამოქვეყნდა „Книга „Стихи Нелли“. С посвящением Валерия Брюсова“. „Стихи Нелли“-ს ავტორი კარგა ხანს უცნობი იყო. შემდეგ გაირკვა, რომ ნელი არარსებული პოეტი ქალი გახლდათ, ხოლო ლექსები ვალერი ბრიუსოვს ეკუთვნოდა.

1929 წელს გამოცემულ „Литературная Энциклопедия“-ში ვკითხულობთ: „Муза Брюсова попеременно является то в суро-вом, мужественном образе героя, бойца, труженика, завоевателя, то в изнеженном, утонченном облике женоподобного юноши, с отпечатком всех пороков и извращений на „бескровном“ лице, или в соблазнительном обличье извращенной куртизанки, „венце-носной гетеры“ с „проституированным телом и эгоистической душой“, устами которой Брюсов так любит говорить в своих стихах и рассказах, от имени которой написана им целая книга „стихи Нелли“ (т.1, гл. 600).

ჩვენ არ გვეგონა ხარისხებისა და ნოდებების მქონე მეცნიერთათვის ამის შესხენება თუ მოგვინევდა.

1964 წელს უურნალში „მნათობი“ (№ 7) გურამ ასათიანი წერდა: „პაოლო იაშვილის ორიგინალური პოეტური ტალანტი თავისებურად გამოვლინდა დარიანული ლექსების ციკლში, რომელიც ლირიკული გარდა სახვის, შეიძლება ითქვას, იშვიათ მაგალითს წარმოადგენს ახალი დროის ქართულ პოეზიაში. პაოლო იაშვილმა შექმნა შესანიშნავი პოეტური მისტიურიკაცია, მომხიბლავი ლეგენდა ახალგაზრდა მეოცნებე ქართველ ქალზე. ნატიფი სახეებით გადმოსცა მისი ინტიმური სამყარო, მისი სულის ფარული თრთოლვა, მისი ვნებები, მისი სევდა და ოცნებები. მართალია, ამ ციკლის ზოგიერთ ლექსს ატყვია მოდერნისტული განწყობილებების,

თავისებური სტილიზაციის დაღი, მაგრამ უმრავლესობა ამ ლირიკული შედევრებისა დღემდე გვხიბლავს განცდის სიცხოველით და ბრწყინვალე პოეტური არტისტიზმით”.

ბ-6. ჯავახიშვილს, როგორც შევატყვეთ, წესად არა აქვს „უპასუხოს ოპონენტებს. გაზეთში „კალმასობა“ (1997 წ. № 13) გამოქვეყნდა „მხოლოდ რეპლიკის“ რეპლიკა“, სადაც „ხარისხებით, წოდებებით და წიგნებით“ თავმომწონე მკვლევარი ოპონენტს „გალმაშეედავა“:

„ცისფერყანწელთა თაობა, ჩანს, ის ნაკრძალია, რომელშიც შეღწევა, მის გარდა, სხვას აღარ შეუძლია“...

ბ-6 ჯავახიშვილს გვინდა მოვახსენოთ, რომ არა მხოლოდ „ცისფერყანწელთა თაობა“ (!), არამედ ლიტერატურა ის ნაკრძალია, სადაც შეიძლება მკვლევარი როგორც შევიდეს, ისევ უკან გამოვიდეს, სხვათა შორის ხარისხებისა და წოდებების მქონეც, თუკი ის ეპიგრაფს ეპიგრამისაგან ვერ არჩევს, პაროდიას – ლექსისაგან და თარგმანს – ორიგინალისაგან, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ.

„ელენე ბაქრაძის დარიანობით სენსაციის მოხდენა ათიოდე წლის წინათაც შემეძლო, მაგრამ მაშინ ამაზე რაიმეს თქმა ნაადრევი იყო და დამატებით შესწავლაც საჭიროდ მივიჩნიო“, – აცხადებს პატივცემული პროფესორი („კალმასობა“, 1997 წ. № 13).

ბ-6ი ჯავახიშვილის პირველი წერილი 1997 წლის აგვისტოში გამოქვეყნდა, აქედან გამომდინარე კი, უნდა ვივარაუდოთ, რომ ელენე ბაქრაძე-ქართველიშვილის არქივი მას 1987 წელს ხელთ ჰქონია და გასაოცარია, რატომ გაისარვება „დამატებითი შესწავლისათვის“, როცა ამ დროს ცოცხლები და ჯანმრთელი არიან: კოლაუნადორად, ნინო თარიშვილი, ირაკლი აბაშიძე, ტელეფონითაც კი შეიძლებოდა ამ მეტად მარტივი საკითხის გადაწყვეტა. ასეთი შეკითხვა გაუჩნდა იმთავითვე ქალბატონ ლალი ავალიანს, მაგრამ საპასუხოდ ლრმად პატივცემული პროფესორის რისხვა დაიმსახურა: „მხოლოდ ცოცხალი მოწმეა სანდო? მათი წერილები სანდონი და საჭირონი როდის აქეთ აღარ არიან? (იგულისხმება გარდაცვლილები. ზ.ლ.) მაშ რაღაც ვინახავთ და ველოლიავებით მუზეუმებსა და ხელნაწერთა საცავებში?“

მაშასადამე, ბ-6ი ჯავახიშვილი თვლის, რომ პაოლო იაშვილს, საკუთარი ლექსების პატორობის დასამტკიცებლად, მოვივე-90

ეპი სტილურება. კი, პატონო! ამ მოხვევების ჩვენებებსაც ნარმოვადგენი, მკითხველს კი განვუმარტავთ: ამ მოხვეებიდან – ზოგი პოტის მტერია, ზოგი – მეგობარი, კოლეგა, ნაცნობი, ხოლო ყველა ერთად – პარლო იაშვილის თანამედროვე:

1. ფილიპე მახარაძე: „პაოლო იაშვილის „ქადაგება“, როგორც ჩანს, ჯერჯერობით ყველაზე უფრო შეუთავსებით: გრ.რობაქიძეს, ელენე დარიანს (დაყოფა ყველგან ჩვენია. ზ.ლ.) და ი. გრიშაშვილს. რაიმე მიმართულებაზე და ახალ სიტყვაზე ლაპარაკი აქ ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ გვეუბნებიან: ეს გახლავთ მოდერნიზმი და ფუტურიზმით. თქვენ შეგიძლიათ რანირი „იზმი“ გინდათ ის დაარქვით ამ სიღუბჭირე და გარყვნილებას, მხოლოდ ერთი გარემოება კი აშკარა ხდება ყველასათვის. სახელდობრ აირა: ეს ვაჟბატონები გზას გადამცდარან განსაკუთრებით სქესობრივი ანომალიის თუ დეცექტის ნიადაგზე... არ შეგვიძლია არ შევჩერდეთ აქ კიდევ პ. ტიტე ტაბიძის ნერილზე, რომელსაც სათაურათ აქვს „ცისფერი ყანწები“ და რომელშიაც ბოდვა და სინამდვილე დომხალივით არის ერთი-ერთმანეთში არეული. ამ ვაჟბატონს მოუნადინებია ქართველი ლოთი ბიჭების ფილოსოფიურ-კრიტიკულათ დახასიათება, მაგრამ იმდენათ აღრევია დავთარი, რომ შანშიაშვილის და გრიშაშვილის გვერდით, ერთი მხრით და გრ. რობაქიძის და ელენე დარიანის გვერდით, მეორე მხრით, იგი ათავსებს გალ. ტაბიძესაც. ვისაც გაგების უნარი სავსებით არ დაუკარგავს, მისთვის დღესავით აშკარა უნდა იყოს, რომ გალ. ტაბიძის საგრძნობლათ პესისმისტური მოტივებით გაულენთილ პოეზიას არაფერი საერთო არა აქვს ლოთი ძმა-ბიჭების ვაკხანალიასთან, ელენე დარიანის და გრ. რობაქიძის ტლანქ პორნოგრაფიასთან. მაგრამ აქ ერთი სამწუხარო გარემოებაა; გალ.ტაბიძის ორი ლექსი რაღაცა მანქანებით სწორეთ გრ.რობაქიძის და ელენე დარიანის ლექსებს შუაშია მოთავსებული... ჩვენ არ გვონია, რომ კარგათ გრძნობდეს თავის თავს გალ. ტაბიძე ელენე დარიანების და გრ. რობაქიძეების კომპანიაში... ამნაირათ გრიშაშვილ – იაშვილების და რობაქიძენის მოვლინება ქართულ ლიტერატურაში მჭიდროთ დაკავშირებულია რეაქციის გამარჯვებასთან...“ (ფ.მ-ძე „საბრალონი“, გაზ. „თანამე-აქციის გამარჯვებასთან...“)

2. ტიციან ტაბიძე: „Хочу книгу подготовить к лету. Туда войдут и Галактион, и Али, и Елена Дарьини (тициановы Бернини и залежи из гаражей в библиотеке Елены Дарьиной; март 1917 Берлин, № 6. Бюллетень Цурикова Г.М., „Тициан Табидзе“, „Советский писатель“, Лен., 1971 г.; стр.93).

3. „სანდრო ცირეკიძემ... მაინც იმდენი მოახერხა: რომ დაარსა გამომცემლობა „კირჩისიძი“, უურნალი „შვილდოსანი“, გამოსცა ახალი მწერლების ანტოლოგია, სტეფან მალარმე, ვალერიან გაფრინდაშვილის „დაისები“, კოლაუ ნადირაძის „ბალდახინი“, თავისი „მოვარეულები“, გამზადებული ჰქონია დასაბეჭდათ ელენე დარიანის ლექსების ნიგნი და ქართველი პოეტების ლექსიკონი“ (გაზ. „რუბიკონი“, 1923 წ.; № 12, 31 ივნისი).

ჩვენი კომენტარი: მეცნიერული მიამიტობა, რბილად რომ ვთქვათ, იქნებოდა ამ ორ ციტატაში გალაკტიონის, ალი არსენიშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, კოლაუ ნადირაძისა და სანდრო ცირეკიძის გვერდით მოხსენიებულ ელენე დარიანში ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი იგულისხმოს გუშინდელმა ან დღევანდელმა ხარისხების, წოდებებისა და ნიგნების მქონე ან არმქონე მკლევარმა.

4. შალვა აფხაზიძე: „გრიგოლ რობაქიძე და პაოლო იაშვილი მზის პოეტებია, მათში მზის ენერგიაა გადასული... გრიგოლ რობაქიძე და პაოლო იაშვილი იღებს მზეს როგორც კატიურს, ვაჟურს, მწველს...“ გაზ. „რუბიკონი“, 1923 წ.; № 8, 18 მარტი, გვ. 2).

ჩვენი წერილის მკითხველს ვთხოვდით, კიდევ ერთხელ, ყურადღებით ნაიკითხოს ელენე დარიანის შემდეგი ლექსები: „უკანასკნელი მოვისსენი ტანსაფარავი...“, „პირამიდებში“, „მე და კატა“.

5. გრიგოლ რობაქიძე: „Особое место занимает в среде названных поэтов Елена Даріани. Да будет позволено высказать тут одну догадку — она — несомненно женской поэтической лирик одного из зачинателей (мужчин) грузинского модернизма“

рнізма. Елена Даріані замечательна прежде всего тем, что она единственная из грузинских поэтов, которая заговорила настоящим женским (დაუყფა ავტორისაა. ზ.ლ.) словом, все остальные передавали и передают мужскія переживания мужскими словами“ (Григорий Робакидзе, “Грузинский модернизм”, უურნალი „ARS“, 1918 г.; № 1, Тиф.; стр. 49).

დაუკვირვებელი ნამკითხველიც კი უნდა მიხვდეს, რომ ელენე დარიანში მამაკაცი პოეტია ნაგულისხმევი! აკი წერს „ცისფერყანელთა“ ორდენის კარდინალი (პაოლო იაშვილის გამოთქმაა. ზ.ლ.) – გრიგოლ რობაქიძე: „თავს ნებას მივცემ ვივარაუდო: „ის (ელენე დარიანი. ზ.ლ.), უეჭველი ქალური პოეტური სახეა ქართული მოდერნიზმის ერთ-ერთი მესაფუძვლისა (მამაკაცისა).“

მაშასადამე, რადგან პაოლომ არ ინება, არც გრიგოლ რობაქიძე ცდილობს „გაშიფროს“ სახელდებით ელენე დარიანის ფსევდონიმი, თუმცა ქართული მოდერნიზმის ერთ-ერთ მესაფუძველებს პირდაპირი მითითება ეჭვს არ ტოვებს, რომ მან კარგად იცის, ვინცაა დარიანული ლექსების ავტორი, მაგრამ ახლა პროფესორ ჯავახიშვილს მოვუსმინოთ: „მშვენიერი ელლი ჩამოვიდა თავის სამშობლოში, თბილისში და შეხვდა ცისფერყანელებს. სიყვარულით შეხვდა მას ცისფერყანელთა მოძღვარი გრიგოლ რობაქიძე. სახელოვან მწერალს გაახსენდა მისი გაზეთ „მეგობრის“ და უურნალ „ცისფერი ყანების“ ფურცლებზე დაბეჭდილი ლექსები და უთხრა ელენეს, პრესაში ჩემი აზრი მე უკვე გამოვთქო... (იგულისხმება 1918 წელს თბილისში დაბეჭდილი უურნალი „ABS (ხელოვნება)“ (იხ. „კალმასობა“, 1998 წ.; № 2, გვ. 10).

ბატონებო! გრიგოლ რობაქიძის წერილის ჩვენს მიერ მოყვანილ ამონარიდში, გნებავთ, მთელ წერილში, განა საღმე წერია, ელენე დარიანი ქალიაო? აქ ხომ აშკარად პირიერითაა! ვიმეორებთ: გრიგოლ რობაქიძე სწორედ იმას წერს, რომ ელენე დარიანი პოეტურ-ქალური სახეა ქართული მოდერნიზმის ერთ-ერთი მამაკაცი მეთაურისაო. ნუთუ დიდი ტვინის ჭყლეტა უნდა ამის გაეგება?

ბატონი ჯავახიშვილის ციტატის ნამკითხველი, ალბათ, დარწმუნდება იმაშიც, რომ მას არასოდეს თვალით არ უნახავს უურნალი „ARS“!

6. ვალერიან გაფრიდეაშვილი: „სრულიად არ არის საჭირო, რომ პოეზია ამოინუროს პოეტების სახელებით, ეს სახელები, როგორც მითები, ძვირფასია, მაგრამ პოეტს შეუძლია შექმნას ახალი მითი (აშორდია, ორრუბაქიძე, ელენე დარიანი, ორპირი). ახალი მითის შექმნა უფრო ძნელია და მას მეტი ღირებულება აქვს. ლირიკამ უნდა გამოიყენოს ყველა საოცნებო სახელები: ისტორიული, გეოგრაფიული და ლიტერატურული, ქალაქების, ძვირფასი ქვების სახელები და შექმნას ამ სახელებიდან ახალი მითები. შეიძლება ეს პირველი მაგალითი იყოს მსოფლიო პოეზიაში, როდესაც პოეტებმა მოანდომეს პირადი მეგობრობის გაზღაპრება, როდესაც პოეტებმა გარდაქმნის ინტიმობა პოეზიათ და თავის ინტიმურ გრძნობებს მისცეს უნივერსალური ლირიკის ხასიათი. როგორც ტომას ჩატერტონმა გამოიგონა მე-14 საუკუნის პოეტის როულეის მითი, ისე ერთმა თანამედროვე პოეტმა გამოიგონა ელენე დარიანის მითი“ (ჟ-ი „მეოცნებე ნიამორები“, 1922 წ., წიგნი მეშვიდე, ნოემბერი, გვ. 10-12).

ჩვენი კომენტარი: აშორდიას მითი შექმნა ვალერიან გაფრინდაშვილმა, ირრუბაქიძისა – გრიგოლ რობაქიძემ, ელენე დარიანისა – პაოლო იაშვილმა, მრპირისა – ტიციან ტაბიძემ.

7. იოსებ გრიშაშვილი: „მეშვიდე ნომერში (იგულისხმება ჟ-ი „მეოცნებე ნიამორები“. ზ.ლ.) კი ახალი ის არის, რომ რედაქტორის სიტყვით, „ელენე დარიანი, როგორც ასეთი, არ არსებობს, იგი არის მითი და მისი სახელი ერთმა ჩვენმა პოეტმა გამოიგონაო“ (გაზ. „პოეზიის დღე“, 1923 წ.; № 4, 7 მაისი, გვ. 2).

8. სანდრო ცირეპიძე: „პაოლო იაშვილმა გამოიყვანა პოეტი ქალი ელენე დარიანი და ძვირფასი ქვების ნათელი ფერებით გადაშალა ეროტიკული ღირიკა. ღირიკორი ყველგან – პაოლო იაშვილი არის გაბედული არხიტექტორი ორდენის. ატლანტივით ორივე ხელით უჭირავს „ცისფერი ყანწების“ სიმძიმე. ფარშევანგების ნინამძლოლის ყივილი კიდევ შეაშფოთებს ქართულ 94

ლიტერატურას“ (გაზ. „ბაროკიკადი“, 1924 წ.; № 1,6 იანვარი, გვ. 2).

9. პესარიონ ჰლენტი: „პოეტის ადრინდელი შემოქმედებითი ცხოვრების შეფასებისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ესე ენე დარიანის ფსევდონიმით დაწერილი ლექსების ციკლი“ (უ-ი „მნა-თობი“, 1956 წ. № 3, გვ. 129).

10. შალვა დემიტრაძე: „... ის ლექსებიც კი, რომლებიც ესე ენე დარიანის სახელით აქვს გამოქვეყნებული, ნათელია პოეტური საღებავებით და ფაქიზი სულის სინატიფესა და კდემამო-სილებას გამოხატავს“ (პაოლო იაშვილი, „ლექსები, პოემები, მო-თხოვებები, თარგმანები, „საბჭ.მწერალი“, თბ.; 1959 წ. გვ. 480).

11. შალვა აფხაზები: „ჩვენ ყოველთვის გვაოცებდა პაოლოს შემოქმედებითი „გარდაქმნა“, გვაოცებდა მისი ლექსები, რომლებიც ესე ენე დარიანის ფსევდონიმით ქვეყნდებოდა“ (იხ. „მნათობი“, 1960 წ.; 12, გვ. 163).

12. შალვა რადიანი: „ამ დროიდან პ.იაშვილი აქტიურად ჩა-ება ლიტერატურულ ცხოვრებაში. იგი აგრეთვე ლექსებს აქვეყნე-ბდა ესე ენე დარიანის ფსევდონიმით“ (შ.რადიანი „სახეები და შთაბეჭდილებანი“, „საბჭ.მწერალი“, თბ.; 1962; გვ. 45).

„რაც შეეხება ესე ენე დარიანის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ ლექსებს – აქ არაფერია სიმბოლისტური, ისინი უპირატესად სა-ტრიფიალო-ეროტიკული ლექსებია, რომლის მსგავს ნაწარმოებებს სიმბოლიზმამდეც ვხვდებით“ (შ.რადიანი „თანამედროვენი“, „საბჭ.საქ“, თბ.; თბ.; 1965, გვ. 254).

13. „ლიტერატურულ ტერმინთა ლექსიკონის“ შემდგენლებს: ანდრო ჭილაიასა და ოცნებელ შუშანიას პარცელაციის მაგალითად მოჰყავთ:

„დაიტანჯა

მაჯა

მარჯნის

მძიმე

კუაჭვის ტარებით. (პ.იაშვილი, „დარიანული“)“
ნიგნი გამოიცა თბილისში, 1957 წელს, რედაქტორია პაპავი
განერელია.

14. 1965 წ. გამოიცა პაოლო იაშვილის „პოზია, პროზა, თა-
რგმანები“ („საბჭოთა საქართველო“), შესავალი წერილის ავტორია:
ირაკლი აბაშიძე, რედაქტორი: ალექსანდრე გომიაშვილი.
აյ დაბეჭდილია თოთხმეტი დარიანული ლექსი.

15. უ-ის „ცისფერი ყანწების“ მხატვარი – ვლადიმერ პავა-
რიძე წერს: „მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ აქადა ფარდა ამ
საიდუმლოებას: პოეტი ქალის ელენე დარიანის სახე-
ლით დაწერილი ანთებული ლექსები ვინმე ქალს კი არა, იმავე პა-
ოლო იაშვილს ეკუთვნოდა თურმე, ყანწელთა პოეტური ორდენის
მეთაურს“ (უ-ი „კრიტიკა“, 1976 წ. № 3, გვ. 171).

16. გიორგი კალანდაძე, მირიან აბულაძე:

„პაოლო იაშვილი ამავე პერიოდში წერდა და ბეჭდავდა ლე-
ქსებს აგრეთვე ელენე დარიანის სახელით. მაგრამ „ელენე
დარიანი“ არ იყო პოეტის მხოლოდ ჩვეულებრივი ფსევდონიმი,
ანდა შემოქმედის პოეტური გაორების შედეგი. ევრეთ წოდებული
მისი ეს დარიანული ლექსები („ძახილი“, „ზამთარში“, „უვერტი-
ურა“, „ფერადი სონეტი“, „პირამიდებში“, „უკანასკნელი მოვიხსენი
ტანსაფარავი“ და სხვ.) გაცილებით როგორც შემოქმედებითი პროცე-
სის ნაყოფია. პაოლო იაშვილი ამ ლექსების წერის დროს ჭეშმა-
რიტი არტისტიზმით ახდენს თავისებურ პოეტურ გარდასახვას, თა-
ვის წარმოსახვაში პოეტი ქალის, როგორც შემოქმედის, მხა-
ტვრულ ნიღაბს ჰქმნის, რომელიც თავის მხრივ ცოცხალ, და-
მოუკიდებელ შემოქმედად გვევლინება“ („ქართული ლიტერატურის
ისტორია“, ტომი V, „საბჭაბე“, თბ.; 1982 წ. გვ. 485-486).

ჩვენი კომენტარი: აյ დასახელებულ ორ ავტორთაგან გი-
ორგი კალანდაძე გახლდათ პაოლო იაშვილის თანამედროვე.

17. სირგი ჭილაძე: „პაოლო იაშვილი... ვერ დაიმორჩილა სი-
მბოლისტების ქარგებზე გამოჭრილმა ტრაფარეტებმა. ცხოვრებით,
96

პოეზიით გულგახსნილი მოქალაქე ჯიუტად ეურჩებოდა სიმპოლი-
სტურ დოგმებსა და ნორმებს, რასაც მანიფესტებსა და დეკლარა-
ციებში ქადაგებდა თვავად. ამის უპირველესი დასტურია „ელენე
დარიანის დღიურების“ ციკლის ლექსები“ (ს. ჭილაა, „ოცნეული“, 1921-1940, წლები და პრობლემები, თსუ, 1986 წ.; გვ.
189).

18. გრიგოლ ცეცხლაძე: „პაოლო იაშვილმა ელენე და-
რიანის ფსევდონიმით გაზეთ „მეგობარში“ გამოაქვეყნა რა-
მდენიმე ლექსი, რამაც სკანდალური გავლენა მოახდინა მაშინდელ
მკითხველ საზოგადოებაზე. ის ლექსები ამორალურად მიიჩნიეს... მე
გაზეთ „მეგობრის“ სარედაქციო კოლეგის სხდომაზე გამოვედი გა-
ნცხადებით, რომ, თუმცა ელენე დარიანის ლექსები მე პირა-
დად არ მიმაჩნია დიდ ამორალურ მოვლენად, მაგრამ მას მოწინა-
ალმდეგე პარტიები იყენებენ სოციალ-ფედერალისტების პარტიის
სახელის გასატეხად და ამიტომ ეს ლექსები არ უნდა იბეჭდებოდეს
ჩვენს გაზეთში-მეოქი.

თუმცა სარედაქციო კოლეგის წევრები შოთა დადიანი და
გრიგოლ ლალიძე პაოლო იაშვილის განუყრელი მეგობრები, თაყვა-
ნისმცემლები იყვნენ „ცისფერი ყანწების“ და ჩემი წინადადების წი-
ნაალმდეგ გამოვიდნენ, მაგრამ გაზეთის კოლეგიამ მაინც მიიღო
ჩემი წინადადება – ალარ დაებეჭდათ ელენე დარიანის ლე-
ქსები...

... ქუთაისში ამოვიდა კოკი ებრალიძე... ქეიიფიც მოაწყო რე-
სტორანში. ქეიიფში პაოლო იაშვილი და მეც ვიყავით მინვეულნი.

როცა პაოლოს სადღეგრძელო დაილია, მე ავდექი, ზეპირად
წარმოვთქვი მისი ლექსები და ელენე დარიანის ერთი ლე-
ქსიც. პაოლოს გახეხარდა, გადამკოცნა და მერე მითხრა, თუ ასე
აფასებ ჩემს ლექსებს, როგორ მოხდა, რომ გაზეთ „მეგობა-
რში“ ელენე დარიანის ლექსების დაბეჭდვის წინაალმდეგი გა-
მოსულხარო. მე განვუმარტე – თუმცა პირადად მე ძალიან მო-
მწონს ელენე დარიანის ლექსები, როგორც ხედავ, ზეპირადაც
ვიცი, მაგრამ გაზეთის ინტერესებს მაღლა ვაყენებ. ეს ლექსები გა-
ზეთს სახელს უტეხენ მასების თვალში, მოწინაალმდეგე პარტიები
მათ იყენებენ გაზეთის გასაბიაბრუებლად და ამიტომ ვიყავი გაზე-

თში მათი დაბეჭდვის წინააღმდეგი-მეთქი. ჩემმა განმარტებებმა ის კერ დააკმაყოფილა, მაგრამ მაინც არ დამზღვურებია“ (გრ.ცე-ცხლაძე, მოგონებები, პალლ იაშვილი, იხ. „ლიტერატურის მატი-ანე“, 1982 წ., „საბჭ.საქ.“; 7-8, გვ. 137-138).

19. კოლაჟ ნადირაძე: „... ელენე სახელი იყო, დარიანი კი „დორიან გრეის პორტრეტიდან“ წამოილო. კარგი ლექსები გამოუვიდა. ყოველთვის მიკვირდა, ვეკითხებოდი, ასე როგორ იცნობ ქალის ფსიქოლოგიას-მეთქი? ვიცნობო, ჩაიცინებდა პალლ და ტოლსტოის სიზმარს იგონებდა.

„საყვარელ ხელებს მივეცემი,

როგორც ნაზ საწოლს

და შენ დამკოცნი ვით

დედოფალს, ვით მხევალს და ცოლს“ (ნინო ჩხიცელიშვილი, „ოცნებად დამრჩა“, „ლიტერატურული საქართველო“, 1988 წ.; № 16, 15 აპრილი, გვ. 12).

20. ირაკლი აბაშიძე: „ოციან, ოცდაათიან წლებში ქართულ პოეტურ სამყაროში გალაკტიონ ტაბიძის „ლურჯა ცხენებთან“, „მე-რისა“ და „მესაფლავესთან“, იოსებ გრიშაშვილის ლექსებთან ერთად ხმამალლა გაისმოდა პალლ იაშვილის „დედა. ინახულე შენ ნინდა ხახული, ნადი ფეხშიშველი; ქალაქში დაკარგულ შვილისა-თვის ღამე გაათივ“ ან „იქ, სადაც სდუმან პირამიდები, შენ მომინდები, შენი თვალები, შენი მკლავები, შენი სინაზე...“ (ირაკლი აბაშიძე „ზარები ოცდაათიანი წლებიდან“, ჟ-ი „მნათობი“, 1992 წ. № 1, გვ. 137).

21. 1928 წელს, თბილისში, „Заккнига“-მ გამოსცა ვლადიმერ აცდრევის ძე სულიერის წიგნი „Очерки литературы Закавказья“. სტატიაში „Голубые роги“ ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ელენე დარიანის ლექსებს, ხოლო 92-ე გვერდის სქლიოში ვკითხულობთ „Возможно, что Елена Дариани брилась или носила усы“.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენი კომენტარი ასეთი იქნება:

ელენი დარიანის პოეზიით დაინტერესებულმა სუტირინმა, აშკარაა, იკითხა ამ „პოეტი ქალის“ ვინაობა. მას ორაზროვნად უპასუხეს, ეს ისეთი „ქალია“, რომელიც წვერს იპარსავს და ულვაშს. ატარებსო. თუ ქალბატონ ელენე ბაქრაძე-ბერიშვილ-ქართველიშვილს ახალგაზრდობაში ვირილიზმი არ აწუხებდა, მაშინ ჩვენი მსჯელობა სწორი უნდა იყოს და ელენი დარიანში მამაკაცი პოეტია ნაგულისხმევი.

22. 1951 წელს უურნალში „ბედი ქართლისა“ (№ 9, მარტი, პარიზი) გამოქვეყნდა გრიგოლ რობაკიძის მოთხრობა „უამსა ხუმრობისა“ („მოგონილი და ნამდვილი“), დაიწერა 1949 წ. უენევაში. მოთხრობაში ორი პერსონაჟია: გრიგოლ რობაკიძე და ყაფლან რობელაძე. ეს უკანასკნელი წარმოსახვითი გმირია (იხ. პაატა ნაცვლიშვილი, „ცნობილი მწერლის უცნობი ნოველა“, წიგნში: გრიგოლ რობაქიძე „ყაფლან ქვემოკლიძის მინაწერი კვატატი პიტნავასადმი“, პაატა ნაცვლიშვილის გამ-ბა, თბ.; 1997 წ.) და მასში უნდა ვიგულისხმოთ თავად ავტორი – გრიგოლ რობაქიძე.

ყაფლან რობელაძე ამბობს:

„ჰო და პაოლო მომაგონდა მაშვინ. თურმე იმასაც არ მოაძულეს თავი საანკეტო ფურცლებით!... იმისგან სურდათ თურმე გაეგოთ, რით ცხოვროფესო. არ მოეშვენ თურმე... კაცი დადის, შენი ჭირიმე, არხეინათ, შეგხვდება – სიხალისეს მოგაფრქვევს, გადაგეხსნება გულით როგორც წყაროს თვალი, თუ კვირატი დღე გაქ – საბეჭდიეროთ მოგიბრუნებს, შაირს გეტყვის მისთანას, რო სმენას დაგიტყბობს, ელენე დარიანის სახელით, თუმცა მალაგს ამას, ისეთ შაირს თან მოაყოლებს კიდომ, რომ ცვედანიც ახალისდება ტრფიალისათვის...“

ახლა, ჩვენ ვეკითხებით ბ-ნ ჯავახიშვილსა და მის მხარდამჭერთ, კიდევ რა საბუთია საჭირო?

თუ მკვლევარი „თვალებდახუჭული და ყურებში თითებდაცობილი არ არის“ (ბ-ნი ჯავახიშვილის გამოთქმაა. იხ. „კალმასობა“, 1997 წ. № 13), ვერ უნდა მისვლეს, რაშია საქმე?

საქმე კი იმაშია, რომ ბ-ნ ჯავახიშვილს არ ესმის და არც უნდა გაიგოს:

ელენე დარიანი არარსებული პოეტი ქალია, „მისი

ლექსების” ავტორია – პაოლო იაშვილი! ამ ლექსების დამწერი ქალი არც მანამდე, არც მაშინ და არც შემდგომ ჩართულ ღიტორატურაში ჩვენ არ გვეგულება. „დარიანული ციკლი“ – გამაპაცის პოზიაა!

ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველიშვილი კი იმ ქალბატონების რიგში უნდა განიხილოს ბატონმა ჯავახიშვილმა, რომელთა შესახებაც წერდა ყარიბი (პეტრე გელეიშვილის ფსევდონიმია. ზ.ლ.):

„.... ქუთაისის მანდილოსნები კი ჩვეულებრივის კდემამოსილებით აძაგებდნენ დარიანს ასეთი „პორნოგრაფიული ლექსებისათვის“, მაგრამ დაკვირვებული თვალი ადვილად დაინახავდა, რომ ყველა მათგანს დიდი სურვილი ქონდა ელენე დარინობისა. ყველას ენატრებოდა ელენე დარინათ თუ არ გახდომა ერთი დღით, ერთი საათით მაინც მის როლში ყოფნა... ამიტომ ქუთაისის „მოსკუჩნაო“ ბანოვანები ცდილობდნენ როგორმე „ყანელებს“ დაახლოებოდნენ, მათთან ბულვარზე ესეირნათ. ხუმრობა ხომ არ იყო თუნდა ერთი წუთით ელენე დარინათ თავის გასაღება“ („მნათობი“, 1926 წ. № 5-6, გვ. 168).

გასულ, 1999 წელს გამოიცა გ.ჯავახიშვილის წიგნი „გიორგი ლეონიძის თვალსაწიერი“, რომლის მე-11 გვერდზე ვკითხულობთ: „XX საუკუნის 20-იან წლებიდან ქართულ პრესაში ელენე ბერიშვილისა და ელენე ქართველიშვილის გვარებით, ელენე დარიანის ფსევდონიმითა და „ე.ი.“-ს კრიპტონიმით თანამშრომლობდა ერთი და იგივე პიროვნება, რომელიც ელენე ბაქრაძე იყო. მისი სახელი ქართულ ლიტერატურულ და ჟედაგოგიურ წრეებში კარგად იყო ცნობილი. ცისფერყანელთა წრეები (დაყოფა ჩვენია. ზ.ლ.) მას ელენე დარიანად ან, „ელლის“ სახელით მოიხსენიებდნენ“ (თუ ამას ავტორის სტილი ჰქვია, მაშინ იგი დაცულია. ზ.ლ.).

ჩვენი კომენტარი: ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი ელენე დარიანის ფსევდონიმით ლექსებს არ ბეჭდავდა! ელენე დარიანი არის პაოლო იაშვილის ფსევდონიმი. ელენე ბაქრაძე-ბერიშვილის ლექსები გამოქვეყნებულია „ელენე ბერიშვილის“ ხელმოწერით. ბ-ნ ჯავახიშვილს შევასესნებთ: 1922 წელს გამოქვეყნდა ლექსი „თავად დარიანს“ (გაზ. „ბახტრიონი“, № 24, 24 დეკემბერი), ხოლო 1924

ნელს – „სიმარტოვე“ (გაზ. „ქართული სიტყვა“, № 26, 11 მაისი), ორივე ლექსს ხელს აწერს: ელენე ბერიშვილი.

ელენე ბაქრაძე-ბერიშვილს ქართველიშვილის გვარით გამოქვეყნებული აქვს ორი მოთხოვა: „ჩაჩანი ემენა“, „კოჭლი კეკე“ („მნათობი“, 1934 წ.; № 7-8), კრიტიკული წერილი „დემნა შენგელაძის „განძი“ („მნათობი“, 1960 წ.; № 1); 1968 წელს „ნაკადულმა“ გამოსცა ელენე ქართველიშვილის მიერ თარგმნილი ტურგენევის „ასია“.

ბ-ნ პროფესორს ვურჩევდით, XX საუკუნის 20-იანი წლების ქართული პრესის შემდგომი კვლევისას, ასტამურ შერვაშიძის ხელმოწერით ლექსებს თუ ნაანყდება, მის ავტორს მაინცადამაინც შერვაშიძეთა შორის ძებნას ნუ დაუწყებს, რადგან პაოლო იაშვილი ამ ფსევდონიმითაც აქვეყნებდა თავის ნაწერებს.

„ცისფერყანწელთა წრეები“ კი ბ-ნი ჯავახიშვილის ზღვარსგადასული „უნებლივ შეცდომაა“ და იგი აშკარად „აღმოჩენაა“! მაინც რამდენი წრე არსებობდა, საინტერესოა?! ქართული ლიტერატურის ისტორიაში კი მხოლოდ ერთია დაფიქსირებული: „ცისფერყანწელთა“ ერთი ლიტერატურული დაჯგუფება, ერთი ორდენი, რომლის ლიდერი გახლდათ პაოლო იაშვილი.

ბ-ნი ჯავახიშვილის ზემოთდასახელებული წიგნი გასული წლის შემოდგომაზე სრულიად საქართველოს მაყურებელს წარუდგინა ტელევიზიის ეკრანიდან ლიტერატურულმა მიმომხილველმა, თან ისიც აღნიშნა, რომ მეცნიერს მზად ჰქონია გამოსაქვეყნებლად მონოგრაფია „ელენე დარიანის ლეგენდა და სინამდვილე“ (ამის შესახებ პატივცემული პროფესორის წიგნის მე-11 გვერდის სქოლით გვამცნობს. ზ.ლ.).

ჩვენის აზრით, მეტი სიფრთხილე და ყურადღება იყო საჭირო წიგნების რეკლამირებისას, რადგან ხომ შეიძლებოდა პრეზენტაციის შემდგომ, ერთ-ერთ მათგანში, ასეთ „აღმოჩენას“ წავწყდომდით: „В истории многовековой грузинской культуры особое место занимает выдающаяся женщина – учёный, кавказовед, академик Мари Броссе“ (იხ. გაზეთი „Свободная Грузия“, 1993 წ. № 16, 28 იანვარი, გვ. 2), – ამ სტრიქონების ავტორსაც არ აკლია ხარისხები და წოდებები.

ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარს, თუ მას ამნებია არა აქვს, უნდა ახსოვდეს: ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი-ქართველიშვილის ტიპის „მემუარისტკაპ“ საფლავში გადააბრუნა აღვენსანდრე ყაზბეგი.

პოეტისადმი მეტი პატივისცემა მართებდათ „ლიტერატურული საქართველოს“ თანამშრომლებს: „იდუმალებით მოსილ სახელს – ელენე დარიანს – და ამ ფსევდონიმს ამოფარებულ ქალბატონს წარმოგიდენთ გიორგი ჯავახიშვილის წერილი“-ო, პირველ გვერდზე რომ დაბეჭდეს („ლიტერატურული საქართველო“, 1997 წ.; № 34, 22-29 აგვისტო) და ლიტერატურულ ბლეფს მწვანე გზა გაუხსნეს.

ისტორიული მეხსიერება უფლებას არ გვაძლევს დავივიწყოთ, რომ მაჩაბლის ქუჩაზე მდებარეობს მწერალთა სახლი,

„სადაც პაოლოს დასხლეტილ ჩახმახს

შერჩა სიცივე ნატიფი ხელის...“ (ლაშა თაბუკაშვილი).

1998 წელს „ლიტერატურულ საქართველოში“ (№ 12, 20-27 მარტი, გვ. 12) გამოქვეყნდა ასეთი „აზრი“:

„ქართულ პოეზიაში გენიალური აღმოჩენის გამო ვაყენებთ წინადადებას: 1999 წლის პირველი იანვრიდან დაერქვას პოეტ პაოლო იაშვილს პაოლო დარიანი, ნეტარხსენებულ ქალბატონ ელენე ბერიშვილისას – ელენე იაშვილი, ხოლო აღმოჩენის ავტორს გ.ჯავახიშვილს – გ.ჯავახიშვილი-მხეიძის...“

სხვა წინადადებით მოგვმართეთ მისამართით:

ლონდონი. ბეისუოტერსტრიტ, ჰერალდიკის სამხართველოს უფროსს – მისტერ კიკოს“.

ვფიქრობთ, ამ მეტად ირონიული რეპლიკის წამკითხველი „ხარისხებისა და წოდებების მქონე“ ადრესატი, თუ მაინცდამა-ინც კალამს არ გააგდებდა ხელიდან, პუბლიკაციებს მაინც შეწყვეტდა დარიანული ლექსების ავტორობასთან დაკავშირებით, მაგრამ მოხდა პირიქით და ბატონი ჯავახიშვილი თავისი თვალსაზრისის დამკვიდრებას ჯერჯერობით პერიოდული პრესის მეშვეობით აგრძელებს:

გაზეთში „შარავანდი“ (2000 წ.; № 8, 15-29 ოქტემბერვალი, გვ. 8) ბატონმა გ.ჯავახიშვილმა ისევ გამოაქვეყნა წერილი სათაურით „ელენე დარიანის მეგობრები“, სადაც ამჯერად ლადო გუდიაშვილის წერილებს აცნობს მკითხველს ელენე ბაქრაძე-ბერიშვილი-ქა-102

რთველიშვილისადმი, ხოლო დასასრულს ბ-ნი პროფესორი მაინც
წერს: „პაოლოსა და ტიციანის რეაბილიტაციის შემდეგ კი ერთ
დღეს გუდიაშვილის ოჯახში გოგლას, სიმონ ჩიქოვანისა და კოლაუ
ნადირაძის სტუმრობისას ისაუბრეს ელენე დარიანის ლექსების ცი-
კლზე... მცირე დუმილის შემდეგ ისევ ელენემ კატეგორიული ტო-
ნით თქვა: „არა, მე ჩემი არსით და შემოქმედებით პაოლოს ვერ გა-
ვყრები... და ეს ლეგენდა დარჩეს ლეგენდადო...“

ჩვენ არა ვართ იმდენად კომპეტენტური მედიცინაში, კერძოდ
ფსიქიატრიაში, კვალიფიკაცია რომ მივცეთ ბ-ნი ჯავახიშვილის ამ
აჩემება-ა-კვიატებას, ამიტომ გალაკტიონს მოვიხმობთ:

„ესაა ლიტერატურული ავადმყოფობის მეტად მძიმე ფორმა.
ეს არის ლიტერატურული გრიპპი. აქ საჭიროა ექიმი და მო-
მვლელი, რომ ყოველ წუთში თავს ადგეს ავადმყოფს.“

მკითხველს კი შევთავაზებთ პაოლო იაშვილის ლექსს, რომლის
სათაურია „მელორეს სიმღერა“ (ავტოგრაფი იხ. „ლიტერატურის მა-
ტიანე“, თბ.; გამ.; „დიოგენე“, 1998 წ.; გვ. 129). ავტორმა იგი წერი-
ლთან ერთად კოლაუ ნადირაძეს გაუგზავნა 1926 წლის 14 სექტე-
მბერს:

„უფალო! უსმინე შავარდენს,
მის ხელით გიგზავნი ბარათს,
მიშველე ღორებში ჩავარდნილს,
ღორებში დარჩენილს მარად.

როგორც რომ ბურვაკი პალოზე
მინდორში ბანარით აბია,
მარტო ვარ, უფალო, დალოცე
მელორე ცრემლების ყლაპია!

უფალო! მომეცი სამხარი
ძალლივით ამოსულს ცაზე,
და შენი პერანგი ნახმარი
ჩამაცვი ცოდვიან ტანზე.

მომეცი ბავშვებში ჩარევის
ხილ არა გადატკი და მათთან თამაშის წება.

უფალო! შენს გარდა არავის უფლება
არა აქვს ამის უფლება.

ფიქრები სამწყესო ღორებზე
ყოველდღე ცრემლებით მსჯიდა.
უფალო, გალავნის ყორებზე
დამნიშნე ბეღურა ჩიტად.“

P.S. წერილის ავტორი მაღლობას უხდის დახმარებისათვის ქალბა-
ტონებს: ნიტა ტაბიძეს, მანანა პიძოძეს, რუსულან
ჟანაშიას, მანანა ქათარაძეს, თინა ფერაძეს, მაია
კაპაბაძე-ბერიშვილს, რუსულან კახიძეს, გულნარა
ლორთებიშვილე-ხატიაშვილს, თამარ აზარიაშვილს,
მარინა ალანიას, პატონებს: ნოდარ გრიგორაშვილს,
ნუგაზარ ბერიშვილს, თამაზ ტყავალაძეს, სოსო
გევაძეს, მერაბ და გია ნიზარაძეებს.

ივლისი, 2000 წელი

სხვა სწორების და გარეობრივის მიმართ დამატებით
დანერთისა მისამართ აღნიშვნა მოიმუშავდა. ამასთან
უკავშირის მისამართ მომეცი აღნიშვნა
მოგვერდის, ას მუტილის მიმართ აღნიშვნა მიმკეთდებოდა
არა სწორებისა და გარეობრივის მიმართ აუ მომეცის
სიც გამდინ ას გამოყენებას თავისი აღმოიჩინა. მათნე უერყვა-
რდა და არის მუდმივი გამოყენება. ას ფიქრის მიზანი
მისა პირის და გარეობრივის მიმართ აღნიშვნა აუ განვიხილა
და მომდევნობას კურნევლით მომდევნობა მეტსის მუმცვობა
აღმოიჩინა. ისე დღეს ისე ერთობის მიზანი.

ას წერილი მარტინ და გარეობრივის მიმართ აუ არ არ არ არ არ
არ
არ
არ არ

10
746/441



Հ. Պ. Պ. Հ. Հ.